რიჩარდ ჯაში



ადგილის ამბავი

რიჩარდ ჯაში

ადგილის ამბავი

თბილისი
2020

კონსულტანტი ალექსანდრე მეტრეველი
რედაქტორი ლევან თაქთაქიშვილი
კორექტორი რუსუდან ნეფარიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ხათუნა უნგიაძის

ISBN 978-9941-8-2014-4
© რიჩარდ ჯაში

შესავალი

დაბადებიდანვე თითოეული ჩვენგანი ცხოვრების მორევში აღმოვჩნდებით. მოგვიანებით ვიგებთ როგორი წარსულიდან მოვდივართ და რა მომავალს გვიმზადებდა ბედი.ეს ხდება მაშინ, როცა მამულის სახით გავაცნობიერებთ იმ ადგილს, სადაც გავჩნდით და ვცხოვრობთ, შევითავისებთ იმ ხალხს - ვის წიაღშიც დავიბადეთ და ვის გარემოცვაშიც გავიზარდეთ. ასეა მუდამ! ადამიანი აწმყოდან განჭვრეტს მომავალს, რომელიც თანდათან წარსულად გადაიქცევა. წლები კი განვლილ ცხოვრებას გაგვააზრებინებს. არც მე ვარ გამონაკლისი.

ცხოვრებაში ადამიანი ირჩევს პროფესიას, შემდგომ რომ თავისი შრომით ოჯახს წარუძღვეს. და თუ თავისთვის საინტერესო საქმითაც დაკავდა ბედნიერებას გრძნობს, თითქოს ცხოვრების სრულ ჰარმონიას ეზიარა, რომელსაც ოცნებით თუ შეეხება კაცი, რადგან არ იცის როდის იწყება, სანამდე გრძელდება და სად მთავრდება ეს ე.წ. ჰარმონია. იქნებ მხოლოდ ფილოსოფიური კატეგორიაა, ვილჰელმ ლაიბნიცის ინდივიდური ცნობიერების წინასწარ განსაზღვრული ჰარმონიიდან ან ესთეტიკური ფორმაა, მხოლოდ მუსიკაში არსებული შეწყობილი ხმათა სრული შეთანაწყობით.

ჩვენ არც კი გვიფიქრია ჰარმონიაზე, უბრალოდ, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, სპორტსმენობის ასაკიდან გამოსულებს, წონისა და ტონუსის შესანარჩუნებლად გაგვიჩნდა სურვილი დავკავებულიყავით ჩოგბურთით. ასეთი არჩევანი უფროს თაობას უკვე გაეკეთებინა. ისინი წლების განმავლობაში თამაშობდნენ ჩოგბურთს. ჩვენც მათ შევუერთდით. მოყვარულ ჩოგბურთელებ შორის ასაკობრივი სხვაობა 10-20 წელი და უფრო მეტიც იყო.ეს უფროსებს, ახალგაზრდულ ემოციებს ჰმატებდათ, ახალგაზრდებს კი დინჯად მოქცევას და ღირსეულ ურთიერთობას გვავალდებულებდა. მაგალითს ჩვენ უფროსებისგან ვიღებდით. საზოგადოებამ, რომელიც ჩოგბურთმა შეგვკრიბა, ასე დავასკვენით, რომ ერთმანეთთან ურთიერთობამ სიმშვიდე და ხალისი მოგვანიჭა. ვგრძნობდით, როგორ გვიხაროდა კორტებზე მისვლა. „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბში გატარებული წლების გახსენება, დღესაც სიამოვნებას და ღიმილს მგვრის. ის წლები გვახსენებს ახალგაზრდობას და გვიხანრგძლივებს აწმყოს. მუდამ გვახალისებს ჩოგ-

ბურთის „დინამოს“ კლუბში ჩვენი თავგადასავლებისა და ეპიზოდური ამბების გახსენება.

დიახ, ეს მოკლე ამბავი ჩვენი, საერთო ინტერესებით ადამიანების ცხოვრების ისტორიის ნაწილია. ჩოგბურთმა გაგვაერთიანა და შეგვახვედრა ერთმანეთს თბილისის ერთ ლამაზ ადგილას, სადაც „დინამოს“ კორტები იყო. თავისუფალ დროს ადამიანი ირჩევს იმ საქმიანობას, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს, ცხოვრებას უმრავალფერვნებს. ინგლისელებმა ასეთ საყვარელ საქმიანობას ჰობი უწოდეს. ირლანდიელი ინტელექტუალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯორჯ ბერნარდ შოუ წერს: **„ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც თავისი ჰობით ცხოვრობს“**. დიდ ბრიტანეთში „თავისი ჰობით ცხოვრება” უმეტესად დახურულ კლუბებში იყო შესაძლებელი. ბერნარდ შოუ, ასეთ კლუბებში ხედავდა საერთო ინტერესით გაერთიანებულ ადამიანებს. ეს ბრიტანული ფენომენი იყო, მაგრამ ჩვენ ხომ „ბებერი ინგლისის“ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები არ გახლდით, არც დიდი ბრიტანეთის სამეფო გვირგვინის ქვეშევრდომები. კლუბური ცხოვრება - წმინდა ინგლისური ურთიერთობა სხვა ქვეყნებმა გადაიღეს და ამის შესახებ ჩვენთვისაც ცნობილი გახდა 1970-იან წლებში. ამის მიუხედავად, კლუბის შექმნის იდეა იმ დროს არავის აზრად არ მოსდიოდა.

საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ საქართველოს ოკუპაცია როცა მოახდინა, „რევოლუციური წესრიგის“ უზრუნველსაყოფად საქართველოს რევკომმა 1921 წლის 27 თებერვალს შექმნა საქართველოს მილიცია და საგანგებო კომისია - „ჩეკა“, რომელიც საბჭოთა რუსეთში არსებულ ძალოვან სტუქტურებს დაექვემდებარა. მოსკოვიდან მიღებული მითითების შესაბამისად, 1923 წელს საქართველოში შეიქმნა სპორტული საზოგადოება „დინამო“. იგი თავიდანვე, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთან არსებული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მასში შემავალი სახელმწიფო უშიშროების უწყების სპორტული საზოგადოება იყო. ისიც ცნობილია, რომ ამ უწყებების თანამშრომელთა მონაწილეობით ქვეყანაში განხორციელდა სასტიკი რეპრესიები... სახელმწიფო ტერორი შემდეგ შეწყდა.

იმ პერიოდს, თითქმის, ოთხი ათეული წელი გვაშორებდა. მიუხედავათ ამისა, იმდროსაც საბჭოთა ქვეყნის ხალხი გვერქვა და საბჭოთა იდეოლოგიით გვაცხოვრებდნენ. ცივილიზაცია თავის გზას მიიკვლევდა. ქვეყა-

ნაში ცვილილებები იგრძნობოდა. საბჭოთა ქვეყანაშიც ცვლილებებს განიცდიდა ადამიანური ურთიერთობებიც. ცვლილებები მოხდა და სპორტსაზოგადოება „დინამო“ ძალოვანი სტრუქტურების საქვეუწყებო უკვე არ იყო, სპორტულ საზოგადოებებს კოორდინაციას სახელმწიფო სპორტის კომიტეტი უწევდა, ხოლო სპორტის სახეობებს, შესაბამისი სპორტის ფედერაციები ხელმძღვანელობდნენ.[1] ქვეყანა თითქოს დალაგდა. ჩვენმა თაობამ სპორტსაზოგადოება „დინამოში“ ჩვენი ჰობით - ჩოგბურთით საკლუბო ცხოვრების ელემენტები შეიტანა, უფროსი თაობაც თითქოს ამას ელოდა.

„ადგილის ამბავი“ არის თხრობა „დინამოს“ კორტების ადგილის შესახებ, სადაც 1973-2009 წლებში, თითქმის ყოველ ცისმარე დღეს ჩოგბურთის სათამაშოდ მივიჩქაროდით. შემდეგ კი ყველა სამსახურს მივაშურებდით. უქმეებში, თუ ქალაქში ვრჩებოდით, ნახევარ დღეს იქ ვატარებდით. ვიცოდით, კლუბური ცხოვრება ინგლისური მოვლენა იყო, მაგრამ ჩვენში არავის უცდია ინგლისური კლუბის წევრთა - ჯენტლემენთა ტრადიციების შემოღება. „დინამოს” კლუბის წევრთა გამორჩეული ურთიერთობა ნელ-ნელა, ქართული ტრადიციის ყალიბში მოექცა, წლიდან წლამდე განმტკიცდა. კლუბის წევრთა,ზოგის ოცი, ზოგის კი ორმოცი წლის მანძილზე კორტებზე განვლილმა ცხოვრებამ, თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების ისტორიაში, სამართლიანად დაიმკვიდრა თავისი მოკრძალებული ადგილი. დიახ, კორტები ანდამატად გვექცა, ბევრი რამით გვიზიდავდა და მეორე მშობლიური ადგილი გახდა. ჩვენთვის ჩოგბურთით გატაცება, ფიზიკურ წრთობასთან ერთად, თავდაჯერებულობას გვანიჭებდა.

ინგლისური კლუბების საგანძური, მისი ლეგენდები და დღიურებია, რომლებიც ნამდვილად იმსახურებენ დაფასებასა და მათ ისტორიის გაცნობას. ამ მხრივ, თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების კლუბს, მოკრძალებული წარსული აქვს, მაგრამ თუ ამ წარსულმა, ისტორიული თვალსაზრისით ყურადღება ვერ დაიმსახურა, 40 წლიანი წარსულის ცალკეული პერიოდი, კლუბის წევრებს, ნოსტალგიის ბურუსში ჩაძირული დაგვრჩა. წარსულის მონატრების გრძნობით გახსენების უფლებას კლუბის წევრების ურთიერთობის განსაკუთრებული უშუალობა იძლევა. კლუბს ჰქონდა, თავისი ლოგო, ჰიმნი, ინფრასტრუქტურა, მართვის სისტემა, ჰყავდა

[1] მასალა ვიკიპედიიდან: постановление ЦК КПСС и Совета министров СССР № 826 от 17 октября 1968 г.

მოქმედ ჩოგბურთელთა გუნდი, მწვრთნელები, მოსამსახურე პერსონალი. კლუბს თავისი აურა გააჩნდა, რაც გარშემომყოფთა დიდ ინტერესს იწვევდა.

განვლილი წლები, თავისთავად, ისტორიაა. შესაბამისად, ისტორიულ ფაქტებს შევეხებით. რადგან ჩვენი გატაცება ჩოგბურთი იყო, ჯერ თბილისის იმ ადგილის ისტორიას გადავხედავთ სადაც ჩოგბურთის კორტები გაშენდა. შემდეგ კი თვით ჩოგბურთის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთ წყაროში ჩავიხედავთ. ბოლოს,მოკლედ მოგითხრობთ ჩოგბურთში ჩვენი ყოფის ფაქტებს.

შეგვეძლო, მოკლედ გადმოგვეცა, თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების ისტორიაში ჩვენი არსებობის ამბავი, მაგრამ, რადგან თბილისის ის ადგილი მხოლოდ ჩოგბურთის კორტები კი არა, ისტორიული უბანი იყო, მტკვრის პირას, ქალაქის ცენტრში, გამორჩეულად გამწვანებული და ლამაზი ადგილი, რომლისგანაც წლების განმავლობაში მრავალი სიკეთე გვხვდა წილად, და მხოლოდ კეთილი გრძნობებით სავსე მოგონებები დაგვიტოვა, არამარტო თბილისის „დინამოს“ კორტების, არამედ, მისი ადგილმდებარეობის ისტორიასაც გადავხედავთ. ვფიქრობ, მკითხველს დააინტერესებს იმ ამბების გაცნობა, რაც კორტების გაშენებამდე და მის შემდეგაც ამ მიწაზე ხდებოდა.

ქალაქის ისტორიული ნაწილი, მოიცავს იმ უბნებსა და დასახლებებს, რასაც 1936 წლამდე „ტიფლისი“ ეწოდებოდა. თბილისის ღირშესანიშნაობების უმეტესობა ძველ თბილისშია თავმოყრილი. ძველ ფოტოებზე აღბეჭდილია ქალქის ის ადგილები, რომელთა ნახვა დღეს რეალურად შეუძლებელია. დაინგრა ქუჩები, უბნები, შენობები, გაქრა მტკვარში არსებული კუნძულები. ზოგი ქალაქის განვითარებას შეეწირა ზოგიც, თანამდებობის პირთა ახირებას. „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებიც ძველ თბილისში იყო.

„დინამოს“ კორტების ისტორიის თხრობა, მისი ადგილმდებარეობის ისტორიით რომ დავიწყოთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც არსებობს. იუნესკომ 2007 წელს, მთელი ძველი თბილისი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შესატანად აღიარა. შესაბამისად, იუნესკოს ეს გადაწყვეტილება გვავალებს ზრუნვით მოვეპყროთ თბილისის სიძველეებს, უკვე გამქრალი ადგილების მიმართ ზრუნვა კი იმაში გამოვხატოთ, რომ ისინი ისტორიულ მეხსიერებაში შემოვინახოთ.

საჩოგბურთო კორტების მშენებლობა „ტფილისში“ 1938 წელს დაიწყო, ლავრენტი ბერიას ბრძანებით ხოლო ინიციატორი, როგორც ამბობენ, მისი მეუღლე, ჩოგბურთით გატაცებული ქალბატონი, ნინო გეგეჭკორი იყო.

ნინო გეგეჭკორი

საჩოგბურთო სტადიონი მწყობრში ჩადგა 1939 წელს და იგი 71 წლის განმავლობაში ამშვენებდა ძველ თბილისს... 2010 წლის ნოემბერში კი დაანგრიეს. იმ საჩოგბურთო კორტების კვალი გამქრალია. ადგილის ისტორია კი დარჩა საინტერესო ფაქტებისა და ფოტოდოკუმენტების სახით და საქართველოს ისტორიის ნაწილი გახდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ფოტოები მოტანილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის „ციფრული ფოტომატიანედან", ნაწილი კი, საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ წევრთა კერძო კოლექციებიდან.

მიწის ადგილის ისტორია

საქართველოს ისტორიის უმეტესი პერიოდი ქართველთა გასაჭირს ასახავს. თბილისის ისტორიაც ხომ ხშირადაა თბილისელთა ვარამის წარმომჩენი. თუმცა ჩვენ, იმ დროის მომსწრენიც ვართ, როცა თბილისში გაჭირვება თითქმის არ იყო და საზოგადოების მწუხარე მოთქმა დედაქალაქში არ ისმოდა. 33 წელი მშვიდობიანი და ლაღი ცხოვრება გვქონდა.

ძველ თბილისში გამქრალი ჩოგბურთის კორტების ცხოვრება ისტორიულ მეხსიერებაში რომ შევინახოთ, როგორც აღვნიშნეთ, წერა ძველი

თბილისის იმ მიწის ისტორიით უნდა დავიწყოთ, სადაც იგი გაშენდა. ფესვები ყოველთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, საინტერესოა, თუ ვინ ფლობდა და ალამაზებდა, ვინ უვლიდა თუ ვერ უვლიდა, აშენებდა და ამშვენებდა თბილისის მიწის ამ ადგილს.



თბილისი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენის
მიხედვით, 1671 წ.

ცნობილია, რომ თბილისი, დაახლოებით 1600 წლის წინ დაარსდა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. იგი კალას, გვიანდელი სახელწოდებით - ნარიყალას, ციხის გალავანში იყო მოქცეული, შემდეგ სეიდაბადსა და ორთაჭალაში გავიდა. საუკუნეების მერე, მამა დავითის მთის კალთასა და მტკვარს შორის ზეგანზე გაიშალა.

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდენი თბილისს ასე აღწერს: **„თბილისი დიდი არ არის, მაგრამ ულამაზესი, მჭიდროდ დასახლებული, ხალხმრავალი ქალაქია.“** [1]

ძველი თბილისის ეს ჩანახატი, რაც, შარდენის თანმხლები მხატვრის უნდა იყოს, შარდენის სიტყვებთან ერთად, პირველი დოკუმენტებია

[1] „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, ჟან შარდენი, “ მეცნიერება“ თბილისი, 1975 წ;.

თბილისის წარმოსადგენად. თბილისი 1701 წელს დაუხატავს ფრანგ მოგზაურს ტურნეფორსაც.[1]



ფრანგი მოგზაურის ტურნეფორის ნახატი,
ძველი თბილისი. 1701 წ.

თანდათან ქალაქი მტკვრის ორივე ნაპირზე გაფართოვდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში თბილისი საგუბერნიო ქალაქი გახდა. მტკვრის მარცხენა მხარეს ახალი უბნები გაჩნდა-ჩუღურეთი, კუკია, გერმანელთა დასახლება.ქალაქის მტკვრის ნაპირებზე გადასვლა ბორნებითა და ნავებით, მუდამ პრობლემებს ქმნიდა. ამიტომ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის დავალებით, 1848 წელს იტალიელი არქიტექტორის, სკუდი-ერის პროექტით დაიწყო ახალი ხიდის მშენებლობა. იგი 1853 წელს გაიხსნა. ახლადაშენებულ ხიდს, ხელისუფლებამ ოფიციალურად წმ. მიხეილის სახელი უწოდა, რომელიც მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეს იკურთხა. თბილისელები კი ვორონცოვის ხიდს უწოდებენ. 1867 წელს, ხიდის მარცხენა ნაპირზე მდებარე მომცრო მოედანზე კავკასიის მეფის ნაცვალის მიხეილ ვორონცოვის ძეგლი აღიმართა. ვორონცოვის სახელი ხიდს დღემ- დე შემორჩა, იმის მიუხედავად, რომ ვორონცოვის ძეგლი 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაანგრიეს.

[1] ნინოს გაკვეთილები, „ძველი თბილისი“, 1930 წ;



მიხეილ ვორონცოვის ძეგლი

მიხეილის ხიდის ხედი, მცირე - ერთ თაღიანი (სურათზე მარცხნივ) და დიდი ხუთთაღიანი (მარჯვნივ)

ხიდი ორი, დიდი და მცირე ხიდებისგან შედგებოდა. დიდი ხიდის ხუთი თაღის ქვეშ მტკვრის ძირითადი დინება მოექცა, მცირე ხიდის ქვეშ მდინარე მტკვრის განშტოება მიედინებოდა, რომელიც მიხეილის ხიდამდე, დაახლოებით 200-300 მეტრის დაშორებით, მთავარი დინებიდან გამოდიოდა, მცირე ხიდის თაღის ქვეშ გადიოდა და ძირითად დინებას უერთდებოდა თითქმის მუხრანის (დღევანდელი ბარათშვილის) ხიდთან.



მიხეილის მცირე ხიდის ახლო ხედი

შეერთებამდე, ძირითადი დინება და მისი განშტოება, შუაგულ მდინარეში, ხუთ ჰექტრამდე მიწის ფართობის კუნძულს ქმნიდა. XVIII საუკუნის ქართველმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა ამ კუნძულს უწოდა: „ახალი ბაღი მეიდნისა“. მტკვრის განშტოების მარჯვნივ, მეიდნის გარეთუბნის ნაპირი იყო.

ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ 1751 წელს სარდალ რევაზ ორბელიანს სამეფო სახლის დამსახურებისთვის გარეთუბანში სახასო (არაბ. საკუთარი), სამეფო ნასახლარი უბოძა. ნაჩუქრობის დოკუმენტში წერია: **„...ჩვენ ...მეფემან... თეიმურაზ... გიბოძეთ თქვენ...ჩვენის კარის მეწინავეს სარდალს თავად ორბელიანს რევაზს ...გარეთუბანს მეიდნის პირზედ ჩვენი სახასო სასახლის ადგილას, რაც დღეს გალავანი ავლია, შიგ გალავანში თავისის საყინულისა, ერთი გვერდი მტკვრის რიყის მიდგმამდი, მეორე გვერდი მეიდნის მიდგმამდის..“**

ადგილს ორბელიანების უბანი ეწოდა. გარეთუბანში ნაწყალობევ ადგილს ორბელიანებმა მტკვარზე არსებული დიდი კუნძულიც შემატეს და ეს კუნძულიც ორბელიანების მამულის საკუთრება გახდა. მას ორბელიანების კუნძულს ეძახდნენ. გალავან შემორტყმული სასახლე კუნძულის მოპირდაპირე მხარეს იდგა. მტკვრის ტოტი ყოფდა გალავანსა და კუნძულს. კუნძულზე ორბელიანებს ბაღები და ვენახები ჰქონდა გაშენებული.

„ქაჩიბაიძე-ბარათაშვილები ორბელიანების ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი შტოა. გვარის ფუძემდებელი ორბელ ბარათაშვილია, რომელიც თავის ძმას იოთამ ბარათაშვილს 1536 წელს გაეყარა. ბარათაშვილთა მემკვიდრე გვარებში ყველაზე ძლიერნი ორბელიანები იყვნენ...

მათ ჯამბაკურ-ორბელიანებად იცნობდნენ და ასე არიან ჩაწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის დანართში.

ფეოდალ ორბელიანთა სამფლობელო (საორბელო ან საყაფლანიშ-ვილო) XVIII საუკუნეში მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობათა დიდ ნაწილს. ორბელიანებს ჰყავდათ 100-მდე ვასალი აზნაური და 2000-მდე ყმა გლეხი, რომლებიც ცხოვრობდნენ 160-მდე სოფელში. დაწინაურებული ორბელიანები ქართლის მეფის კარზე მსახურობდნენ.“ [1]

სარდალი რევაზ ორბელიანი, რომელსაც თეიმურაზ II-მ სამეფო ნასახლარი უბოძა, ცხოვრობდა 1702-1769 წლებში. მისი შთამომავლობიდან ორბელიანების სასახლე, მემკვიდრეობით ერგო მის ვაჟს დავით რევაზის ძე ორბელიანს (1739 – 1796), რომელიც ერეკლე II-ის სიძე და ქართლის სახლთუხუცესი, სადროშოს სარდალი გახლდათ. მას ცოლად ჰყავდა ერეკლე II-ს ასული თამარი, რომელიც 39 წლის ასაკში გარდაიცვალა 1786 წელს. დავით ორბელიანის შემდეგ ორბელიანების სასახლე გადაეცა მის ძმას, ნიკოლოზ რევაზის-ძე ორბელიანს, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სასახლე მემკვიდრეობით მიიღო უფროსმა ვაჟმა ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოზის ძე ორბელიანმა, რომელიც 1766 წელს დაიბადა და იყო პოეტ გენერალ გროგოლ ორბელიანის მამა. იგი გარდაიცვალა 1827 წელს.

გრიგოლ ორბელიანი

მას შემდეგ ორბელიანების სასახლეს მემკვიდრეობით იღებს ერეკლეს II-ის შვი-ლიშვილი, ცნობილი ქართველი პოეტი და რუსეთის ინფანტერიის გენერალი გრიგოლ ზურაბის (დიმიტრის) ძე ორბელიანი, რო-მელიც 1883 წელს, 79 წლის ასაკში გარდა-იცვალა. ბედის განგებით, მემკვიდრე ვერ დატოვა და სასახლე მის ძმისშვილს, გიორ-გი ილიას ძე ორბელიანს ერგო. გრიგოლის ძმა, ილია ორბელიანი, რუსეთის გენერალ-მაიორი, ყირიმის ომში, კავკასიის ფრონტზე 1853 წელს დაიღუპა.

[1] მაია ცერცვაძე,დისერტაცია ისტორიის დოქტორის (Ph.D.) ხარისხის მოსაპო-ვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი 2017; თავი I.

XIX საუკუნის მიწურულს ორბელიანებისთვის ნაბოძები სამეფო სასახლე სიძველისაგან დაინგრა. დღეს არსებული სასახლე 1880-იან წლებში ააგო პოეტის ძმისწულმა, გიორგი ილიას ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა. იგი იქ ცხოვრობდა მანამ, სანამ 1922 წელს ბოლშევიკებმა არ მოახდინეს სასახლის ნაციონალიზაცია. გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანი გარდაიცვალა 1924 წელს, 71 წლის ასაკში.

გიორგი ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ
განახლებული სასახლე - საქართველოს
პრეზიდენტის რეზიდენცია

ორბელიანების ყოფილ სასახლეში, ლავრენტი ბერიას მითითებით, 1928 წლიდან განთავსდა უცხოეთთან კულტურული კავშირების სრულიად საკავშირო საზოგადოების საბჭოთა საქართველოს განყოფილება, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ იყო დაარსებული. 1958 წელს იგი გარდაიქმნა „უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობებისა და მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირად", საბჭოთა საქართველოში მას „გოდიქს“ უწოდებდნენ (Грузинское общество дружбы и культурных связей с заграницей),რუსული აბრევიატურა. საბჭოთა ხელი სუფლების წლებში აქ მართავდნენ, უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ დელე-

გაციებს მიღებას. იქ მიჰყავდათ საქართველოში მოწვეული მეცნიერები და ხელოვანები, ქართველი ემიგრანტები და მათი შთამომავლები. ამ საზოგადოების კურატორობა, საბჭოთა კავშირის დაშლამდე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ევალებოდა.

1992 წლიდან სასახლეში ფუნქციონირებდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და საკონსულო, ვიდრე აშშ-ს საელჩოს ახალი შენობა აშენდა დიღომში. სასახლეში, კაპიტალური შეკეთებისა და რესტავრაციის შემდეგ, 2019 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია განთავსდა.

რაც შეეხება ორბელიანების კუნძულს, სადაც 120 წლის შემდეგ კორტები მოეწყო, ის 1820-იან წლებში ორბელიანების მემკვიდრეებმა გენერალ ერმოლოვის სამსახურში მყოფ გენერალს, კნიაზ მირბაჯან მადათოვს მიჰყიდეს. კუნძულთან ერთად, გენერალს გადაეცა სასახლის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთიც. იმ დროიდან, თბილისელები ყოფილ „ორბელანის კუნძულს“ „მადათოვის კუნძულს“ უწოდებდნენ.

მადათოვი, ერმიტაჟი

„მადათოვის კუნძულის“ მფლობელი, ოფიციალურად ვალერიან გრიგორის ძე მადათოვი, 1782 წელს დაიბადა. წარმოშობით ყარაბახელი მელიქ შახ-ნაზარის მეჯინიბის - მეხრაბენ გიუკის შვილი იყო, სხვა ვერსიით ნამდვილი სახელი და გვარი როსტომ გრიგორიანია. იგი ყარაბახიდან ასტრახანს გაპარულა და რუსულ გვარდიაში დედის გვარით - მადათიანად ჩაეწერა. ასე გახდა მადათოვი.

სანკტ-პეტერბურგში მიმავალი სომეხი მელიქები, როცა გავლით ასტრახანს მივიდნენ, მადათიანმა მოახერხა მათ ამალაში, თარჯიმნად ადგილის პოვნა. მელიქ ჯიმშეთ შახნა ზროვმა ჯორების ქარავნის წინამძღოლის შვილს მისი დიდგვაროვანი წარმომავლობის შესახებ მოწმობა მისცა. შახნაზაროვის რეკომენდაციით მადათოვი რუსულ სამხედრო სკოლაში ჩარიცხეს. მას მფარველობდნენ სომხური დიასპორის უდიდესი წარმო-

მადგენლები - გრაფი ივანე ლაზარევი და ყოველა სომეხთა კათალიკოსი იოსები. სამხედრო კარიერა მადათოვმა გენერალ-ლეიტენატის წოდებით დაასრულა. იგი 1829 წელს, 47 წლის, ჭლექისგან გარდაიცვალა.

როგორც თავადი და რუსეთის გენერალ-ლეიტენატი, დასაფლავებულია პეტერბურგში, ალექსანდრო-პეჩორსკაიას ლავრაში. მისი პორტრეტი ერმიტაჟის სამხედრო გალერეაშია წარმოდგენილი.[1]

მესაკუთრის შეცვლასთან ერთად, კუნძულმა სახელიც და სახეც იცვალა. მადათოვის კუნძულზე ბაღების ნაცვლად, მცირე საწარმოები, საწყობები გაშენდა. მადათოვის პატრონობის ხელში კუნძული თანდათან გაპარტახდა, ბაღები აჩეხეს. როგორც ითქვა, კუნძულის ნაწილი წვრილმა საწარმოებმა დაიკავა, ნაწილი კი ნაგვსაყრელად იქცა. მადათოვის კუნძულის საწარმოებში იგულისხმებოდა ტყავის, ხისმჭრელი და ხის გადმამუშავებელი საამქროები, რომელთა მფლობელები სომეხი მეწარმეები იყვნენ: ავეტიკ ჯაგეტიანი და სოფია ტერ-ასატუროვა.

თბილისის გამქრალი კუნძულის ისტორიის შესახებ, 2014 წლის 30 იანვრის „რეპორტიორი“ წერს: **„...კუნძულის ნაწილი სასტუმრო „ლონდონის“ ფანჯრებიდანაც მოჩანდა. სკუდიერის ხიდის თავზე მდებარე სასტუმრო „ლონდონი“ რაფიელ გილიგოვს ეკუთვნოდა, რომელსაც მეწილედ გირშფელდი ჰყავდა... (ა. მორჩილაძე)... ამ სასტუმროს მეორე სართულზე, რომლის წინა ფანჯრები ძველი ყაბახის (ალექსანდრეს ბაღის) ქვედა ხეივნების მხარეს გამოდიოდა, ერთი უცხოელი დასახლებულიყო... თბილისელებმა იცოდნენ, რომ ბ-ნი პედერსენი სწავლობდა ფოლკლორს და ძველი მეფეების ამბებს აგროვებდა... დაინტერესებული იყო „მადათოვის“ კუნძულით... მის შესახებ შთაბეჭდილებებს წიგნაკში იწერდა... „კუნძულზე ვიყავი. დღეს გადავედი კუნძულზე, რათა კარგად დამეთვალიერებინა იგი. თუმცა, დასათვალიერებელი იქ არც არაფერია. საამქროში ტყავს ხდიდნენ გაწეპილი მუშები. საიდან არის ამდენი ჭვარტლი, ძნელი სათქმელია. საამქროსგან მოშორებით ორიოდე უბადრუკი ფარდულია. ფარდულებში მენაგვეები ცხოვრობენ,...იქ ვნახე რამდენიმე მენაგვე. იქ არის ნაგავსაყრელიც. შუა კუნძულზე დაუნანებლად ყრია ნაგავი, ყოველ დილით პატარა ხიდით ხალხს გადააქვს ნაგავი დიდი**

[1] მასალა ვიკიპედიიდან: Валериа́н Григо́рьевич Мада́тов.

გოდრებით, რომლებიც ან ხელის ურიკებზე აწყვია, ან სახედრებს აქვთ აკიდებული... როგორც ჩანს, წვავენ ხოლმე. ნაგავსაყრელი აქა-იქ ხრჩოლავდა. ამ კუნძულზე ხეები მრავლადაა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ გენერალ მადათოვს ვაშლი და ატამი უყვარდა. ახლა ეს ბაღი გაჩანაგებულია. ხეები მოუჭრიათ. რაც გადარჩენილა, მხოლოდ ვარჯებიღაა. სულ იქით კი მომცრო ვენახია. ის აშკარად შემორჩენილი ჩანს. აშკარაა, რომ ვენახი უფრო დიდი იქნებოდა და ალბათ, ნახევარი კუნძული ეჭირა. ახლა ეს უფრო გაველურებული ზვარია, ვიდრე ნამდვილი ვენახი... კუნძული ამოზრდილია შუა მდინარეში. ზედ არის ყოვლად ბინძური და უინტერესო საამქრო, რომელსაც ერთი ვიწრო საბუხრე მილი აქვს და იქიდან ამომავალი კვამლის ჭვარტლი ეფინება სასტუმრო "ლონდონის" სამხრეთ ფასადს და ხიდის კიდეზე ჩარიგებული სახლების აღმოსავლეთ კედლებს. კუნძულის ერთი ადგილი მთლიანად ვენახს უჭირავს... სულ ვფიქრობ, რას უნდა ნიშნავდეს ეს მყრალი ადგილი ქალაქის შუაგულში? ანდა, რას უნდა ნიშნავდეს ვენახი ნაგავსაყრელზე? როგორ უნდა იმეზობლოს ამ ორმა რამემ ისეთ მხარეში, სადაც ყურძენი სრულიად განსაკუთრებული რამ არის?" ხის მჭრელი და გადამამუშავებელი საამქრო, რომელიც მათადოვის კუნძულზე მდებარეობდა, ვინმე ჯაგეტიანებს ეკუთვნოდათ." [1]

[1] **ტაბატაძე თეო,** თბილისის გამქრალი კუნძულის ისტორია, 20.01.2014, "რეპორტიორი" მედია ჰოლნდინგი.



„ვორონცოვის“ ხიდის კიდე და
სასტუმრო „ლონდონი“

სქოლიოში მითითებულია კუნძულის აღწერის ლიტერატურული წყარო - „რეპორტიორი“. ვფიქრობ, მართალი ვიქნები, თუ მწერალ აკა მორ-ჩილაძეს მადლობას შევუთვლი, როგორც მადათოვის კუნძულის ზემოთ მოტანილი „დათვალიერების“ ავტორს,რამეთუ მისმა წიგნმა „გადაფრენა მათადოვის კუნძულზე და უკან“ დამაბრუნა გამქრალი კუნზულის მიწაზე.

„რადიო თავისუფლების“ ინტერნეტსაიტზე, ლიტერატურათმცოდნე მალხაზ ხარბედია, 2010 წლის 29 აგვისტოს, მწერალ დათო ტურაშვილთან ერთად, განიხილავს აკა მორჩილაძის, იგივე, გიო ახვლედიანის, „მადათოვის ტრილოგიას”.

დათო ტურაშვილი - „**სულ მახსენდება ხოლმე ბორხესის სიტყვები: ლიტერატურა, ანუ გამონაგონი გაცილებით დამაჯერებელია, ვიდრე სამყარო რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთო. და პირველი მადათოვი როცა წავიკითხე, მაშინ გამიჩნდა ეს იდეა და მაშინ დავიწყე იმის აღმოჩენა, რომ ის სამყარო უფრო რეალური იყო”.... ცალკე თემაა თავად კუნძული..., მისი სიმბოლური მნიშვნელობა და ის სევდა, რომელიც მის გაქრობას უკავშირდება... ამ კუნძულის დაკარგვით ჩვენმა ქალაქმა ძალიან ბევრი რამ დაკარგა, და ეს არ იყო მხოლოდ დანაკლისი ეგზოტიკის თვალსაზრისით“.**

მალხაზ ხარბედია - **„თვითონ ეს მადათოვიც, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ეს იყო კუნძული, მაგრამ იმავე დროს იყო უფრო მეტი... მადათოვი ჩემთვის არის თვითონ კუნძულის თავგადასავალიც და ამავე დროს რაღაცნაირად, ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის თავგადასავალიც".**

არგენტინელი მწერლისა და პოეტის ფრანცისკო ისიდორო ლუის ბორხეს ასევედოს სიტყვებში ეჭვი რომ შევიტანო, მეც, მასავით სერვანტესის პრემიის ლაურიატი უნდა ვიყო. შესაბამისად, ვერც უარვყოფ და ვერც ვადასტურებ, რომ ლიტერატურა, ანუ გამონაგონი გაცილებით დამაჯერებელია ვიდრე რეალობა. ფაქტია, ფიქრებმა მადათოვის გამქრალ კუნძულზე, მწერალ აკა მორჩილაძეს, გამონაგონისა და რეალობის შერწყმით, ახალი დროის ქართული ბესტსელერი შეაქმნევინა. მწერალ დათო ტურაშვილს ათქმევინა, რომ კუნძულის დაკარგვით ქალაქმა ბევრი რამ დაკარგა. ბატონი მალხაზ ხარბედიას აზრიც ვიცით: **„კუნძულის თავგადასავალი ამა ვე დროს, რაღაცნაირად, ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის თავგადასავალიც არის".**

ჩვენც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მადათოვის კუნძულის გაქრობით თბილისს ხიბლი მოაკლდა. იმასაც დავწერთ, რომ მადათოვის კუნძულის ყოფილ მიწაზე გაშენებული ჩოგბურთის კორტებმა თბილისს ახალი სპორტული ცხოვრება შესძინა, რომელი სპორტული ცხოვრებაც, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მცირე ეპიზოდად აისახა, მაგრამ ღრმა ნაკვალები დატოვა. სწორედ ამიტომ, უკვე გამქრალი ჩოგბურთის კორტების გამო, „ქალაქმა ბევრი რამ დაკარგა". უპირველეს ყოვლისა, ძველმა თბილისმა დაკარგა კულტურილი მემკვიდრეობის ძეგლი. ამ შემთხვევაში, ფორმალობას, ძეგლის სტატუსის შესახებ ოფიციალურ ქაღალდს, მნიშვნელობა არა აქვს.

ერთსაც დავამატებთ: თუ ხსენებულ პატივცემულ ბატონებს კუნძულის თავგადასავალი, რაღაცნაირად, ქვეყნისა და ხალხის თავგადასავლად მიაჩნიათ, ჩვენ ნამდვილად დარწმუნებულები ვართ, რომ იმ ადამიანების თავგადასავლები, რომლებიც ორმოცი წელი, მადათოვის კუნძულის მიწაზე გაშენებულ კორტებზე ჩოგბურთის ორომტრიალში აღმოჩნდნენ, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიის მცირედ ეპიზოდს წარმოადგენს. შესაბამისად, უფლება გვაქვს ვწეროთ მათ შესახებ.

„ორბელიანების სასახლეს“ სამხრეთ აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ვანქის კათედრა - საყდარი რომელიც მადათოვის კუნძულიდანაც კარგად მოჩანდა. XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, მოგზაური და პუბლიცისტი პლატონ იოსელიანი ამ მონასტრის შესახებ წერდა: **„... თავდაპირველად ეკლესია XV საუკუნის ბოლოს აშენდა... ამ ეკლესიის ნანგრევებზე, მეფე ვახტანგ VI-ის დროს, ახლანდელი ააშენეს. სხვა წარწერებით ჩანს, რომ გუმბათი ...1750 წელს, ხოლო მთელი ეკლესიის აღდგენა მეფე ერეკლე II-ის დროს, 1788 წელს მომხდარა. ვანქი არის კათედრალური საყდარი. მასში მსახურობს არქიეპისკოპოსი ყოველთა სომეხთა საქართველოში.მონასტერს აქვს სამი გუმბათი...“**



ერმაკოვის ფოტო: მათადოვის კუნძული,
უკან მიხეილის ხიდი, მარცხნივ ვანქნის საყდარი

საყდარს გარშემო ეკვროდა დიდი სასაფლაო. სხვადასხვა ცნობებით აქ იყვნენ დასაფლავებული ცნობილი თბილისელი სომხები, მ.შ. გაბრიელ სუნდუკიანი, მეცენატი ალექსანდრე მანთაშევი.

დიმიტრი ერმაკოვის ფოტოზე კარგად ჩანს, მტკვრის მარჯვენა განშტოების პირას სამგუბათიანი ვანქის საყდარი და მის ეზოში ცალკე მდგარი მაღალი სამრეკლო. ეს იყო საქართველოში ყოველთა სომეხთა არქიეპისკოპოსის კათედრალური საყდარი, რომელიც, XX საუკუნის 30-იან წლებში, სამწუხაროდ, დაანგრიეს. საქართველოში, იმ წლებში, ქართული

ეკლესიების მიმართ ასეთი ვანდალიზმის ფაქტები საკმაოზე მეტი იყო. დანგრეული საყდრის აგურებით თბილისში, ათონელის ქუჩის N3 -ში, ააგეს სამსართულიანი სომხური სკოლა. ვანქის საყდრის სამრეკლო კი დანგრევას გადაურჩა, იქვე დგას. 23 წლის განმავლობაში ჩემი სახლის ეზოში გამავალი ფანჯრიდან, სამრეკლოს ვუცქერდი, ალბათ იმიტომ, რომ ისტორიულ დოკუმენტებში ჩამეხედა, ნანახითა და წაკითხულით, მოწმე და თანაზიარი გავმხდარიყავი იმ ისტორიის, რაც თბილისის ამ ადგილს თავს გადახდა.

ვანქის საყდრის ნაშთი
- სამრეკლო, თბილისის 104-ე
საჯარო სკოლის ეზოში

მადათოვის კუნძული ქალაქის ნაწილი გახდა

ისტორიის იმ მონაკვეთში, როცა კუნძული მადათოვის საკუთრება იყო, იქ არსებული სიბინძურე მეტად აწუხებდა ისედაც გაჭირვებულ თბილისის მოსახლეობას, მაგრამ ხისმჭრელ და ხის გადამამუშავებელი საამქროების მფლობელებს: ჯაგეტიანსა და სოფია ტერ-ასატუროვას, კუნ-ძულზე არსებული ნაგავსაყრელი არ ადარდებდათ, რადგანაც, კუნძული-დან შემოსავალს იღებდნენ.

მადათოვი, თითქმის 100 წლის მიცვალებული იყო, მაგრამ კუნძულს, მაინც მისი სახელი ერქვა. XX საუკუნის დასაწყისშიც კი, იქ ნაგავსაყრელი ყოფილა. მადათოვის კუნძულზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, ხანმოკლე არსებობის გამო ვერ მოიცალა. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასაც არ გამოუხატავს რაიმე ინტერესი მადათოვის კუნძულის მიმართ, მთელი 15 წლის განმავლობაში. 1930-იანი წლების ბოლოს მოიცალეს კუნძულის კეთილმოსაწყობად 1936-1938 წლებში ლავრენტი ბერიას განკარგულებით, რომელიც ერთდროულად იკავებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და თბილისის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივნის თანამდებობებს, დედაქალაქში მდინარე მტკვარი ბეტონის ჯებირებში მოაქციეს და ორივე სანაპირო კეთილმოაწყვეს. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ბეტონის ჯებირის ამოყვანით, ვორონცოვის ხიდის უკიდურესი მარჯვენა თაღის ქვეშ გამავალი მტკვრის განშტოება დაშრა, რადგან იგი მტკვრის ძირითად დინებაში მოექცა. პატარა ხიდს კი „მშრალი ხიდი“ ეწოდა, რომლის თაღის ქვეშ მაგისტრალური საავტომობილო გზა გაიყვანეს. მას კომუნისტებმა ჯერ სტალინის სახელობის სანაპირო უწოდეს, შემდეგ, სანაპიროს ქუჩა. დღეს ზვიად გამსახურდიას სახელობის მარჯვენა სანაპიროა. მტკვრის მარცხენა ნაპირის ჯებირების ამოყვანით, მდინარის დინება „ვორონცოვის“ ხიდის, მხოლოდ ოთხი თაღის ქვეშ გადის. უკიდურესი მარცხენა თაღის ქვეშ კი, მარცხენა სანაპიროს მაგისტრალური საავტომობილო გზა გავიდა, რომელსაც დღეს ნოე ჟორდანიას სახელი ეწოდება.

„მშრალი ხიდი“

ბრინჯაოს ძეგლი
„ი. სტალინი“

აღნიშნული რეკონსტრუქციით, მადათოვის კუნძულის ტერიტორია მტკვრის მარჯვენა მხარეს დარჩა. ის ქალაქის სახმელეთო ნაწილს შეუერთდა. შემოერთებული ტერიტორია, დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში კეთილმოეწყო და გამწვანდა. იგი ორად დაიყო. ვორონცოვის ხიდის ჩრდილო დასავლეთ მხარეს სკვერი გაშენდა, დღეს მშრალი ხიდის სკვერია. იქ 1939 წელს, მოქანდაკე სილოვან კაკაბაძის მიერ შექმნილ მაღალ კვარცხბეკლზე აღიმართა ბრინჯაოს ძეგლი „ი. სტალინი“. შესაბამისად, სკვერს სტალინის სახელი ეწოდა.

მადათოვის კუნძულის უმეტესი ნაწილი, რომელიც „ვორონცოვის“ ხიდის სამხრეთ აღმოსავლეთით დარჩა, მთლიანად გამწვანდა და დიდი ბაღი გაშენდა. თითქმის, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამ ბაღში აღიმართა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელისა და არქიტექტორ ნოდარ მგალობლიშვილის ძეგლი „დედაენა“.

„დედა ენის“ ბაღი

კორტების შექმნის შესახებ ალექსანდრე მეტრეველის ნაამბობი, მახსოვს ასეთი: **„ლავრენტი ბერიას მეუღლე თამაშობდა ჩოგბურთს. ჩოგბურთის მწვრთნელ ხანგულიანს მისთვის შეუჩივლია, სათანადო კორტები არ გვაქვსო. ეს ადგილი სადაც ადრე კუნძული იყო 1938 წელს ქალაქის სახმელეთო ნაწილს შეუერთდა. სწორედ იმ დროს ნინო გეგეჭკორს ქმრისთვის უთხოვია აქ კორტების მოწყობა. ორი კვირის შემდეგ თურმე ჩოგბურთელებისთვის ეს ტერიტორია გადაუციათ და კორტები მოუწყვიათ“.** გამწვანებული ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში 1939 წელს მოეწყო ჩოგბურთის ცხრა ღია კორტი მათ შორის ცენტრალურს მაყურებლებისთვის, მრავალრიგიანი ტრიბუნა ჰქონდა, აგრეთვე იყო კალათბურთის მოედანიც. ალექსანდრე მეტრეველი იხსენებს:

„აქ, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში კალათბურთის თამაშისთვისაც მიყურებია მამასთან ერთად. ერთხელ "დინამოს" და მოსკოვის ცსკა-ს მატჩს დავესწარით. ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია თამაშობდნენ ჩვენს გუნდში...“



ფოტოზე: მშენებარე „დინამოს“ კორტების ხედი,
1938 წლის ზაფხული

“დინამოს“ კორტების ხედი სანაპიროს ქუჩიდან,
XX საუკუნის დასასრული

საჩოგბურთო სტადიონს ეჭირა ორ ჰექტარამდე მიწის ფართობი, იგი შემოფარგლული იყო მაღალი რკინის ბადეებით, რომელიც 1980-იან წლებში აგურის ღობით შეცვალეს. კორტებს ცენტრალური შესასვლელი სანაპიროს ქუჩიდან ჰქონდა, მეორე შესასვლელი „დედა ენის“ ბაღში გამავალი მოკლე საავტომობილო გზით, რომელიც კორტების მტკვრისპირა ტერიტორიამდე შედიოდა. ორივე შესასვლელში რკინის ალაყაფი ჩაიდგა. ცენტრალური მოედნის უკან ააგეს კოხტა ორსართულიანი შენობა დიდი ღია ვერანდით, რომელიც ცენტრალურ კორტს ზემოდან გადაჰყურებდა. შენობის პირველ სართულზე მოეწყო გასახდელები, საშხაპეები, რომლებიც 1980-იან წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციით გაუმჯობესდა. არსებულს მიემატა „საუნა“, აუზი გასახდელითა და მოსასვენებლით. მოეწყო თანამედროვე ბარიც. მეორე სართული, ძირითადად ადმინისტრაციას დაეთმო. ბაღის ტერიტორიაზე არსებული ფეხბურთის მინი მოედანი, კორტებს შეემატა და იქ აშენდა ზამთრის დახურული დარბაზი, ჩოგბურთის ორი კორტით.

ადმინისტრაციული შენობა
ღია ვერანდით



N3 და N4 კორტი

1972 წელი, ცენრალური კორტი „დევისის“ თასზე
სსრკ-უნგრეთის შეხვედრის წინ

ალექსანდრე მეტრეველი „დევისის“ თასზე
უნგრელ სტეფან ბარანისთან თამაშის დროს

საჩოგბურთო სტადიონის ოთხივე მხარე კარგად იყო გამწვანებული. სტადიონის აღმოსავლეთ ნაწილი, სადაც ჩოგბურთელებისთვის სავარჯიშო ე.წ. „კედლები“ იყო მოწყობილი, თითქმის, მდინარე მტკვრის ბეტონის კალაპოტის მოაჯირს ებჯინებოდა. 1954 წელს, ორთაჭალჰესის ექსპლუატაციაში შესვლით, მტკვრის დონე აიწია და ისეთი დინება შექმნა, რომ მდინარეზე ნიჩბოსნები ვარჯიშობდნენ. საჩოგბურთო სატადიონის გვერდით ნიჩბოსანთა სპორტული ბაზაც დაარსდა. შესაბამისად, თბილისის ეს ულამაზესი ადგილი მტკვარზე მოცურავე ნავებითა და მოფარფატე თოლიებით, კორტებზე მოთამაშე ჩოგბურთელებითა და გამწვანებული ტერიტორიით, თბილისელების თვის სანახაობრივად მეტად შთამბეჭდავი და დასასვენებლად საამო იყო.

კორტების ცენტრალური ნაწილი

„დინამოს“ კორტების სტადიონი გაქრა. დღეს თბილისელებს ის ადგილი სულ სხვა ფუნქციით ემსახურება. იქ ააგეს იუსტიციის სახლი. ამ გადაწყვეტილების ავ-კარგიანობის შესახებ აზრს, ქვემოთ მოგახსენებთ. კოსმოსიდან გადაღებული ფოტოთი, მიუხედავად მისი დაბალი ხარისხისა, მკითხველი შეამჩნევს, თუ როგორ შეიცვალა ქალაქის ცენტრში არსებული გამწვანებული მიწა ასფალტით და მასზე აღმართული რკინის მილებით, ბეტონითა და შუშით ნაშენი ნაგებობით.

ჩოგბრთის კორტები

იუსტიციის სახლი
კოსმოსიდან 1

იუსტიციის სახლი
სანაპიროს ქუჩიდან

1 ფოტოები მოტანილია ვლადიმერ გოგლიძის წიგნიდან „ჩოგბურთი“

ორი ისტორიული ეპიზოდი

ყოფილი მადათოვის კუნძულის უკვე კეთილმოწყობილ ტერიტორიას უკავშირდება ორი ისტორიული ფაქტი: ერთი ქართველი ხალხის ტრაგედიაში გამოიხატა, მეორემ - ქართველთა დიდი მღელვარება გამოიწვია. თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ისტორიის უმეტესი პერიოდი ქართველთა გასაჭირს ღაღადებს. არც გასული საუკუნის 1956 და 1978 წლები იყო გამონაკლისი.

1956 წლის 5 მარტს სტალინის გარდაცვალებიდან მესამე წლის თავზე თბილისში, სტალინის სახელობის სკვერში, მის ძეგლთან სამგლოვიარო მიტინგი დაიწყო. მსგავსი მიტინგი წინა წლებშიც იყო,მაგრამ ხელისუფლება მის ჩატარებას არ ეწინააღმდეგებოდა.

1956 წლის თებერვლის შემდეგ სტალის ხსოვნის მიმართ მიდგომა შეიცვალა. კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება - „პიროვნების კულტის შესახებ და მის შედეგებზე“. დაიგმო სტალინის განდიდება. ხრუშჩოვის ბრძანებითვე პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში მარტის დასაწყისში ე.წ. „დახურული წერილის“ კოლექტიური მოსმენები მოეწყო. მოხსენების შინაარსი, საქართველოში, უკვე თებერვალიდანვე იყო ცნობილი და ხრუშჩოვის მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ჩამოყალიბდა.

თბილისის მოქალაქეები 5 მარტს შეიკრებნენ სტალინის სახელობის სკვერში. სტალინის ძეგლი ყვავილებით დაფარეს და ძეგლთან საპატიო ყარაული დადგა. ხალხის რაოდენობა, სხვადასხვა ინფორმაციით, 5 ათასიდან 20 ათასამდე იყო.

სტალინის პიროვნების კულტის დაგმობის გამო, მისმა თაყვანისმცემლებმა მიტინგზე პროტესტი გამოთქვეს. დემონსტრანტებს მხარდაჭერა გამოუცხადეს თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებმაც. მომიტინგეებს საქართველოს პარტიის ცეკას პირველმა მდივანმა მიმართა: **„მეგობრებო, შვილებო, ახალგაზრდებო, გთხოვთ დაიშალეთ, წადით სახლში, თორემ შეიძლება რამე მოხდეს. თუ ასე გაგრძელდება და არავის დაუჯერებთ, თქვენ არ იცით, რა მოხდება“.**

თბილისი. სტალინის ძეგლი მშრალი ხიდის მდებრე სკვერში, 1956 წლის 7 მარტი

მომიტინგეებმა არაფრად ჩათვალეს ვასილ მჟავანაძის გაფრთხილება. დიდი მიტინგი ლენინის მოედანზეც იყო. სიტყვით გამოვიდნენ იოსებ ნონეშვილი და გრიგოლ აბაშიძე, უნივერსიტეტის რექტორი ვიქტორ კუპრაძე.

გორიდან თეატრის მსახიობები სტალინისა და ლენინის გრიმით იდგნენ საბარგო მანქანაზე და ამხნევებდნენ დემონსტრანტებს. „ლენინ-სტალინს“ რაიონებიდან ჩამოსულები მიაცილებდნენ. იმასაც წერდნენ რომ „თეატრალიზებულმა სანახაობამ კომიკური სახე მიიღო, როცა დემონსტრანტებიდან ვიღაცამ მოითხოვა: „ხალხო, სტალინმა ლენინს აკოცოსო“. მერე ვიღაცამ იყვირა: “არა ლენინმა აკოცოს სტალინსო“. ასე მთელი გზა სანაპირომდე ლენინი და სტალინი ეხვეოდნენ ერთმანეთს...“

დემონსტრაციამ საბჭოთა კავშირში იმდროისათვის ჯერ გაუგონარი საპროტესტო სახე მიიღო. მოთხოვნები უფრო და უფრო პოლიტიზებული ხდებოდა. გაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაც. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო 5-9 მარტის დემონსტრანტების მოთხოვნები. მათი აზრით, ეს უიარაღოთა აჯანყებას დაემსგავსა. ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. დარბევა დაიწყო კავშირგაბმულობის სახლთან. ხალხს ტყვიები დაუშინეს. ოფიციალური წყაროები ამის მიზეზად

ასახელებენ დემონსტრანტების აგრესიულობასა და კავშირგაბმულობის სახლის შტურმით აღების მცდელობას.

9 მარტს, ღამით, სტალინის სახელობის სკვერში, ძეგლთან, საბჭოთა არმიის ნაწილებმა საბარგო მანქანებიდან ტყვიები დაუშინეს მომიტინგეებს. სკვერის კიბეებზე ტანკი დაეშვა. მისი მუხლუხების ქვეშ რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა. ზოგიერთი ხიშტზეც კი წამოაგეს. მოკლეს 150-ზე მეტი ახალგაზრდა და დაასახიჩრეს კიდევ უფრო მეტი.

დაღუპულთა ზუსტი რიცხვი დღემდე უცნობია. 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენების ამსახველ მასალებსა და დოკუმენტებს გრიფი „საიდუმლო“ დაედო. მათი ნაწილი საჯარო და ხელმისაწვდომი გახდა 2011 წელს. ოფიციალური მონაცემებით კავშირგაბმულობის სახლთან და სტალინის მონუმენტთან 9-10 მარტის ღამეს დაიღუპა 15, დაიჭრა 54 (აქედან 7 გარდაიცვალა), დააპატიმრეს 200 ადამიანი. ინფორმაცია, თბილისში 9-10 მარტის ღამეს მომხდარი ან შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ, გაზეთებში არ დაბეჭდილა.

გამოჩნდა შემდეგი შინაარსის ცნობები: 14 მარტს დაიწყეს მიცვალებულთა გვამების გაცემა...მანქანაში უნდა იჯდეს 4-5 მეთვალყურე მილიციელი და მოკლულის ახლობლები დედ-მამა, შვილები, ცოლი ან ქმარი... ამ საშინელი პროცესიის გადასახადი 300 მანეთი, ჭირისუფლებს წინასწარ უნდა შეეტანათ.[1]

აი, ასეთი უბედურება დაატყდა თავს საბჭოთა ხელისუფალთა მიერ უკვე კეთილმოწყობილ, მადათოვის კუნძულს.

მეორე ისტორიული მოვლენა, რომელიც ყოფილი მადათოვის კუნძულის ტერიტორიას უკავშირდება, იყო ქართული ენის დასაცავად დემონსტრაციაზე გამოსული ქართველი ხალხის მღელვარება. საბედნიეროდ, ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა. მღელვარების ერთ-ერთი ეპიცენტრი გახდა ყოფილი მადათოვის კუნძულზე გაშენებული ბაღი. ამ ბაღში თვშეყრილმა დემონსტრანტება ხელისუფლებისაგან რადიოთი მოისმინეს, რომ ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა. გამარჯვების კიჟინი მტკვრის ხეობაში ექოდ გაისმა. ამ გამარჯვების ნიშნად წლების შემდეგ იქ

[1] ნინო ჯაფარიძე, ჟურნალი ”ისტორიანი”, 2016 წლის მარტი, #3/63

„დედაენის“ ძეგლი აღიმართა და ყოფილ მადათოვის კუნძულზე გაშენებულ ბაღს „დედა ენის“ ბაღი დაერქვა.

ყველაფერი იმით დაიწყო რომ 1978 წელს ქართველმა საზოგადოებამ მტკიცე პროტესტი გამოხატა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების (ფაქტებით ასე ჩანს - ავტ.) გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა.

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრკ -ში მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია. შესაბამისად, მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებსაც ევალებოდა ახალი კონსტიტუციის მიღება. 1978 წლის 24 მარტს საქართველოს კომპარტიის ორგანომ, რუსულენოვანმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ გამოაქვეყნა საქართველოს კონსტიტუციის 75 მუხლის პროექტი და 1978 წლის 14 აპრილს დაინიშნა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელსაც ახალი კონსტიტუცია უნდა დაემტკიცებინა. იმ დღიდან დაიწყო და 20 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ახალი კონსტიტუციის მუხლი 75-ის პროექტის „სახალხო განხილვა“. აღნიშნულ მუხლში გამოხატული იყო მცდელობა, რუსული დაეყენებინა ყველა ენაზე მაღლა, რომელესაც საქართველოს მოსახლეობა გამოიყენებოდა. ამასთანავე,ქართული კარგავდა სახელმწიფო ენის სტატუსს და უთანაბრდებოდა ქვეყანაში მცხოვრებ ენებს. მუხლი 75 ასეთი რედაქციით იყო: **„საქართველოს სსრ სახელმწიფოში და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურისა და სხვა დაწესებულებებში უზრუნველყოფს რუსული ენის გამოყენებას და განახორციელებს ყოვლისმომცველ ზრუნვას მის განვითარებაზე.**

საქართველოს სსრ-ში, თანასწორობის საფუძველზე, ყველა დაწესებულებაში და ორგანიზაციაში უზრუნველყოფილი იქნება რუსული ენის თავისუფალი ხმარება, ასევე სხვა ენების, რომლებსაც გამოიყენებს მოსახლეობა. ამა თუ იმ ენის რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვა დაუშვებელია.“[1]

საქართველოს სსრ-ის იმ დროს მოქმედი 1937 წლის კონსტიტუციის მუხლი 156-ში ჩაწერილი იყო: **„საქართველოს სსრ-ში სხელმწიფო ენას წარმოადგენს ქართული ენა. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე**

[1] газета «Заря Востока» согласно книге «История инакомыслия в СССР» Л. Алексеевой.

დასახლებული ნაციონალური უმცირესობა უზრუნველყოფილია უფლებით გამოიყენოს და განავითაროს მშობლიური ენა, როგორც თავიანთ კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში.“

20-დღიან „სახალხო განხილვების“ პერიოდში, რესპუბლიკის გაზეთებში იბეჭდებოდა წინადადებები, უცვლელად დაეტოვებინათ სახელმწიფო ენის შესახებ, ძველ კონსტიტუციაში მოქმედი მუხლი და სახელმწიფო ენად დარჩენილიყო ქართული ენა. საგანგებო სესიის გახსნამდე, რამდენიმე დღით ადრე, უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელდა ფურცლები მოწოდებით - ქართული ენის დასაცავად დემონსტრაციაზე გამოსულიყვნენ. 13 აპრილს სპეციალურად მოწვეულ თათბირზე შევარდნაძემ სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს, სტუდენ ტებისთვის გადაეფიქრებინათ დაგეგმილი დემონსტრაცია და შეახსენა 1956 წლის 9 მარტს დახვრეტილი სტუდენტების ისტორია.

მიუხედავად ამისა, 1978 წლის 14 აპრილს მრავალათასი დემონსტრანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან მთავრობის სასახლისკენ დაიძრა. ქართული ენის დასაცავად, მასობრივი გამოსვლები იყო საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: **„დავიცვათ მშობლიური ენა!“, „ქართული-სახელმწიფო ენაა!“** აჭარაში ასეთი ლოზუნგი გაჩდა: **„ჩადრში შენახულ ქართულ ენას არ დავთმობთ!“** საპროტესტო კულმინაცია იყო, როცა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია გაიხნა.

ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნების მოთხოვნით, 1978 წლის 14 აპრილს მადათოვის ყოფილ კუნძულზე გაშენებულ ბაღში ჩატარდა დიდი საპროტესტო მიტინგი. შევარდნაძემ და ზოგიერთი დეპუტატის ხელით დემონსტრანტებს 75 მუხლის კომპრომისული ტესქტი გაუგზავნა, სადაც სთავაზობდა, რომ ქართული ენა იქნება რესპუბლიკური ენა. მაგრამ დემონსტრანტებმა შემოთავაზებული ვარიანტი დაწვეს და სკანდირებდნენ: „სახელმწიფოებრივი“! უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის ტრანსლირება დაიწყეს. შევარდნაძემ თავისი მოხსენება ასეთი სიტყვებით: დაიწყო „მთავრობა სერიოზულად განიხილავდა 75-ე მუხლის ტექსტს და მოსკოვიდან რჩევებს ღებულობდა“. ამ სიტყვებმა ხალხში უმძაფრესი პროტესტი გამოიწვია. შეშფოთებულმა დეპუტატებმა გადაწყვიტეს კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი უცვლელად დაეტოვებინათ.

ეს იყო 14 აპრილის დაახლოებით 15 საათი. დეპუტატების აპლოდისმენტები ახლდა შევარდნაძის მიერ, ხალხის ზეწოლით შესწორებულ და ქვეყნის გასაგონად წაკითხულ კონსტიტუციის 75-ე მუხლს, სადაც ეწერა, რომ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. დემონსტრანტები მხოლოდ იმის შემდეგ დაიშალნენ.

ამ პროცესებს, დაახლოებით, 20 დღით უსწრებდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების (კგბ-ს) კოლეგიის გაფართოებული სხდომა. იმ უწყების მაღალჩინოსნის მოგონებით, კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს კგბ-ს თავმჯდომარეს ალექსი ინაურს უთქვამს: **„მე ახლა მოვდივარ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომიდან. ბიურომ მიიღო ისეთი დანაშაულებრივი დადგენილება, რასაც ნაციონალიზმის აფეთქება მოყვება.“** შემდეგ ციტირება გაუკეთებია ბიუროს დადგენილებით მოწონებულ საქართველოს ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლის პროექტის.

თუ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1978 წლის მარტში თავისი დადგენილებით ახალი კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლის ტექსტი მოიწონა, ამ ფაქტის დასადასტურებლად არქივში უნდა მოინახოს აღნიშნული ბიუროს დადგენილება. თუმცა საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივის ელექტრონულ საიტზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ გვიდასტურებს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს 1978 წლის მარტის ბიუროს სხდომის ოქმის არსებობას. პარტიული ფონდების ელექტრონული ანოტაციის გაცნობით დადგინდა, რომ „განსაკუთრებულ საქაღალდეებში“ დაცულია ის დოკუმენტები, რომელიც ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტებიდან, მხოლოდ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს ეხება.

ფონდი N14-ის ანოტაცია,რომელის მიხედვითაც ფონდი მოიცავს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს 1921-1991 წლების სხვადასხვა დოკუმენტებს, ჩვენთვის საინტერესო ბიუროს სხდომის ოქმი მითითებული არ არის. ანოტაციის მიხედვით, ამ ფონდში დაარქივებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ოქმები,მ.შ. რომელთა სხდომებზე განხილულია 1956 წლის 9 მარტის და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები. არქივის ელექტრონული ანოტაციების განხილვით შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ საქართველოს მთავარ კომუნისტებს ან არქივის თანამშრომლებს, 1987 წლის 14 აპრილი მნიშვნელოვან თარიღად არ

მიაჩნიათ, ან შეგნებულად არ დატოვეს არქივში იმ პერიპეტიების ამსახველი დოკუმენტები და თვით იმ ბიუროს ჩანაწერი, რომელის შინაარსი საქართველოს კგბ-ს თავმჯდომარემ ინაურმა, თანამშრომლებს გააცნო, როგორც დანაშაულებრივი.

ქართველი პატრიოტების მიერ 1978 წლის 14 აპრილს გამართული ბრძოლის დაკნინებას იოტისოდენად არცკი ვფიქრობ, მაგრამ რამდენიმე კითხვით მივმართავ მკითხველს:

დირექტივა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმების შესახებ, თუ მართლა მოსკოვიდან მოდიოდა, რატომ იგი არ გამოქვეყნდა?

თუ საიდუმლო დირექტივა ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, რატომ იგი არ შეეხო სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა კონსტიტუციებს?

სომხეთის სსრ უმღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე 1978 წლის 14 აპრილს მიღებული იქნა სომხეთის სსრ-ს ახალი კონსტიტუცია, რომლის მუხლი 72-ში წერია: **„სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის სომხური ენა“.**[1]

სომეხმა ხალხმა ახალი კონსტიტუცია, ყოველგვარი პროტესტის გარეშე, იმ დღეს, 1978 წლის 14 აპრილს, რამდენიმე საათით ადრე მიიღეს როცა ქართველი ახალგაზრდობა და მათი მასწავლებლები თავგანწირვით იცავდნენ მშობლიურ ენას მანამდე, ვიდრე შევარდნაძემ ქართველ ერს არ გამოუცხადა: „მოსკოვი დათმობაზე წამოვიდაო“.

ჩვენ ვიცნობთ მოსკოველი პოლიტიკოსების თმენის დიაპაზონს და მათგან მიზნის მისაღწევად გატარებულ ღონისძიებებს. მათი გადწყვეტილება რომ ყოფილიყო, ის ქართველების სისხლის ფასად შესრულდებოდა.

დირექტივა რომ ყოფილიყო,საბჭოთა სომხეთის ახალ კონსტიტუციაში, 1978 წლის 14 აპრილს ჩაიწერებოდა ის, რასაც მოსკოვის დირექტივა გაითვალისწინებდა.

მავანმა რომ განაცხადოს, რომ ერევანმა გადაწყვეტილება მიიღო თბილისში მიმდინარე პროცესების შედეგად, არასწორი იქნება. ფაქტი ადასტურებს, რომ თბილისში მღელვარება არც იყო ჩამცხრალი, როცა ერევანში კონსტიტუცია მშვიდ ვითარებაში,მიღებული ჰქონდათ.

---

[1] Конституции Армянской ССР, Приняты 14 апреля 1978 г.

საბჭოთა აზერბაიჯანის კონსტიტუციაც 1978 წლის 21 აპრილს, ერთი კვირის თავზე, მშვიდ ვითარებაში მიიღეს. კონსტიტუციის მუხლი 73, ასეთი რედაქციით იყო: **„აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის აზერბაიჯანული ენა.“**[1]

თუ საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივის ელექტრონულ საიტ-ზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ გვიდასტურებს საქართველოს კომუნის-ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის მარტის ბიუროს სხდომის ოქმის არსებობას, და თუ აზერბაიჯანსა და სომხეთში სახელმწიფო ენა სახალხო გამოსვლების გარეშე შენარჩუნდა, ვფიქრობ მკითხველი უნდა დაეჭვდეს, რომ ეს მოსკოვიდან თავს მოხვეული დირექტივა კი არა, არა-მედ,თბილისში შემუშავებული თვალმაქცობა იყო.

აი, ასეთი ისტორიული ფაქტების მომსწრეა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყოფილი მადათოვის კუნძული.

რატომ გაშენდა კორტები გამქრალ კუნძულზე?

დასმულ კითხვას, ბუნებროვია, პასუხი უნდა მოვუძებნოთ. უკვე აღინიშნა, რომ ლავრენტი ბერიას მეუღლე - ნინო გეგეჭკორი, გატაცებული ყოფილა ჩოგბურთით, მაგრამ საინტერსოა, როდის დაიწყო ეს? ნინოს შეეძინა 1924 წელს ვაჟი და მისი მდგომარეობის გათვალისწინებით ჩოგბურთისთვის არ ეცალა. ალბათ, 1928 წლის ზაფხულიდან რა დროი-დანაც გახდა საქართველოში ჩოგბურთი პოპულარული. საქმე იმაში იყო რომ იმ წელს ჩატარდა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა პირველი სპარტაკიადა. ამიერკავკასიის ჩოგბურთის გუნდმა, რომელიც მთლიანად საქართველოს ჩოგბურთელებით იყო დაკომპლექტებული, სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. იმ დროს თბილისში იყო სულ ორი ორკორტიანი საჩოგბურთო მოედნები, პლეხანოვის გამზირზე და ჩიტაძის ქუჩაზე.

„დინამო”-ს საზოგადოებამ 1932 წელს, თბილისში ჩიტაძის ქუჩაზე, ე.წ. პეტერსონის ორი კორტის ბაზაზე შექმნა, თავისი საჩოგბურთო სექცია. უფრო უნდა ვივარაუდოთ რომ ლავრენტი ბერიას მეუღლის ნინოს

[1] Конституции Азербайджанской ССР, Приняты 21 апреля 1978 г.

ჩოგბურთით გატაცება იქ და იმ დროს დაიწყო, რადგან ის ორი კორტი „დინამოს" საზოგადოების გახდა. ნინო გეგეჭკორი - შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებითურთ, იქ ეზიარა ჩოგბურთს, სადაც იან ჰომერის აღზრდილები - ახალგაზრდა ცოლქმარი, ევგენია ვერმიშევა და არამ ხანგულიანი მუშაობდნენ მწვრთნელებად. სწორედ, ისინი იყვნენ, ნინო გეგეჭკორის ჩოგბურთის მასწავლებლები.

მადათოვის ყოფილ კუნძულზე კეთილმოწყობითი სამუშაოები 1936-1938 წლებში ჩატარდა. არამ ხანგულიანმა, ხედავდა რა დედაქალაქში ჩოგბურთის კორტების სიმცირეს, ნინო გეგეჭკორის მეშვეობით შეავედრა მის ყოვლისშემძლე ქმარს - ლავრენტი ბერიას, რომ მადათოვის ყოფილ კუნძულზე ახალი, თანამედროვე საჩოგბურთო სტადიონის აშენების ბრძანება გაეცა. ასეც მოხდა და იქ 1939 წლის ზაფხულში მწყობრში ჩადგა ცხრა კორტიანი ახალი სტადიონი. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოს, რომ იმ დროს, ნინო გეგეჭკორი, მთელი წელი ქმართან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში.

„დინამოს" ახალ კორტებზე სპორტული ცხოვრება შესაბამისად ვერ გაიშალა. ძალზე დიდი იყო მეორე მსოფლიო ომით საქართველოსთვის მიყენებული ჭრილობები. 1949 წლიდან კი ქართული ჩოგბურთის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. იმ წელს „დინამოს" კორტებზე, პირველად ჩატარდა ჩოგბურთში საბჭოთა კავშირის პირველობა.

ვერ დავაზუსტე, თუმცა ვფიქრობ, რომ თბილისში რომელიმე ვიზიტის დროს, ნინო გეგეჭკორს, ერთხელ მაინც მიეცემოდა საშუალება, ეთამაშა ჩოგბურთი იმ კორტებზე, რომელიც მისი თხოვნით აშენდა.

ან იქნებ სულაც, მხოლოდ მისი თხოვნის გამო არ აშენებულა?

ცნობილია, რომ ბერია 1938 წლის 25 ნოემბრიდან, საბჭოთა ქვეყნის შინაგანსაქმეთა სახალხო კომისარია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1939-1940 წლებში შეიქმნა საბჭოეთის საგარეო დაზვერვის ძლიერი აგენტურული ქსელი ევროპაში, აშშ-სა და იაპონიაში. დაზვერვის ახალი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ბერია, ფლობდა ინფორმაციებს არამარტო საჭირო აგენტურული ოპერაციებისა და ახალი იარაღის წარმოების შესახებ, არამედ ადამიანთა ცხოვრების დონის შესახებაც,იმ ქვეყნებში სადაც საბჭოთა აგენტები, მათთვის საჭირო ურთიერთობებს ამყარებდნენ, მაშინაც, როდესაც სპორტით კერძოდ ჩოგბურთის თამაშით ან საჩოგბურთო ტურნირებზე დასწრებით იყვნენ დაკავებულები. იქნებ, შესაძლოა ბერიამ იცოდა, თუ

როგორ იყო განვითარებული ლაუნ- ტენისი რუსეთის იმპერიაში, ბოლშევიკების მოსვლით, რომ ამოიძირკვა. ამის გარდა, ალბათ ახსოვდა რამდენი ბოროტება იქნა ჩადენილი, რომელშიც თავად მონაწილეობდა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება, მას თვითონვე ჰქონდა მოფიქრებული საბჭოთა ქვეყანაში ჩოგბურთის პერსპექტივები. იქნებ, ნინო გეგეჭკორის თხოვნა თანხვედრი იყო მისი სურვილისა, რომ „მადათოვის კუნძულზეც“ თანამედროვე საჩოგბურთო სტადიონი აშენებულიყო და ჩოგბურთი ქვეყნის კულტურის შემადგენელი გამხდარიყო. ძნელია განვსაზღვროთ, თუ რა მოსაზრება ამოძრავებდათ ქვეყნის იმდროინდელ ხემძღვანელებს, მაგრამ ფაქტია, თბილისში იმ დროისთვის, საუკეთესო ჩოგბურის კორტები აშენდა. 71 წლის შემდეგ კი კორტებს დანგრევა კი არა, გაუმჯობესება, - თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა ესაჭიროებოდა რადგან ჩოგბურთი ისე როგოც სპორტის სხვა სახეობები, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების კულტურისა და განათლების შემადგენელი ნაწილი გახდა.

ჩოგბურთს აქვს საკუთარი ისტორია, დადასტურებული ფაქტებით, ოფიციალური ჩანაწერებითა და სხვადასხვა ვარაუდებით.

თანამედროვე ჩოგბურთის მამამთავრად დიდი ბრიტანეთის კავალერიის ოფიცერს, უოლტერ კლოპტონ უინგფილდს მიიჩნევენ, რომელმაც 1873 წელს ახალი თამაშის, სფერისტიკის (ბერძნულად- ითამაშე ბურთი) წესები გამოაქვეყნა. ერთი წლის შემდეგ ოფიცერმა ის დააპატენტა კიდეც, როგორც ლაუნ-ტენისი, რაც მინდვრის ტენისს ნიშნავს.

ლაუნ-ტენისი სათავეს, გაცილებით ადრეული დროიდან იღებს. ამ სპორტის ისტორია, შეიძლება, მკითხველისთვის მოულოდნელი ფაქტებით იყოს გაჯერებული. იტალიელმა მხატვარმა ჯოვანი ბატისტა ტიეპოლომ (Giovanni Battista Tiepolo), რომელიც 1696-1770 წლებში ცხოვრობდა, 1751 წელს ტილოზე შექმნა ნახატი „ჰიაცინტის სიკვდილი“. ნახატი ასახავს მითოლოგიურ პერსონაჟს, განგმირულ ჰიაცინტს და მისი სიკვდილის შემსწრეთ. ძველბერძნული მითოლოგიით, მომღერალი და არაჩვეულებრივი სილამაზის მქონე ყმაწვილი ჰიაცინტი, აპოლონის - ხელოვნების ღმერთის და ქარის ღმერთის -ზეფირის სათაყვანებელი პირი, ერთხელ აპოლონს შეეჯიბრება დისკოს ტყორცნაში. ეჭვიანმა ზეფირმა აპოლონის ნატყორცნი დისკო ჰიაცინტისკენ შეაბრუნა და თავი გაუპო. ჰიაცინტის სისხლის წვეთების ადგილას, ამოვიდა ყვავილი ჰიაცინტი.

მხატვარი ჯოვანი ტიეპოლო, „ჰიაცინტის სიკვდილი“

ნახატის ფრაგმენტი

მითი თავისთავად სინტერესოა, მაგრამ ჩოგბურთის მოყვარულები ამ ნახატით უფრო იმით დაინტერესდებიან, რომ დახატულია ტილოზე, მის მარჯვენა დაბალ კუთხეში ჩოგანი და ჩოგბურთის ბურთები. იტალიელმა ხელოვანმა ძველ ბერძენთა ცხოვრებაში ჩოგბურთის არსებობას ხაზი გაუსვა. სპეციალისტები, ლიტერატურის მიმოხილვით დარწმუნდნენ, რომ თამაში პატარა ბურთით, რომელსაც გაშლილი ხელის მტევნით, ტყავის ქამრით ან ხის ჩოგნით ურტყამდნენ, უყვარდათ ძველი საბერძნეთისა და რომის მცხოვრებთ. მსგავსი თამაში იმართებოდა სპარსეთსა და ჩინეთშიც. ყველაზე ადრე კი, ბაბილონში, ეგვიპტესა და ასურეთში.

შოთა რუსთაველი, თავის პოემაში ვეფხისტყაოსანი, მე-13 და მე-14 სტროფებში, წერს ასეთ სტრიქონებს: „მობურთალსა - მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“,„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ XII საუკუნეში საქართველოში ერთმანეთს ერკინებოდნენ ბურთით თამაშებში, ხოლო მოედანზე საასპარეზოდ გამოსულებს მობურთალებს უწოდებდნენ. ჩანს, ისე მარჯვედ უნდა მოექნიათ

ბურთისთვის ჩოგანი, რომ ბურთი სწრაფად და სწორი მიმართულებით გადავარდნილიყო მოწინააღმდეგის მხრეს რომ მას ვერ შესძლებოდა საპასუხო დარტყმა და დამარცხებულიყო. რუსთაველი ასეთ ასპრეზობას დიდ გმირობად აფასებს. ეს შერკინება, შეიძლება, ცხენბურთი ყოფილიყო ან, თუნდაც, მოედანზე გასული მორბენალი ჩოგბურთელების.

ფაქტია: რუსთაველმა იცოდა თუ რა იყო ბურთი და ჩოგანი, ისიც იცოდა რომ ხელი მარჯვედ უნდა მოექნიათ რომ ხელში დაჭერილი ჩოგნით ბურთისთვის ძლიერად დაერტყად. ასეთი ლოგიკით მივდივართ ისეთ დასკვნამდე, რომ შოთა რუსთაველს თუ ჩოგნით თვითონ არ უთამაშია, ნამდვილად უცქერია ჩოგნით და ბურთით მოასპარეზეთათვის, სხვაგვარად, თავის გენიალურ პოემაში, ასეთ შედარებებს ვერ გააკეთებდა.

როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში საქართველოში იცნობდნენ ჩოგბურთს ან მის ადრეულ სახეობას.

„ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ჩოგბურთის მსგავსმა უძველესმა თამაშებმა, დღემდე, ევოლუციური გზა განვლეს. მკვლევართა უმეტესობა ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ჩოგბურთის წინაპარი თამაში საფრანგეთში, XI საუკუნეში იშვა და მას ჟე-დე-პომი (ფრანგ. Jeu de Paume - თამაში ხელის გულით) ერქვა. თამაშისთვის განკუთვნილი ბურთები განსხვავებული ზომისა და წონის იყო. მის შიგთავსს ხისგან ამზადებდნენ, თმასა და ბეწვში ფუთავდნენ და შემდეგ გარედან ტყავს აკრავდნენ.

თავდაპირველად პარიზელები თამაშს ვიწრო, ქვით მოკირწყლულ ქუჩებში ამჯობინებდნენ, რადგან სანახევროდ ხის მასალისგან დამზადებული ბურთი ასეთ ზედაპირზე უფრო კარგად დახტოდა. ამბობენ, რომ თამაშს გულშემატკივრები არასდროს აკლდა, რომლებიც ხმამაღლა და ემოციურად ქომაგობდნენ მოთამაშეებს.

ჟე-დე-პომის მსგავსი თამაშობანი არსებობდა XII-XIV საუკუნეების იტალიაში („ჯიოკო დელა პალლა“ და „პალონე“), ინგლისში („გეიმ ოფ ფელმ“, „ტენესს“) და ესპანეთში („ლონგ-პომ“, „პილოტტა“).

თავიდან, ჟე-დე-პომი მდაბიოთა საყვარელი გასართობი იყო. დროთა განმავლობაში ფრანგი სასულიერო პირებიც დაინტერესდნენ. XII საუკუნით დათარიღებულ საეკლესიო ხელნაწერებში არსებობს აბატ კოჰარდის მიმართვა ფრანგული სამონასტრო საძმოსადმი. ის ახსენებს ორლეანში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომლის თანახმად, ეპისკოპოსი ერთი კვირით

აღდგომამდე, მრევლს ასაჩუქრებდა. საპასუხოდ კი აღდგომა დღეს ახალი ჩოგნებისა და ბურთების კრებულს იღებდა.

დროთა განმავლობაში სამონასტრო გასართობი სამეფო ოჯახის წევრთა და მათ ქვეშევრდომთა შორისაც გავრცელდა. ინგლისელ მონარქთა განსაკუთრებული სიყვარულის გამო, ამ თამაშს სამეფო ტენისად (Royal Tennis) მოიხსენიებდნენ.

საჩოგბურთო მოედნების მოწყობა ციხე-დარბაზებში დაიწყეს. ასე გაჩნდა სასახლის კორტები. დახურულ ნაგებობაში თამაში უკვე სიგრძე სიგანეში შემოსაზღვრულ მოედანზე მიმდინარეობდა. სავარაუდოდ, პირველი დახურული კორტი პუატიეში (საფრანგეთი) 1230 წელს აიგო, დანამდვილებით კი ცნობილია, რომ ვალენსიაში (ესპანეთი) საჩოგბურთო მოედანი 1285 წელს მოეწყო. დღეს ამას ქუჩის ძველი სახელწოდება მოწმობს: „საჩოგბურთო კორტის ჯენტლმენთა ქუჩა“.

დიდებულთა დაინტერესებამ, სათამაშო ატრიბუტიკის გაჩენას შეუწყო ხელი. ჩოგანის ფართოდ გამოყენება XVI საუკუნეში დაიწყეს. პირველი დახურული კორტი აიგო იტალიაში 1457 წელს, ბელრი გუარდოს რეზიდენციაში. 1490 წლით დათარიღებული საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ ჩოგბურთის მსგავს თამაშს „პალაკორდა“ (იტალ. palla - ბურთი, corda - თოკი) ერქვა. სახელწოდებიდან გამომდინარე, სათამაშო მოედანს უკვე ჰყოფდა თოკი (ბადის წინამორბედი). რომის პაპი იულიუს II ბურთით სათამაშო სახეობებს შორის ყველაზე სასარგებლო „პალაკორდას“ ასახელებდა, რომელიც სავარაუდოდ XVI საუკუნის იტალიაში, ნადირობის შემდეგ, ყველაზე პოპულარული გასართობი ყოფილა.

შუა საუკუნეების ჩოგბურთი, მართლაც, იყო საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, იტალიის დიდებულთა ერთ-ერთი უმთავრესი თავშესაქცევი, მაგრამ რიგით მოქალაქეებს თამაშს უკრძალავდნენ. თამაში ქალაქში მოძრაობას აფერხებდა, ხმაური კი მყუდროებას არღვევდა. ქუჩაში ჩოგბურთს თამაშის გამო ციხეშიც სვამდნენ.“ [1]

შუა საუკუნეების ლიტერატურაში ჩოგბურთის შესახებ, არის მითითება. შექსპირის 1599 წლის ისტორიულ ქრონიკაში „ჰენრი V", ეპიზო-

[1] ჟურნალი ”ისტორიანი”, გელა უშარიძე, ჩოგბურთის ისტორია. 2012 წლის ივლისი, N7/19.

დია, როცა საფრანგეთის დოფინი (ტახტის მემკვიდრე - ავტ.) ინგლისის ახალგაზრდა მეფეს ჰენრი V-ს ჩოგბურთის ბურთებს უგზავნის.

„სცენა, ჰენრი V-სთან შემოდიან საფრანგეთის ელჩები. საფრანგეთის პირველი ელჩი მიმართავს ჰენრი V-ს:

ხელმწიფევ! ელჩების გადმოცემით
მოგითხოვიათ საჰერცოგოს მიწები
ჩვენი ბრძანებელი პრინცის პასუხია:
ახალგაზრდობა დუღს თქვენში!
ჩვენგან ვერ მიიღებთ საჰერცოგოებს,
რაც გსურთ აღვირახსნილი ქცევით.
ამიტომ დოფინიმ იცის რა თქვენი გემოვნება,
გიგზავნით კასრით საგანძურს ძვირფას
სამაგიეროდ იგი მოითხოვს:
საჰერცოგოზე სიტვას არ დასძრავთ.
ჰენრი V-ე ბიძას ჰერცოგ ექსეტერს: რა საჩუქარია იქ?
ექსეტერი კასრს ხსნის: ჩოგბურთის ბურთებია.
მეფე ჰენრი: მოხარული ვარ, კარგად ხუმრობს დოფინი.
მადლობა მას საჩუქრისთვის, თქვენ- გარჯისთვის.
ნაჩუქარ ბურთებს შევურჩევთ ჩოგნებს,
საფრანგეთში პარტიას ვითამაშებთ
და მამათა გვირგვინი იქნება ფსონი!“[1]

როგორც დავრწმუნდით, ჩოგბურთს უილიამ შექსპირიც იცნობდა.

თუ სამეფო კორტზე ჩოგბურთს დროის მოსაკლავად თამაშობდნენ, გამოჩნდნენ მოთამაშეები რომელებმაც თამაში ფულზე დაიწყეს. XVI საუკუნიდან საფრანგეთში ბევრი მოთამაშე ყოფილა, რომელებიც ჟე-დე-პომს თამაშობდენ ფულზე. 1527 წელს ფრანცისკ I-მა იმ ჩოგბურთელებისთვის, რომლებიც მეფის ხაზინაში გადასახადებს იხდიდნენ, დაამტკიცა ჟე-დე-პომის მოთამაშის პროფესია და პატენტი.

1616 წელს საფრანგეთში დაარსდა ჩოგბურთის ოსტატთა საზოგადოება, რომელშიც ჩოგნების, ბურთებისა და თამაშისთვის საჭირო სხვა

[1] LibFox » Книги » Проза » Уильям Шекспир - Генрих V

ინვენტარის მწარმოებლებიც გაერთიანდნენ. ამ საზოგადოებას მონოპოლიური სტატუსი ჰქონდა. პატენტი მემკვიდრეობით გადადიოდა და შედეგად, ჩოგბურთელთა დინასტიები იქმნებოდა.

რატომ დაერქვა ჩოგბურთს ტენისი (**Tennis**)? ერთ-ერთი ვერსიით, ის უკავშირდება ფრანგულ სიტყვას ტენე (**tenir**), რაც ნიშნავს „დაიჭირე“.

ჩოგბურთში ანგარიშის სისტემის (ე.წ. თხუთმეტბალიანი) წარმოშობის ვერსიები ასეთია: ერთ-ერთი ვერსიით, 15-30-40(45)-60 სისტემა XIV საუკუნიდან მომდინარეობს, როცა საფრანგეთში ჟე-დე-პომს ფულზე თამაშობდნენ. იმდროინდელი სისტემით, მსხვილი ნომინალის მონეტა 60 ფულად ერთეულს შეადგენდა და ის ოთხ, თითო 15 ერთეულის ღირებულების მონეტად ხურდავდებოდა. XIX საუკუნეში, ინგლისელებმა ანგარიშში 45 ქულის ნიშნული 40-მდე შეამცირეს.

ინგლისში „ლოუნ-ტენისი“ საყოველთაოდ აღიარებული და პოპულარული თამაში გახდა. ცნობილია, რომ „ლაუნ-ტენისის“ თაყვანისმცემელი გახდა ჯუნიუს სპენსერ მორგანი - მორგანების საქვეყნოდ ცნობილი ფინანსური იმპერიის ფუძემდებელი. მან 1876 წელს ინგლისის მამულში, დუვრ-ჰაუს პარკში, მოაწყო მოედანი ლაუნ ტენისისათვის, სადაც იგი, ჩოგნით ხელში ხშირად გამოდიოდა.

პირველი საჩოგბურთო ტურნირი 1877 წელს უიმბლდონში გაიმართა, რომელიც ლონდონის ერთ-ერთი უბანია. ეს ტურნირი ტრადიციული და პრესტიჟული გახდა. უიმბლდონის პირველ ტურნირში მონაწილეობისთვის ჩოგბურთის მოთამაშეს ერთი გირვანქა სტერლინგი უნდა გადაეხადა. ტურნირი ყველა მსურველისთვის ღია იყო. ფინალში გამარჯვებულს ოქროს პრიზი გადაეცემოდა, დამარცხებულს კი – ვერცხლის.

1968 წლის შემდეგ უიმბლდონი პროფესიონალებს დაუთმეს. საპრიზო ფონდი 1968 წელს შეადგენდა 16150 ფუნტ სტერლინგს. დღეს უიმბლ დონის საპრიზო ფონდი ფინალისტისთვის შეადგენს მილიონ ფუნტ სტერლინგს, გამარჯვებული ორჯერ მეტს იღებს. ჩოგბურთელთათვის უიმბლდონის მოგება უპირველესი პრიორიტეტია. უიმბლდონი არის გრანდ სლემის ტურნირებიდან ოთხიდან ერთ-ერთი და ერთადერთი, რომელიც ტარდება ბალახის საფარის კორტებზე. ქრონოლოგიურად უიმბლდონი წელიწადის მესამე გრანდ სლემის ტურნირია, რომელიც ტრადიციულად იწყება ივლისის დასაწყისში და ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს.

ჩოგბურთი-ოლიმპიური თამაშების სახეობა 1896 წლიდან 1924 წლამდე იყო, 64 წლის შემდეგ- 1988 წელს ისევ დაბრუნდა.

1913 წელს დაარსდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც დღეს 200-მდე ნაციონალურ ფედერაციას აერთიანებს.

საჩოგბურთო სამყაროში გრანდ სლემის ტურნირები ყველაზე პრესტიჟულია. ყოველწლიურად ტარდება 4 ასეთი ტურნირი[1]: 1) ავსტრალიის ღია პირველობა, იანვარში, მელბურნში, ჰარდზე; 2) როლან გაროსი - საფრანგეთის ღია პირველობა - 1891 წლიდან პარიზში, გრუნტის კორტებზე, მაისის ბოლოს - ივნისის დასაწყისიში; 3) უიმბლდონი- ივლისის ორი კვირა, უიმბლდონი-ლონდონი, ბალახის კორტზე; 4) ამერიკის ღია პირველობა - აგვისტო-სექტემბერი, ნიუ იორკი - ჰარდზე;



1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშები.
ლაუნ-ტენისი, ქალთა ფინალი

ტერმინი „grand slam“ აღებულია ბანქოს თამაშის ერთ-ერთ პოპულარული სახეობიდან, რასაც „ბრიჯს“ უწოდებენ. „ბრიჯში“ გამარჯვება დამოკიდებულია მაგიდაზე დარიგებული 52 ბანქოდან მოთამაშეები რამდენის აღებას განაცხადებენ კონტრაქტით და რამდენს ფაქტიურად აიღებენ. დაკვეთილი და ნათამაშები კონტრაქტების 6 და 7 დონეს ეწოდება მცირე

[1] 1 http://mastsavlebeli.ge, ლევან სებისკვერაძე „ჩოგბურთის სათავეებთან“ 30 ივლისი, 2013.

და დიდი სლემი რისთვისაც მოთამაშე დამატებით პრემიებს იღებს. დიდი სლემის დონის პრემია მაქსიმალურია.

ჩოგბურთში „დიდი სლემის“ სახელწოდების წარმოშობის ისტორია მოდის 1933 წლიდან, როცა ავსტრალიელი ჩოგბურთელი ჯეკ კროუფორდი ახლოს იყო მოეგო ოთხივე ტურნირი. მას უკვე სამ ტურნირში გამარჯვება მოპოვებული ჰქონდა და ნიუ-იორკში ამერიკის ღია პირველობის ფინალში გავიდა. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სპორტულმა კომენტატორმა ჯონ კირანმა, რომელიც ამავე დროს იყო გამორჩეული „ბრიჯის“ მოთამაშე, თავის საგაზეთო პუბლიკაციაში მოიტანა „ბრიჯის“ დიდი სლემის ანალოგია: „ **თუ კროუფორდი დღეს მოუგებს პერისს, ეს იქნება იგივე, რომ მოიგო დიდი სლემი კორტზე“**. მიუხედავათ იმისა რომ კროუფორდმა წააგო ფინალი, კორესპოდენტის ფრთიანი ფრაზა გამყარდა ჩოგბურთში და ხმარებაში დარჩა. დიდი ოთხი ტურნირი -ავსტრალიის, საფრანგეთის,უიმბლდონის და ამერიკისა - დიდი სლემის ტურნირის სახელწოდების ქვეშ 1938 წლიდან მოექცა როდესაც ამერიკელი ჩოგბურთელი დონალდ ბაჯი ერთი წლის განმავლობაში გახდა ავსტრალიის, საფრანგეთის, ამერიკის ღია ჩემპიონატებისა და უიმბლ დონის ტურნირის გამარჯვებული. ამ ფაქტს ცნობილი ამერიკელი მწერალი ელისონ დანცინგი ასე გამოეხმაურა: **„ერთი კალენდარული წლის განმავლობაში უმსხვილეს საჩოგბურთო ტურნირებში გამარჯვებით, ბრიჯის წარმატებული მოთამაშის მსგავსად, ბაჯმა, შეადგინა დიდი სლემი.“**[1]

„ბრიჯის“ თამაშის წესები და ტერმინოლოგია წარმოიშვა 1925 წელს ჰაროლდ ვანდერბილტის უშუალო მონაწილეობით. თუ ბანქოს „ბრიჯის“ ტერმინოლოგიის შესაბამისად ვთარგმნით, გრანდ სლემი, ქართულად დიდ ჩაკეტვას ნიშნავს. ვფიქრობ, არასწორია მისი რუსული თარგმანი **шлем** და აქედან ქართულად ნათარგმნი მუზარადი. ინგლისური slam რუსულად ითრგნება როგორც Захлопнуть, закрыть. ქართულად - დახურვა, ჩაკეტვა. სწორედ ამას გულისხმობს „ბრიჯის“ ტერმინოლოგია.

ნაციონალურ ნაკრებ გუნდებს შორის საჩოგბურთო მსოფლიო ჩემპიონატს წარმოადგენს დევისის თასის ტურნირი, რომელიც 1900 წლიდან

[1] Материал из Википедии — свободной энциклопедии „**Турниры Большого шлема“.**

ტარდება და იმდროინდელი ამერიკელი ჩოგბურთელის დუაიტ დევისის სახელს ატარებს.

ჩოგბურთის მოყვრულ მკითხველს გავაცნობთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საჩოგბურთო მოედანი -კორტი.

კორტი არის მართკუთხედი მოედანი - სიგრძეში 23.77 მ და სიგანეში 8.23 მ. იგი შუაზე გაყოფილია ბადით, რომელიც დამაგრებულია 0.8 სმ მაქსიმალური დიამეტრის ბაგირზე. მისი ბოლოები დამაგრებულია ან გაჭიმულია ორ ბოძზე, რომელიც თუ ოთხკუთხაა, უნდა იყოს არაუმეტეს 15 კვ.სმ-ისა და თუ მრგვალია არაუმეტეს 5სმ დიამეტრისა. ბოძების ცენტრები უნდა იყოს დაცილებული კორტისგან 914 მმ-ით ორივე მხარეს, ხოლო მათი სიმაღლე უნდა იყოს ისეთი, რომ ბადის ბაგირის წვერი კორტის ზედა-პირიდან 1.07 მ სიმაღლეზე აღმოჩნდეს. ბადის უჯრედები უნდა იყოს საკმაოდ პატარა, რომ მასში არ გაძვრეს ჩოგბურთის ბურთი. ბადის სიმაღლე ცენტრში უნდა იყოს 0.914 მ. ბადეს ზედა მხარეს უნდა ჰქონდეს თეტრი კანტი. კორტი შემოსაზღვრულია საბაზო ხაზებით, რომლის სიფართოვე შეიძლება იყოს 10 სმ-მდე. ასევე არის შიდა ხაზები, რომელთა სიფართოვე მერყეობს 2.5–5 სმ-მდე. ოფიციალური შეხვედრების დროს საბაზო ხაზების უკანა სათამაშო სივრცე უნდა იყოს არანაკლებ 6.4 მ, ხოლო გვერდითისა კი მაქსიმუმ 3.66. გამართული კორტის მოსაწყობად აუცილებელია 36,58მ. X 15,55მ.= 568.82 კვ.მ. მიწის ფართობი.

საჩოგბურთო მოედანი -კორტი

ჩოგბურთი მხოლოდ გართობა და სპორტი არ არის. თუ სპორტსმენი არ ხარ, ჩოგბურთი არა მარტო გართობის საშუალება, არამედ ისეთი ფიზიკური დატვირთვა, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით თავის აზრს გამოთქვამს „დინამოს“ კორტებზე გამოზრდილი ცობილი ჩოგბურთელი ირინა მალაციძე-კონიგი, მოზარდთა შორის საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი,რამდენიმე წელი საქართველოს ქალთა ნაკრების პირველი ნომერი, ბულგარეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორი, დღეს გერმანიის ერთი ადგილობრივი ჩოგბურთის გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი, იგი წერს: **„ჩოგბურთი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტია, როგორც დიდი სპორტის ნაწილი თუ უბრალოდ როგორც დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალება. სპორტსმენების კუნთებსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე უამრავ ანეკდოტს ჰყვებიან, მაგრამ ჩოგბურთზე ასეთი კალამბური ყველაზე ენამწარესაც არ მოუვა აზრად. ხშირად ჭადრაკსაც კი ადარებენ, იმ განსხვავებით, რომ მოჭადრაკეს გადაწყვეტილების მისაღებად მეტი დრო აქვს, კორტზე კი ყველაფერი თვალის დახამხამებაში ხდება და უსწრაფეს აზროვნებას მოითხოვს. ჩოგბურთმა ასაკი არ იცის. მთელი ცხოვ რება შეგიძლია ითამაშო. 80-90 წლის ხალხიც დადის კორტზე. მერე რა, თუ თქვენმა ბავშვობამ უჩოგბურთოდ ჩაიარა, სწავლა ნებისმიერ ასაკში შეიძლება.**

ქცევის ეთიკის ან, როგორც ამბობენ, წესებით თამაშის (fair play-ს) პრინციპების დაცვა ჩოგბურთელის მოვალეობა. ეს სპორტი მსოფლიო დიპლომატიის არაოფიციალურ ენად არის აღიარებული. გამოჩენილი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ საზოგადო მოღვაწეები ერთმანეთს კორტებზე ხვდებიან და ზოგჯერ ოფიციალურ შეხვედრებზე მოუგვარებელ საკითხებს მარტივად წყვეტენ.

ჩოგბურთში რეგულარული ვარჯიში ავითარებს მოქნილობას, რეაქციას, გამძლეობას, მოძრაობათა კოორდინაციას და ძალას. ჰარმონიულად ვითარდება კუნთოვანი სისტემა, ხელის კუნთების გარდა დიდი ჯაფა ადგება ფეხის, მხრის, ხერხემლის კუნთებს. ის თვალის არაჩვეულებრივი ვარჯიშიც არის. თვალის ვარჯიში ხომ სხვადასხვა მანძილზე მდებარე საგნებს შორის მზერის მიმოტანას გულისხმობს.

... წვრთნის პროგრამაში შედის გაწელვები, პრესის, ხერხემლის კუნთების განსავითარებელი ვარჯიშები. დააკვირდით ცნობილ ჩოგბურთელებს, მათგან წელში მოხრილს ერთს მაინც თუ გაიხსენებთ...“

ყოველივე ზემოთ აღწერილი, ჩემის აზრით, პასუხს იძლევა კითხვაზე თუ რატომ გააშენეს კორტები გამქრალ კუნძულზე.

ჩოგბურთის დასაწყისი საქართველოში

თითქმის 100 წელი საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო.

1870-ან წლებში პეტრბურგში გაიხნა პირველი საჩოგბურთო კლუბები. რუსეთში ჩოგბურთი დიდგვაროვანთა გართობა გახდა. რუსეთში 1878 წელს გამოქვეყნდა მანიფესტი „რუსეთში ბალახის ტენისის საყოველთაო განვითარების შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა იმ პირთა წრის მიერ, რომელშიც შედიოდნენ პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვისა და რიგის ჩოგბურთის მოყვარულები. ამ ჯგუფმა მხარდაჭერა მიიღო გრაფ ლევ ტოლსტოის ოჯახისაგან. ტოლსტოების სახლის გვერდით მოეწყო ჩოგბურთის მოედანი. 1878 წელს ლევ ტოლსტოის მისი რომანის გმირები ტენისს თამაშობდნენ, თავის რომანში „ანნა კარენინა“ ნახსენებიც აქვს ლაუნ-ტენისი.

გრფი ლევ ტოლსტო ოჯახის წევრებთან ერთად

რუსეთში ლაუნ-ტენისი შემოვიდა როგორც მსოფლიო მოდა. პირველი მოედნები რუსეთის მმართველი ელიტის მამულებში გაჩნდა. რუსეთში პირველი ბალახის ჩოგბურთის კლუბი შეიქმნა 1888 წელს, სანქტ-პეტერ ბურგის მახლობლად.

1890 წელს მოსკოვსა და მის შეგარენში ბევრი კორტი იყო, მაგრამ საუკეთესოდ მიიჩნეოდა ფრანგი ფაბრიკანტის, მერილიზის აგარაკზე არსებული კორტი. ბიზნესმენი იმ დროისთვის ცნობილი უნივერმაღ „მიურ და მერილზის“ თანამფლობელი იყო.

რუსმა ძმებმა - მაქსიმ და მიხაილ ციგანკოვებმა დაიწყეს ჩოგბურთის ინვენტარის წარმოება.

ციგანკოვების დაჯილდოების მოწმობა

ჩოგანი „მაქსიმი“

1895 წელს, სანქტ-პეტერბურგის კრესტოვკის კუნძულზე, მოეწყო ორი კორტი და ჩაიდგა პატარა სახლი. პირველი რუსი ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლაი პანინი-კოლომენკინი თავის წიგნში „ფურცლები წარსულიდან“ წერდა: „იმისათვის, რომ მოხვდე ჩოგბურთის კლუბში, აუცილებელია კლუბის ორი წევრის რეკომენდაცია და საერთო კრებაზე კენჭისყრა. კანდიდატის პოლიტიკური შეხედულება არ აინტერესებთ, მაგრამ კანდიდატი აუცილებლად უნდა ოყოს ე.წ. „წესიერი და ღირსეული ხალხის წრიდან." კრესტოვკის კლუბი 1909 წელს 130 წევრს ითვლიდა. იგი რუსეთის ჩოგბურთის ცენტრად გადა იქცა. 1915 წლის 3 მაისს საზეიმოდ გაიხსნა კრესტოვსკის ლაუნ-ტენისის კლუბის ახალი შენობა. მის ირგვლივ მოეწყო 10 მიწის საფარიანი კორტი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა მწვანე გაზონებითა და რკინის ბადეებით.



საქნტ-პეტერბურგის კრესტოვსკის
კორტების ხედი

რუსეთი 1913 წელს გაერთიანდა ბალახის ტენისის საერთაშორისო ფედერაციაში. თავიდან ტენისს თამაშობდნენ უცხოელები, რომლებსაც რუსეთში ჰქონდათ ქარხნები, ფაბრიკები, ბანკები, მაგრამ მალე ტენისით დაინტერესდნენ რუსი მაგნატებიც და იგი მათი საყვარელი გართობის გახდა საშუალება.

1898 წელს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში რეგისტრირებული იყო 9 ლაუნ ტენისის კლუბი. 1900 წელს შეიქმნა ლაუნ ტენისის მოყვარულთა მოსკოვის „სრულიად რუსეთის ლაუნ-ტენისის კლუბების კავშირი“. იგი 1914 წელს აერთიანებდა რუსეთის სვადასხვა რეგიონების 48 კლუბს, 4500 წევრით.მათ განკარგულებაში იყო 170 კორტი. ლაუნ-ტენისი, როგორც სპორტი, აღიარეს მაშინდელი რუსეთის უმსხვილეს ქალაქებში, მათ შორის ტიფლისშიც.

1918 წლის ოქტომბერში „სრულიად რუსეთის ლაუნ-ტენისის კლუბების კავშირი“ გაუქმდა. იმ დროის რუსეთის ჩოგბურთელები: არ-ტურ მაკფერსონი, ეკატერინა პოლონსკაია, ძმები იზნარები, ლევ ურუსოვი, გეორგი ბრეი, მიხეილ სუმაროკოვ-ელსტონი ემიგრაციაში აღმოჩნდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. არტურ მაკფერსონი უმცროსი, პირველი რუსი ჩოგ-ბურთელი იყო რომელიც 1920 წელს უიმბლდონის ტურნირის მონაწილე გახდა.

ჩოგბურთი საქართველოში რუსეთის იმპერიის დროს შემოვიდა, მაგრამ არა რუსეთიდან.

1880 წელს ყვარლის მაზრიდან ავსტრიაში სასწავლებლად ნამყოფი ზაქარია ჯორჯაძე, საქართველოში დაბრუნების შემდეგ თავის სოფელში, საბუეში, გართობის მიზნით, აწყობს ლაუნ-ტენისის მოედანს - კორტს, რომელზეც თამაშობდნენ თვით ზაქარია და მისი შვილები და მისი ოჯახის სტუმრები.

ზაქარია ჯორჯაძე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ავსტრიის მეღვი-ნეობის ცენტრში – ნოეკლოსტერნოიბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. 1875 წელს, ვენის მახლობლად ღვინის სარდაფში იწყებს მუშაობას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დააარსა სავაჭრო ფირმა: "ზ.ა. ჯორ-ჯაძე და კომპანია” დ. სარაჯიშვილთან ერთად, საქართველოში განავითარა კონიაკის წარმოება. 1882 წელს ზაქარია ჯორჯაძემ საბუეში, მამაპაპისეულ კარმიდამოში ღვინის მარანი, ე.წ. ქვევრების განყოფილება დაარსა – 120

ქვევრითა და მუხის კასრებით. საბუეს ღვინის სარდაფში დაყენებული ღვინო ბრიუსელის 1888 წლის გამოფენაზე ჩაიტანა და დიდი ოქროს მედლითაც დაჯილდოვდა. მან რუსეთის იმპერიის ქალაქებში გახსნა სავაჭრო სახლები, მოსკოვში კი, კრემლთან ახლოს გახსნილ სავაჭრო სახლში მყიდველებს სთავაზობდა ქართულ სუფრის ღვინოებსა და კონიაკებს. ზაქარია ჯორჯაძე ღვინისა და კონიაკის წარმატებული მეწარმე, იცნობდა ევროპული ცხოვრების ნიუანსებს, რომელთა შორის იყო გართობის ერთ-ერთი სახეობა ლაუნ-ტენისი. ავსტრიიდან საქართველოში ჩამოიტანა ლაუნ-ტენისის თამაშისთვის საჭირო ინვენტარი, ჩოგნები, ბურთები და როგორც აღვნიშნეთ, თბილისის გუბერნიის ყვარლის მაზრაში, გამართა კორტები.[1]

არსებული ლიტერატურული წყარო და ფოტოდოკუმენტი გვაფიქრებინებს რომ საქართველოში პირველი ლაუნ-ტენისის კორტი, ჭიათურაში კი არა, სოფელ საბუეში გახსნილა.



კორტები ზაქარია ჯორჯაძის მამულში

[1] ირინა აბჟანდაძე, მარიამ შაფათავა. "თხევადი მზის ქვეყანა". 2017 წელი. თბილისი.

ისტორიული წყაროები კი გვარწმუნებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩოგბურთის პირველი კორტი მოაწყვეს ჭიათურაში.

1879 წლიდან ინგლისური კომპანია „Forward and Salinas“ ჭიათურაში მანგანუმის მადნის მოპოვებას და რუსეთის იმპერიიდან მის ექსპორტს იწყებს. თუ ინგლისელებმა ჩამოსვლისთანავე 1879 წელს, ჭიათურის დაარსებისთანავე, გამართეს იქ კორტებიც, ამ შემთხვევაში ის მართლაც პირველი კორტი იქნებოდა საქართველოში. ეს საეჭვოა, რადგან ახლად ჩამოსულებს საქმე თავზესაყრელი ექონებოდათ და ლაუნ-ტენისისთვის ერთ წელიწადში ვერ მოიცლიდნენ. მით უფრო, რომ ინგლისელები ჭიათურიდან შორაპნამდე ურმებით ეზიდებოდნენ მოპოვებულ მადანს სანამ 1895 წელს ჭიათურიდან შორაპნამდე რკინიგზა არ გაიყვანეს და მადნის მომპოვებლები ლაუნ-ტენისისთვის ვფიქრობ, ვერ მოიცლიდნენ.

კახეთში, საბუეში კი 1880 წელს უკვე იყო კორტი მოწყობილი. ასე,რომ ჩვენი აზრით, საქართველოში პირველი ლაუნ-ტენისის კორტი, ყვარლის მაზრის სოფელ საბუეში გაშენდა და არა ჭიათურაში.

„Forward and Salinas“ მანგანუმის მომპოვებელ ინგლისურ კომპანიაში ადვოკატად მუშაობდა იან ჰომერის მამა,რომელიც ოჯახთან ერთად ჩავიდა ჭიათურაში. ინგლისელები იმ დროს იცნობდნენ ლაუნდ ტენისს, როგორც გასართობ და ფიზიკური ვარჯიშისთვის მნიშვნელოვან თამაშს. „Forward and Salinas”-ის მმართველმა, ჯონ ტარსეიმ ლაუნდ ტენისის კორტი მოაწყო და ჭიათურის მკვიდრთ გააცნო ახალი თამაში. ჰომერი13 წლის ასაკში დაეუფლა ლაუნდ-ტენისს და ქალაქის ჩემპიონი გახდა. მან, წარმოშობით ბერძენი ადვოკატის შვილი, დედით ფრანკო–იტალიანმა, პირველმა გახადა საქართველოში ჩოგბურთი პოპულარული. ჭიათურიდან ჩოგბურთი გავრცელდა ჯერ თბილისსა და ბათუმში, მოგვიანებით კი სხვა ქალაქებშიც. 1910 წელს თბილისში დაფუძნდა ჩოგბურთის პირველი საზოგადოება, რომელმაც ორ წელიწადში საქმიანობა შეწყვიტა, 1916 წელს კი კვლავ განაახლა. 1913 წელს გამოცემულ თბილისის ცნობარში მითითებულია ქალაქის პირველი ჩოგბურთის კლუბის მისამართი, რომელიც ახლანდელ ჩიტაძის ქუჩაზე მდებარეობდა. 1915 წელს ტიფლისში, იმ დროინდელ მიხეილის პროსპექტზე, რომელიც შემდგომ წლებში პლეხანოვის პროსპექტად შეიცვალა,ხოლო დღეს დავით აღმაშენებლის გამზირია, გაიხსნა ჩოგბურთის ახალი კლუბი. ჭიათურიდან თბილისში გადმოსული იან ჰომერი იმავე ეზოში დასახლდა

და რა თქმა უნდა ჩოგბურთში ვარჯიში გააგრძელა. იან ჰომერი ქართველ ჩოგბურთელთა პირველი მწვრთნელი გახდა. 1919 წელს, „შევარდენში", თბილისის ტანვარჯიშულ საზოგადოებაში დაარსდა ე.წ. ჩოგბურთის განწევრი, რომელიც ხელს უწყობდა ჩოგბურთის განვითარებას.

იან ჰომერი

10 წლის განმავლობაში (1918–1927) იან ჰომერი თბილისისა და საქართველოს უცვლელი ჩემპიონი იყო. 1928 წელს იან ჰომერის, როგორც მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ამიერკავკასიის გუნდმა, რომელიც მთლიანად საქართველოს ჩოგბურთელებით იყო დაკომპლექტებული, პირველ სსრკ სპარტაკიადაზე (სსრკ გუნდური ჩემპიონატი - ასეც უწოდებდნენ - ავტ.) მე-2 ადგილი დაიკავა. 1930-იანი წლების დასაწყისისთვის ჰომერმა აღზარდა საბჭოთა კავშირის უძლიერესი ჩოგბურთელები: თამარ გოგოლაური, ედუარდ ნეგრებეცკი, არჩილ მდივანი, ბორის სერებრიანიკოვი. 1937 წელს ედუარდ ნეგრებეცკის თამაშმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

პლეხანოვის პროსპექტი N117

1937 წლის მიწურულს, ღამით იან ჰომერი თავის ძმებთან - მარსელსა და ჟორჟთან ერთად შპიონაჟის ბრალდებით დააპატიმრეს. მარსელი და ჟორჟი დახვრიტეს. იანს მიუსაჯეს 10 წელი საბანაკო რეჟიმი და შემდეგ 5 წელი გადასახლება. იგი კოლიმის ბანაკში მოხვდა, სადაც მოყინვისგან ხელზე რამდენიმე თითი დაკარგა. 1948 წელს მას ნება დართეს ქუთაისში დასახლებულიყო. იან ჰომერი არ ჩამოშორდა ჩოგბურთს. მსაჯობდა, ვეტერანთა ტურნირებს ატარებდა. იან ჰომერი გახლავთ ის ადამიანი, რომელიც საქართველოში ჩოგბურთის სათავეებთან აღმოჩნდა.

სანამ „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები გაშენდებოდა, ჰომერის აღზრდილმა ჩოგბურთელებმა, საბჭოთა ქვეყნის ჩოგბურთის ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს. მათ შორის გამოირჩეონენ ედუარდ ნეგრებეცკი და არჩილ მდივანი.



ედუარდ ნეგრებეცკი თბილისის „დინამოს“ კორტზე

ედუარდ ნეგრებეცკიმ ჩოგბურთის თამაში დაიწყო 12 წლის ასაკში. 1922–1926 წლებში იგი მე-2 თანრიგოსნებში გახდა თბილისის ჩემპიონი, 1927 წელს - ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჩემპიონი, სსრ კავშირის 1928 წლის სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ვერცხლის მედლებს დაეუფლა. 1932 წლიდან ცხოვრობდა ლენინგრადში. გახდა საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში,

წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონი, მათ შორის არჩილ მდივანთან ერთად წყვილში 1934–1936 წლებში; შერეულ წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის ათგზის ჩემპიონი. ნეგრებეცკი 22 წელი საბჭო თა კავშირის უძლიერეს ათეულში შედიოდა, აქედან 5 წელი პირველ ნომრად. ჩაატარა საერთაშორისო მატჩები თურქეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და პოლონეთის ჩოგბურთელებთან.

1937–1938 წლებში ანრი კოშეს სკოლაში სწავლობდა. 1954–1960 წლებში იყო სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 1960 წლიდან ლენინგრადის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. გარდაიცვალა 1985 წელს.

არჩილ მდივანი

ქართველ ჩოგბურთელს არჩილ მდივანს ბავშვობიდან ავარჯიშებდა იან ჰომერი, 1934–1936 წლებში არჩილი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში ედუარდ ნეგრებეცკისთან ერთად. 1931–1936 წლებში შედიოდა სსრ კავშირის ჩოგბურთელთა უძლიერეს ათეულში. იყო სსრ კავშირის ჩემპიონი „დინამოს“ გუნდის შემადგენლობაში. ლენინგრადის ოთხგზის ჩემპიონი (1932–1936). პირველი ქართველი სპორტის ოსტატი ჩოგბურთში (1936). 20-იანი წლების დასასრულს მხოლოდ ედუარდ ნეგრებეცკი იყო მასზე ძლიერი ჩოგბურთელი. 1932 წელს არჩილი და ედუარდი საცხოვრებლად ლენინგრადში გადავიდნენ. მათი წყვილი - მდივანი და ნეგრებეცკი საბჭოთა ჩოგბურთის სიმბოლოდ იქცა. ცნობილი ბოლშევიკის, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბუდუ მდივანის შვილი, 1937 წლის აპრილში მოსკოვში დააპატიმრეს. 13 სექტემბერს იგი ტერორიზმის ბრალდებით გაასამართლეს და იმავე დღეს დახვრიტეს. ის მხოლოდ 26 წლისა იყო.



არჩილ მდივანი
თამაშის
დროს



განუყრელი მეგობრები:
ედუარდ ნეგრებეცკი და
არჩილ მდივანი

ედუარდ ნეგრებეცკის მოგონებიდან:: „...არჩილის დაკარგვის შემდეგ მე მყავდა სხვა პარტნიორები (ევგენი კუდრიავცევი, ნიკოლაი ოზეროვი, ევგენი კორბუტი), მაგრამ არჩილი ჩემთვის უბადლო და საუკეთესო იყო. არჩილი დაბადებული იყო ჩოგბურთისთვის... თბილისის სწრაფ კორტებზე აღზრდილი არჩილი შემტევ ჩოგბურთს ქადაგებდა.“

ბოლშევიკებმა, რომლებმაც თავიდან ლაუნ-ტენისი გაანადგურეს რუსეთში, 1930-იან და ომის შემდგომ წლებშიც ცდილობდნენ ჩოგბურთის აღორძინებას. ამ მიზნით, 1937-1938 წლებში, სსრკ-ში მოიწვიეს უიმბლდონის ტურნირის ოთხგზის გამარჯვებული ფრანგი, ანრი კოშე. 1936 წელს კოშე პირველად ჩამოვიდა სსრკ-ში და ჩაატარა საჩვენებელი გამოსვლები მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში. მოსკოვში მოეწყო საბჭოთა ჩოგბურთელთა სავარჯიშო შეკრება, ე.წ. ანრი კოშეს სკოლა. ცსკს ჩოგბურთის სტადიონზე ანრი კოშე თავის ოსტატობას უზიარებდა ახალგაზრდა ჩოგბურთელებს. დაწერა წიგნი „ჩოგბურთი“, რომელსაც ჩოგბურთის სახელმძღვანელოდ იყენებდნენ.



ანრი ჟან კოშე და
იან ჰომერი. 1937 წელი

ანრი კოშე და
ედუარდ ნეგრებეცკი

1961 წელს სსრკ-ში ტურნე ჩაატარა ჯეკ კრამერის ცნობილმა საჩოგ-ბურთო დასმა. ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ (ჯეკ) კრამერი 1940 და 1941 წლებში აშშ-ის ჩემპიონი იყო, 1946-1947 წლებში - უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული და დევისის თასის ორგზის მფლობელი. სპორტული კარიერის შემდეგ, ჩოგბურთის პროფესიონალთა პირველი ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის რანგში მან მოაწყო საჩვენებელი თამაშების ტურნე ამერიკასა და ევროპაში. 1961 წლის ივლისში კრამერის გუნდს უფლება მისცეს ჩამოსულიყვნენ სსრკ-ში. მათ 10-22 ივლისს საჩვენებელი გამოსვლები გაიმართეს საბჭოთა კავშირის ქალაქებში: მოსკოვში, ლენინგრადში,

რიგაში, ტალინსა და თბილისში. 1961 წლის ივლისში კრამერთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ პროფესიონალი ჩოგბურთელები: ერნსტ ბუჰგოლცი, ბარი მაკკეი, კურტ ნილსენი, ლიუ ჰოუდი და ტონი ტრაბერტი.

ცნობისათვის: ლიუ ჰოუდი იყო ავსტრალიელი ჩოგბურთელი, დიდი სლემის 12-გზის გამარჯვებული, ავსტრალიის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში სამგზის „დევისის თასის“ მფლობელი, ხოლო ტონი ტრაბერტი იყო ამერიკელი ჩოგბურთელი, დიდი სლემის ათგზის გამარჯვებული არაპროფესიონალებში, აშშ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში 1954 წლის „დევისის თასის“ მფლობელი,მან მასაფრანგეთის პროფესიონალთა ჩემპიონატში ორჯერ გაიმარჯვა. კრამერის დასმა თბილისში, საჩვენებელი თამაშები სპორტის სასახლეში, ხის საფარზე ჩაატარა. თბილისელებს ისეთი ძლიერი და ტექნიკური ჩოგბურთი აჩვენეს, რომ მნახველებმა მათი ვირტუოზული გამოსვლების გამო, კრამერის დასს, კრამერის ცირკიც კი შეარქვეს.

ქართული საჩოგბურთო ისტორიის განმავლობაში, თბილისის „დინამოს“ კორტებზე სსრკ-ს ნაკრებმა 6-ჯერ ითამაშა „დუაიტ დევისის“ სახელობის თასის გათამაშებაში. პირველად ეს იყო 1968 წელს როდესაც საბერძნეთის გუნდს შეხვდნენ ევროპის „ა“ ზონის მერვედფინალურ მატჩში და იგი დაამარცხეს ანგარიშით 4:1. მეორედ უნგრელებს შეხვდნენ 1972 წელს, ევროპის „ა“ ზონის მერვედფინალში და დაამარცხეს ანგარიშით 3:2. მესამედ ითამაშეს იმავე 1972 წელს, ევროპის „ა“ ზონის ფინალში რუმინეთის გუნდთან და დამარცხდნენ ანგარიშით 2:3.

1976 წელს თბილისის „დინამოს“ კორტებზე ჩატარდა „დევისის თასის“ გათამაშების რიგით მე-4 შეხვედრა, ევროპის „ა“ ზონის მერვედფინალი სსრკ-სა და მონაკოს ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა. იმავე, 1976 წელს, ევროპის ზონის ფინალური შეხვედრა გაიმართა ისევ, თბილისის „დინამოს“ კორტებზე,ეს იყო „დევისის თასის“ გათამაშების რიგით მე-5 შეხვედრა, სსრკ-სა და უნგრეთის გუნდებს შორის. სსრკ-ას გუნდმა ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა.

სსრკ-ას ნაკრებმა „დევისის თასზე“თბილისის „დინამოს“ კორტებზე მეექვსედ ითამაშა 1985 წელს, ევროპის ზონის უმაღლესი ლიგის მერვედფინალი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან და დამარცხდა ანგარიშით 2:3.

ამ შეხვედრების დროს „დინამოს“ კორტებზე თამაშობდნენ ცნობილი ჩოგბურთელები მათ შორის გამოირჩეოდა რუმინელი ილიე ნასტასე,

რომელიც 1973 წელს,როდესაც შემოიღეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ყოველწლიური სარეიტინგო შეფასება, მისი რეიტინგი იყო: **„მსოფლიოს პირველი ჩოგანი“.**

1985 წლის შემდეგ თბილისის „დინამოს“ კორტებზე ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრები არ ჩატარებულა. ამის სათანადო მიზეზები არსებობდა როგორც ქართულ ჩოგბურთში ისე ქართულ პოლიტიკაში. საქართველოს ნაკრები დეივისის თასზე, 1995 წლიდან, გამოდიოდა ევროპა/აფრიკის ზონის II ჯგუფში,ხოლო 2006 წლიდან გამოდის ამ ზონის I ჯგუფში.[1]

ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ წარმატებული თაობა

საბჭოთა ჩოგბურთის წარმატებაში, საქართველოს წარმომადგენლებს გამორჩეული ადგილი უდაოდ, უკავიათ. ქართველები სათანადო დონით გაუთნასწორდნენ მსოფლიო ჩოგბურთის იმდროინდელ ლიდერებს. თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტები თავისი არსებობის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული ჩოგბურთის განვითარებაში. იქ დაოსტატდნენ ხუთი თაობის ჩოგბურთელები, რომელთა შორის ყველაზე წარმატებულები 1960-იანი წლების თაობა გახდა. ამ საქმეში, რა თქმა უნდა „დინამოს” კორტების მწვრთნელების შრომის შედეგი ჩანდა, მაგრამ, ვფიქრობ, გადამწყვეტი აღმოჩნდა ქართველ ჩოგბურთელთა ტალანტი, ფიზიკური მონაცემები და დაუღალავი შრომა. სწორედ ამით, იქნა მიღწეული მსოფლიო დონის წარმატებები და საქართველოში ჩოგბურთის პოპულარობა.

დამოუკიდებელი საქართველოს 19 წლის პერიოდში იქ აღიზარდა არაერთი მაღალი დონის ჩოგბურთელი.

ზემოთ უკვე წარმოვაჩინეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის იმპერიაში ჩოგბურთის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. შევეხეთ ქართული ჩოგბურთის ისტორიის ფრაგმენტებსაც. ვფიქრობ, ჩოგბურთის ისტორიის და განვითა-

[1] მასალა ვიკიპედიიდან.

რების შესახებ, წიგნები ხშირად უნდა იბეჭდებოდეს, რაც ყველა თაობის მკითხველს გაუღვივებს ჩოგბურთისადმი ინტერეს.

ქართული ჩოგბურთის წარსული, აწმყო, მიღწევები, გამორჩეულად წარმოგვიდგინა ბატონმა ვლადიმერ გოგლიძემ. იგი 1951 წლიდან თავად წარმოადგენს ქართული ჩოგბურთის სახეს. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი „დინამოს“ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის თბილისისა და თბილისის „დინამოს“ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში; საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი ჭაბუკთა შორის, 1960-იან წლებში საქართველოს ნაკრების წევრი, 1980-იან წლებში საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი. 1991-1996 წლებში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი,1999 წლიდან საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრი, გოგლიძე 2007 წლის აპრილიდან, საქართველოს ვეტერან და მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციის პრეზიდენტია.

ბატონმა ვლადიმერმა ქართულ ჩოგბურთს, თავისი წილი ღვაწლი ინტელექტუალაურადაც შემატა. ჩოგბურთის შესახებ მას გამოქვეყნებული აქვს „ისტორია“ - მოგონებები, 2012 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა წიგნი - „ჩოგბურთი“. ეს წიგნი, მსოფლიო ჩოგბურთის შესახებ ენციკლოპედიური შრომაა, რომელიც თბილისში პირველად გამოიცა. მისი პუბლიკაციები ქართული ჩოგბურთის ისტორიის შესახებ, ინფორმაციის წყაროა, უშუალოდ ნანახის შთამბეჭდავი გადმოცემა საჩოგბურთო ცხოვრებისა. ჩოგბურთის შესახებ საინტერესო ფაქტების ამსახველი ის ინფორმაციები, ფოტო და ვიდეომასალა, რომელიც მან ელექტრონულ სივრცეში განათავსა, ჩოგბურთით დაინტერესებული ადამიანებისთვის კარგი გზამკვლევია.

ბატონი ვლადიმერი წერს: **„შევეცადე გამეხსენებინა ის დინამოელები, რომლებიც მრავალი წლების განმავლობაში თავისი თამაშით კორტებზე იზიდავდნენ მრავალ მაყურებელს და „დინამოს” სტადიონზე მეგობრულ ვითარებას ჰქმნიდნენ... „ 1932 წელს თბილისში, ჩიტაძის ქუჩაზე, ორი კორტის ბაზაზე, “დინამოს” საჩოგბურთო სექცია შეიქმნა. მას სათავეში ჩაუდგა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ევგენია ვერმიშევა და არამ ხანგულიანი.**

ევგენია ვერმიშევა



არამ ხანგულიანი

თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის მოკლე ისტორიაში, თავისი ადგილი უჭირავთ „დინამოს” ჩოგბურთის კლუბის წევრებს, რომლებმაც 1973 წელს, კლუბის შექმნის იდეა გააჟღერეს მხოლოდ, რადგან კანონი ამის უფლებას არ იძლეოდა. ქვეყანაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, კლუბი ოფიციალურ არაკომერციულ საზოგადოებად ჩამოყალიბდა. 1994 წელს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კლუბი დარეგისტრირდა კიდეც. დამფუძნებლებს შორის იყვნენ, „დინამოს“ ცნობილი ჩოგბურთელები და მწვრთნელები, საჩოგბურთო სტადიონის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მოედნების მომვლელები, დამლაგებლები და სხვა. ერთი სიტყვით, ყველა, ვინც სურვილი გამოთქვა ყოფილიყო კლუბის დამფუძნებელი. შემდეგ, შემოგვთავაზეს ჩვენც, ვინც ათეული წლების მანძილზე ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ არაკომერციულ საზოგადოებას წარმოვადგენდით. ასე გავხდით კლუბის კანონიერი დამფუძნებლები. კლუბში გავერთიანდით 51 ფიზიკური პირი,მთლიანი ქონებაში საერთო 65%-იანი წილით გავხდით კლუბის მესაკუთრეები. კლუბის დამფუძნებლად 35% წილით გამოდიოდა სპორტსაზოგადოება „დინამო“. დამფუძნებლების გარდა კლუბის სიკეთით სარგებლობდა ათასამდე თბილისელი მათ შორის ნახევარი ბავშვები იყვნენ კლუბის მწვრთნელებთან სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებულები. მოქმედი სპოტრსმენების გარდა, ყოველდღიურად კორტებზე ვარჯიშობდა სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის, 100-150 ჩოგბურთის მოყვარული.

ხაზგასასმელია ის ფაქტი,რომ თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის, როგორც რეკრეაციული ზონის სიკეთით, სარგებლობდა მრავალი თბილისელი.

საჩოგბურთო სტადიონი დინამოელი ჩოგბურთელების ბაზა იყო. თავდაპირველად მათზე შევაჩერებთ ყურადღებას, შემდეგ გავიხსენებთ მოყვარულ ჩოგბურთელებს, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებთან კავშირი არ გაუწყვეტიათ და ასევე იმათ, რომლებიც ჩოგბურთის „დინამოს“ სტადიონის ერთგულნი დარჩნენ 2010 წლამდე.

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს წარმოგვეჩინა ქართული ჩოგბურთის ისტორია. ჩვენ, მხოლოდ, მისი ფრაგმენტები წარმოვარჩინეთ. ქვემოთ გვინდა გავიხსენოთ გავლილი ცხოვრების ის წლები, როდესაც ჩოგბურთი იყო ჩვენი ცხოვრების ნაწილი.

ბატონი ვლადიმერ გოგლიძე წერს: **„ძალიან ბევრი, რომლებმაც ქართული ჩოგბურთის განვითარების ისტორია არ იცოდნენ, კითხვას სვამდა, თუ როგორ მოევლინა ქართულ ჩოგბურთს ალექსანდრე მეტრეველი... ალექსანდრე მეტრეველის წარმატებებზე დიდხანს არ შევჩერდები. მარტო მისი გამარჯვებები მსოფლიო ჩოგბურთის ისეთ კორიფეებზე, როგორებიც იყვნენ ლიუ ჰოუდი, რიკარდო (პანჩო) გონზა ლესი, ჯიმი კონორსი, ილიე ნესტასე, მანოლო სანტანა, ნიკოლო პიეტრანჟელი, მანოლო ორანტესი, მარტი მალიგანი, ჯონ ნიუკომბი, იან კოდეში და ბევრი სხვა გამოჩენილ ჩოგბურთელებთან თავისთავად მეტყველებენ მის ოსტატობაზე“.**

მართლაც, როგორ მოხვდა ალექსანდრე მეტრეველი „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე?

ალექსანდრე მეტრეველი, არამ ხანგულიანი, ნუგზარ მძინარიშვილი

ამას თავად იგი პასუხობს გაზეთ „ლელოს“, 2019 წლის 4 აპრილის ინტერვიუში: **„განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. უფროსი ძმა ვარჯიშობდა „დინამოს" იმ კორტებზე, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. ერთ დღეს მეც თან გამიყოლა. ტრიბუნიდან ვუყურებდი მის თამაშს. მწვრთნელმა არამ ხანგულიანმა ჩემს ძმას ჰკითხა, ის პატარა ბიჭი ვინ არისო. რომ გაიგო, ვინც ვიყავი, კორტებზე მიხმო.“**



ვლადიმერ გოგლიძე, პეტრე მეტრეველი, ნუგზარ მძინარიშვილი 1967 წელი

ალექსანდრეს უფროსი ძმა პეტრე მეტრეველი იყო, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი წყვილთა თანრიგში. პეტრე მეტრეველი და გრანტ მუსაელიანი ჩოგბურთში ძლიერი წყვილი იყვნენ.

ვლადიმერ გოგლიძეს გადმოცემით, **„პეტრეს დიდი წვლილი მიუძღვის უმცროსი ძმის ალექსანდრეს დაოსტატებაში.“**

ბატონი პეტრე ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი განათლებით ფიზიკოსი, დიპლომატიც იყო. ქართულ ჩოგბურთს მან თავისი ოჯახიდან შემატა, ქალიშვილი, სპორტის ოსტატი ლალი მეტრეველი.

ალექსანდრე მეტრეველი ინტერვიუს ასე აგრძელებს: **„ჭაბუკობისას თბილისის ღია პირველობა მოვიგე, ქუთაისელი და ბათუმელი ჩოგბურთელებიც მონაწილეობდნენ, 14 წლისამ მოსკოვში ზამთრის საკავშირო პირველობაზე ვითამაშე 1958 წელს. ნაკრების მწვრთნელებმა შემნიშნეს, შეკრებაზე მიმიწვიეს. მერე „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატზე ვაჯობე ყველას და პირველი ფასიანი ჯილდოც მაშინ ამ ტურნირიდან მივიღე. საერთაშორისო სარბიელისკენ გამეხსნა გზა“.**

ალექსანდრე მეტრეველი იმ ქართველ ჩოგბურთელთა პლეადის წარმომადგენელია, რომელთაც ასპარეზობა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის სახელით მოუწიათ.

1962 წელს 17 წლის ასაკში, მეტრეველი უიმბლდონის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში ბრიტანელ სტენლი მეთიუზთან სამ სეტში დამარცხდა. პირველ სეტში 18 გეიმი ითამაშეს და მეტრეველი 10:8-ით დამარცხდა. მეორე სეტი მეტრეველმა მოიგო ანგარიშით 6:3.მესამე სეტში მეთიუზმა 6:4 გაიმარჯვა. საბოლოოდ. 17 წლის ალექსანდრე მეტრეველი დამარცხდა თავის თანატოლთან, სტენლი მეთიუზთან რომელსაც ტენისის კარიერაში თავის ყველზე დიდ წარმატებად, სწორედ უიმბლ დონის ფინალი მიაჩნია, სადაც ალექსანდრე მეტრეველს შეხვდა. მას, სტენლი ჯონ მეთიუზ უმცროსს ეძახდნენ, იგი სერ სტენლი მეთიუზის -ცნობილი ბრიტანელი ფეხბურთელის - ვაჟია. სტენლი მეთიუზ უმცროსმა, თავისი პერსპექტივის გათვალისწინებით, თავი დაანება ჩოგბურთს 1973 წელს. ალექსანდრე მეტრეველმა 1973 წლის 5 ივლისს უიმბლდონის ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა, დაამარცხა ამერიკელი სენდი მაიერი 6:3, 3:6, 6:3. მას შემდეგ, რაც მეტრეველმა ამ ტურნირზე ორი მთავარი ფავორიტი - ამერიკელები, ჯიმი კონორსი და სენდი

მეიერი დაამარცხა, ჟურნალისტთა 80%-ზე მეტი ფინალში მის გამარჯვებას ვარაუდობდა, მაგრამ ფინალი სხვაგვარად განვითარდა. ფინალში მეტრეველი კოდეშთან დამარცხდა: 1:6,8:9,3:6. საინტერესო ის არის, რომ 1973 წლის ფინალამდე მეტრეველმა კოდეში რამდენჯერმე დაამარცხა, მათ შორის წინა უიმბლდონზეც. თავად მეტრეველი წაგებას ასე აფასებს: **„ეს იყო მთელი ჩემი ცხოვრების მატჩი და ბუნებრივია, დაძაბულობისგან ფსიქოლოგიურ სტრესს განვიცდიდი. ძალიან ვნერვიულობდი, იმდენად რომ საკუთარ თავს ვეღარც ვაკონტროლებდი. მთელი თამაში ჩემს თავს ვებრძოდი და არა კოდეშს, იანმა მაჯობა, მაგრამ მეორე სეტში დაფიქსირებული 8:9 მან დიდი ხნით დაიმახსოვრა. ძალიან მეწყინა, რომ ვერ შევძელი ჩემი პოტენციალის სრულად რეალიზება იმ შეხვედრაში,"**[1]

უიმბლდონის ლაუნ-კორტებზე
სამეფო შესასვლელი, 1962 წელი

[1] https://goal.ge/news/102545-uimbldonis-qartveli-finalisti-romelic-tavis-droze-reitingshime-9adgils-ikavebda.

სტენლი მეთიუზი, უიმბლდონის
1962 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის
გამარჯვებული



ალექსანდრე მეტრეველი და
სენდი მაიერი შეხვედრის შემდეგ,
1973 წლის 5 ივლისი

მეტრეველი ასევე, ორჯერ გავიდა უიმბლდონის შერეული წყვილების ფინალში ოლგა მოროზოვასთან ერთად, ჯერ 1968 წელს, შემდეგ 1970 წელს, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს.

გამარჯვებული იან კოდეში და ალექსანდრე მეტრეველი, უიმბლდონი 1973 წ. 7 ივლისი.[1]

[1] ფოტო: AFP- ფრანს-პრესი საინფორმაციო სააგენტო.

ალექსანდრე მეტრეველი და ოლგა მოროზოვა უიმბლდონის ჩემპიონატზე შერეულ წყვილთა თანრიგში თამაშის წინ, 1970 წელი [1]

1974 წლის რეიტინგით ალექსანდრე მეტრეველი გახდა მსოფლიოს მე-9 ჩოგანი. იმ პერიოდში იგი სტაბილურად გამოდიოდა დიდი სლემის ტურნირებზე. საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია პირველობების ნახევარ-ფინალური შეხვედრები ითამაშა, აშშ-ის ღია პირველობაზე - მეოთხედფი-ნალური შეხვედრა. ჩოგბურთელმა კარიერა 1980 წელს დაასრულა. ჯამ-ში მან ATP-პროფესიონალი ჩოგბურთელების ასოციაციის 5 ტურნირი მოიგო ერთეულთა თანრიგში. მეტრეველი არის ევროპის 16-გზის და სსრკ-ს 29-გზის ჩემპიონი ერთეულებში, წყვილებსა და შერეულ წყვილებში. იგი არის 1975 წლის სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი. მეტრეველი იყო ერთადერთი საბჭოთა მამაკაცი ჩოგბურთელი, ვინც დიდი სლემის ტურნირის ფინალში ითამაშა და ვინც მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში მოხვდა. იგი 18 წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ-ს საუკეთესო მამაკაც ჩოგბურთელთა ათეულში, აქედან 12-ჯერ პირ-ველ ნომრად - 1966–1967 და 1969–1978 წლები. ალექსანდრე მეტრეველმა სსრკ-ს ნაკრების სახელით, დევისის თასზე ასპარეზობებში მონაწილეობა

[1] ფოტო: © РИА Новости/Владимир Арсирий.

1963 წლიდან დაიწყო. დევისის თასზე მან ჩაატარა 105 მატჩი, რაც საბ-ჭოეთში ეს აბსოლიტური რეკორდი იყო.



ალექსანდრე მეტრეველი „დინამოს“ ცენტრალურ კორტზე

მეტრეველზე მეტი თამაში დევისის თასზე გამართული აქვს მხოლოდ 3 ჩოგბურთელს - ნიკოლო პეტრანჟელის, ილიე ნასტასესა და მანუელ სანტანას. სამწუხაროდ, მეტრეველს არასდროს მოუგია დევისის თასი.

ალექსანდრე მეტრეველი და
ფრანჩესკო რიჩი ბიტი, 2015 წელი

2015 წლის უიმბლდონის ტურნირის მსვლელობის დროს გაიმართა ალექსანდრე მეტრეველის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი მას გოტფრიდ ფონ კრამის ჯილდო გადასცა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) პრეზიდენტმა ფრანჩესკო რიჩი ბიტმა. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მეტრეველი დევისის თასზე წარმატებული თამაშისთვის დააჯილდოვა. 60-70-იანი წლების საბჭოეთის პირველმა ჩოგანმა 1963-1979 წლებში დევისის თასზე 105 შეხვედრა გამართა და 80 მოიგო, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია ტურნირის ისტორიაში. გოტფრიდ ფონ კრამი, ვის სახელსაც ატარებს ჯილდო, გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასზე 1932-1953 წლებში თამაშობდა, 101 შეხვედრა გამართა, მათ შორის 82 მოიგო.

ალექსანდრე მეტრეველს ახასიათებდა ჩოგბურთის საკუთარი სტილი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თამაშის მანერა. ეს სტილი საკმაოდ ბუნებრივი იყო, იგი არ შეიცავდა არტისტიზმს, მაგრამ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. მისთვის ჩოგბურთი იყო სპორტი და სანახაობა, რომელიც მნახველს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა. ჩოგ-ბურთის - სპორტისა და სანახაობის - ამ ორი კომპონენტის ორგანული შერწყმა ასაზრდოებდა მეტრეველის ჩოგბურთის ხელწერას. მეტრეველი კორტზე ყოველთვის იყო პიროვნება. თავისი მკვეთრი კომბინაციებით, მოულოდნელი სწორი სვლებით, ძლიერი დარტყმებითა და ამავე დროს გამოხატული ინტელექტის წყალობით, იგი ყოველთვის იმსახურებდა ყველას პატივისცემას. ის ერთგული იყო ჩოგბურთის ეთიკის მიმართ.

ცნობილმა ჩოგბურთელმა და სპორტულმა კომენტატორმა ნიკოლაი ოზეროვმა ალექსანდრე მეტრეველი ასე დაახასიათა: **„მეტრეველი ჩოგბურ-თელია ღვთისგან.როდესაც მის თამაშს ვუყურებთ, ნამდვილ სიამოვნებას განვიცდით. ეს არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი თამაში. ეს არის მაღალი ხელოვნება. აქ არის ყველაფერი, რაც ახლავს დიდ ხელოვნებას, დიდ ჩოგბურთს: მრისხანე თავდასხმები, გამოცდილი თავდაცვა, ფილიგრა-ნული ტექნიკა და ბოლოს, გამოხატული ფანტაზია, დახვეწილი იმპრო-ვიზაცია, რომლის გარეშეც ნამდვილი ხელოვნება წარმოუდგენელია. მეტ-რეველი პირველია საბჭოთა ჩოგბურთელთა შორის, რომლებმაც მოახერხა სრულად დაუფლებოდა უნივერსალური თამაშის ტექნიკურ და ტაქტი-**

კურ სიბრძნეს, პრაქტიკაში წარმოეჩინა ჩოგბურთის 1960-1970-იანი წლების მრავალი მოწინავე იდეები.“

მეტრეველმა 35 წლის ასაკში დატოვა სპორტული ასპარეზი, მაგრამ ჩოგბურთი არასდროს მიუტოვებია. მეტრეველი არის სსრკ-ს სპორტის დამსახურებული ოსტატი. 1981-1982 წლებში იყო სპორტული დაოსტატების უმაღლესი სკოლის და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. 1982 წლიდან 1987 წლამდე იყო საქართველოს სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრკ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მმართველი კომიტეტის წევრი. წლების განმავლობაში, მეტრეველი იყო უზბეკეთის ეროვნული ნაკრების კონსულტანტი და რუსეთის ფედერაციის ტურიზმისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველი.

საბჭოთა კავშირის დაშლის მერე, მეტრეველი ამერიკის შეერთებულ შტატებსა, სხვა ქვეყნებში თამაშობდა ვეტერანთა ტურნირებში და შემოსავალიც აქედან ჰქონდა. მეტრეველის საჩოგბურთო ჰონორარი არასოდეს არ გამოირჩეოდა. ისევე როგორც ყველა იმ დროის სსრკ-ს მსოფლიო დონის სპორტსმენი, საპრიზო ფონდებიდან მიზერულ ჰონორარს სჯერდებოდა. მეტრეველი შამილ ტარპიშევის მიწვევით სამუშაოდ მოსკოვში გადავიდა.

ის გვიყვება: „**ტარპიშევმა მიხმო მოსკოვში - ჩოგბურთის მოწესრიგება მინდა და დამეხმარეო. კარგა ხანს ვიმუშავე მასთან. მოგვიანებით ნტვ-ზე, შემდეგ ნტვ-პლუსზე გადავედი კომენტატორად. ანა დმიტრიევა იყო ხელმძღვანელი და მან მიმიწვია. დღემდე ერთად ვმუშაობთ. ზოგჯერ ვეტერანთა ტურნირებშიც ვთამაშობ, ვხვდები ძველ მეგობრებს. სასიამოვნოა ასეთი ურთიერთობა, ეს ჩემთვის მატერიალურზე უფრო მეტია.“**

მას ანა დმიტრიევასთან ერთად დღესაც მიჰყავს რეპორტაჟები უმაღლესი დონის საჩოგბურთო ტურნირებიდან.



ანა დმიტრიევა და ალექსანდრე მეტრეველი
რეპორტაჟის მსვლელობის დროს

ალექსანდრე მეტრეველი მუდამ მეგობრული განწყობით გამოირჩეოდა არა მარტო პროფესიონალ ჩოგბურთელებთან არამედ ჩოგბურთის მოყვარულთა ყველა თაობის წარმომადგენლებთან. იგი „დინამოს“ კორტების კლუბის დამფუძნებელი და მისი აქტიური წევრი იყო. ხშირად, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, ცდილობდა განევითარებინა „დინამოს“ კორტების მატერიალური ბაზა. ამ მიზნით, რუსეთიდან ჩამოყავდა 90-იანი წლების ცნობილი ბიზნესმენები. იმ დროს არავინ მოისურვა საქმის დაწყება. მარტო „დინამოს“ კორტებს კი არა მთელ საქართველოს სჭირდებოდა მოდერნიზაცია, რეფორმები.



ჩოგბურთის კორტების სტადიონზე დასვენების დროს -
თამაზ ჯანელიძე, ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ დავითაშვილი,
შალვა გიორგაძე, მიხეილ (მიშა) კოდუა, მამია მეგრელიშვილი

შპს საზოგადოება „დინამოს კორტების“ კლუბის წევრებს, არ გააჩნდათ ისეთი ფინანსური რესურსი, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, კლუბის და მისი ტერიტორიის კეთილმოწყობა მოეხდინათ. 2005 წლის შემდეგ საქართველოში გამოჩნდნენ საქმიანი წრის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესდნენ ჩოგბურთის განვითრებით, მათ შორის „დინამოს“ კლუბის მომავალითაც. 2006 წელს ახალი საჩოგბურთო სტადიონი „JAN HOMER STADIUM“ გაიხსნა. 10 წლით ადრე, 1996 წელს, ლეილა მესხმა, 1950-ან წლებში აშენებული, თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე არსებული საჩოგბურთო სტადიონი შეიძინა, სადაც ჩოგბურთის აკადემია დაარსა. „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონიც საჭიროებდა განახლებას და დადგა ის დრო, როდესაც ბიზნესმენმა დავით კოდუამ ფორმალურად, ოფიციალურად დედამისმა - ლამარა ღაჭავამ შეიძინა „დინამოს“ აქციონერთა წილი და აქციონერებს კორტების განახლებასა და მოდერნიზებას დაჰპირდა. ამის სანაცვლოდ, მან სახელმწიფოს სხვა მიწის ნაკვეთში გაუცვალა მთელი ტერიტორია. 2010 წელს სახელმწიფომ „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი დაანგრია.

დიდი ხმაური მოჰყვა მტკვრის სანაპიროზე დინამოს "კორტების" ნგრევას. თბილისის საზოგადოება „დინამოს“ კორტების დასაცავად გამოვიდა. ამონარიდი ალექსანდრე მეტრეველის იმდროინდელი ინტერვიუდან: **„ის, რაც მოხდა, საშინელებაა. ეს იყო ერთ-ერთი ტრადიციული ადგილი თბილისში, სპორტული კერა, სადაც ჩოგბურთელები იკრიბებოდნენ და ტარდებოდა შეჯიბრებები. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მოედანი პოსტსაბჭოურ სივრცეში. ცხადია, შეიძლებოდა მისი რეკონსტრუქცია, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა, პროექტიც გვქონდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლებას სულ სხვა გეგმები ჰქონდა - იქაურობა გაანადგურეს, მოჭრეს ასწლოვანი ხეები და ახლა სამშენებლო პოლიგონად არის ქცეული როგორც ამბობენ, კიდევ ერთ იუსტიციის სახლს აშენებენ. შესაძლოა, ეს კორტები მავანს საკუთარი სასახლიდან ხედსაც უფუჭებდა... გვეუბნებიან აგიშენებთ ახალს! კორტები მარტო მოედანი ხომ არ არის, მას შესაბამისი გარემო, კლიმატი სჭირდება, არ უნდა იყოს ქარიანი ადგილი...ეს რეკრეაციული ზონაც იყო... ხმა გაავრცელეს, თითქოს აქციონერებს შორის პირველი მე დავთანხმდი კორტების გაყიდვას და ამის შემდეგ დაუთმიათ სააქციო წილები სხვებს... ჩანს, ის არ კმარა, რომ ქართული ჩოგბურთი დაასამარეს...ვთხოვ "კვირის პალიტრას" ქართველი საზოგადოებისთვის მათქმევინოს, რომ მე, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, მთელი სიცოცხლე ვცდილობდი და ვცდილობ, ვიყო ღირსეული ადამიანი. ასეთივე სულისკვეთებით აღვზარდე ორი ვაჟი და არასოდეს გამომიყენებია ვინმეს სახელი ბოროტად. ამიტომაც ვითხოვ, დაუმსახურებლად ჩირქს ნუ მცხებენ.... კორტების გაყიდვის ამბავი თავიდან ნათესავმა მაცნობა, მითხრა, გაიყიდა და შენი წილი აქციების დაკავებას აზრი არ აქვსო. მეც დავთანხმდი. თუმცა, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამას არ დავუშვებდი. ეს იყო ისტორიული ობიექტი, აქ დავიწყე კარიერა როგორც ჩოგბურთელმა.“**[1]

ალექსანდრე მეტრეველმა ჩოგბურთელთა ოჯახური დინასტია შექმნა. მისი შვილები, ბატონები ირაკლი და ალექსანდრე, თითქმის ჩვენ თვალწინ დავაჟკაცდნენ. ირაკლის თავად მამა - ალექსანდრე მეტრეველი ავარჯიშებდა, უმცროსი - აკა-ალექსანდრე მეტრეველი მოღვაწეობდა 90-იან წლებში,

[1] „კვირის პალიტრა“2011წლის, 31 იანვარი, "მე ნუ მომცხებენ ჩირქს"...

როგორც ჩოგბურთელი და მწვრთელი. 2010- 2016წლებში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. დღეს ჩოგბურთის ფედერაციის პირველი ვიცე პრეზიდენტია. უფროსი ალექსანდრე მეტრეველის შვილიშვილი, მისი მოსახელე სანდრო-ალექსანდრე ირაკლის-ძე მეტრეველი, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირებში მონაწილეობს. ბოლოს, დევისის თასის ტურნირში 2019 წლის სექტემბერში ითამაშა, როდესაც საქართველოს ნაკრები გუნდი ნორვეგიის ეროვნულ ნაკრები გუნდს შეხვდა. მეორე ჩოგბურთელი შვილიშვილი ირაკლი, იგივე კოკო, ჩოგბურთის საერთა შორისო ფედერაციის ტურნირებში მონაწილეობდა, მაგრამ აქტიურ სპორტს დაშორდა.

ძმები ირაკლი და ალექსანდრე მეტრეველები,
მათი შვილები სანდრო და კოკო

2017 წლის მაისში თბილისის საკრებულომ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭოს რჩევით, მზიურის საჩოგბურთო კომპლექსს ალექსანდრე მეტრეველის სახელი მიენიჭა. იმ დღეს ალექსანდრე მეტრეველმა განაცხადა: **„ჩემთვის დღევანდელი დღე დაუვიწყარი და ამაღელვებელია!... ამ სამახსოვრო დაფაზე მართალია მხოლოდ ჩემი სახელია ამოტვიფრული, მაგრამ არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი დღით პატივი მიეგება ყველა ქართველ ჩოგბურთელს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ასახელა: თეიმურაზ კაკულია, ლეილა მესხი, რენა აბჟანდაძე, ძმები მძინარიშვილები... ყველას ვერ ჩამოვთვლი... ვიმედოვნებ, ამ საჩოგბურთო კომპლექსში კიდევ არაერთი სახელოვანი მოთამაშე გაიზრდება."**

სამახსვრო დაფის გახსნის ცერემონიალი,ალექსანდრე მეტრეველი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი

თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების აღზრდილები არიან როგორც ძმები მეტრეველები ისე ძმები მძინარიშვილები. აღსანიშნავია, რომ წარმატებით ასპარეზობდნენ უმცროსი ძმები.

ნუგზარ მძინარიშვილი ალექსანდრე მეტრეველის შესახებ წერს: **„ალექსანდრე მეტრეველი ჩემი სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის წლების მოწინააღმდეგე, მეწყვილე და მეგობარი, მუდამ დარჩება საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს სპორტსმენად და მსოფლიო კლასის ჩოგბურთელად.“**

აქ შეგნებულად მომაქვს ნუგზარ მძინარიშვილის წიგნში „მისტერ „M“ საქართველოდან“ მის მიერ მკითხველისთვის ხაზგასმით ჩაწერილი გერმანელი ესთეტის ჟან პოლ რიხტერის ციტატა: **„მეხსიერება ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც შეუძლებელია ჩვენი გაძევება“.**

არ შეიძლება ამ სიტყვებმა, მყისიერად, მეხსიერებაში არ “მოგვის-როლოს”. თუმცა, წინამდებარე „ადგილის ამბავის“ თითოეული სიტყვა, მხოლოდ და მხოლოდ მეხსიერების ანარეკლია და მას თუ მეხსიერების ვიზუალური ფიქსირების გამოგონებას - ფოტოს დავუმატებთ, დავინახავთ ამ ორი „**მოწინააღმდეგის, მეწყვილესი და მეგობრის**“ სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის ცხოვრებისეულ ტრანსფორმაციას.

ალექსანდრე მეტრეველი და
ნუგზარ მძინარიშვილი. 1961 წელი
ლენინგრადი



ნუგზარ მძინარიშვილი და ალექსანდრე მეტრეველი
1994 წელი




ნუგზარ მძინარიშვილი და ალექსანდრე მეტრეველი
2014 წელი

ეს ფოტოები, დიდებულად წარმოგვიდგენენ მათ. დავეყრდნობი ზემოთ მოტანილ ციტატას და არ შევცდები თუ დავწერ, რომ ამ ორი ადამიანისათვის სამოთხე, საიდანაც მათი გაძევება შეუძლებელია, ეს ჩოგბურთის ისტორიაა.

ლეონარდო მძინარიშვილი - უფროსი ძმა და მისი თავის ხუთი წლით უმცროსი ძმა - ნუგზარ მძინარიშვილი, 1958 წელს და 1964 წელს საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. 1958 წლის საკავშირო ზამთრის გუნდურ შეჯიბრებაზე ერთად გამოდიოდნენ წყვილთა თანრიგში. ლეონარდო მძინარიშვილი 1960 წელს პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში, შემდეგ კი 1972 წელს, როდესაც დაამარცხა თეიმურაზ კაკულია. ლეონარდო მძინარიშვილი, საზოგადოება „დინამოს“ ნაკრები გუნდის წევრი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი იყო. აგრეთვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოზარდთა შორის თბილისის და თბილისის „დინამოს“ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის 1960 წლის სტუდენტური თამაშების ჩემპიონი, საბჭოთა ხალხთა სპარტაკიადების მონაწილე. ქვეყნის მოზარდთა ნაკრები გუნდის წევრი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირების გაერთიანების ცენტრალური საბჭოსა და „აკადემიადის“ მრავალგზის ჩემპიონი. „აკადემიადაში“ ლეონარდო მონაწილეობდა, როგორც მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ლეონარდოს უმცროსი ძმა ნუგზარ მძინარიშვილი თბილისის „დინამოს“ 60-იანი წლების წარმატებული ჩოგბურთელი იყო. ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ წევრებს ახსოვთ ძმებ მძინარიშვილების ისეთი თამაშიც, როცა მათ სპორტული კარიერა დაამთავრებული ჰქონდათ და „დინამოს“ კორტზე ერთმანეთის სპარინგ-პარტნიორებად გამოდიოდნენ.

ლეონარდო და ნუგზარ მძინარიშვილები

ყოფილი მადათოვის კუნძულის ტერიტორიაზე გაშენებულ „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე ნუგზარ მძინარიშვილის მწვრთნელები იყვნენ არამ ხანგულიანი და ევგენია ვერმიშევა. **„ჩვენ მათ მეორე მშობლებად ვთვლიდით. თავად არ ჰყავდათ შვილები და მთელ სიყვარულს და მზრუნველობას ჩვენ გვჩუქნიდნენ. ეს საოცარი ადამიანები ღირსნი იყვნენ დიდი პატივისცემის.** - წერს ნუგზარ მძინარიშვილი- **სწორედ ხანგულიანი იყო, რომელმაც მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აირჩია ადგილი, სადაც შემდგომ დიდებული და ბრწყინვალე ჩოგბურთის კორტები განთავსდა. იგი თბილისელებისთვის საყვარელ ადგილად გადაიქცა. კორტების მწვანე ხეივნები, სუფთა ჰაერი, სიმყუდროვე და სილამაზე, ბუნებაში გასეირნების მოყვარულთ იზიდავდა. ყოველივე ამაზე, დღეს, ძველი თბილისელების, მხოლოდ, მოგონება დარჩა, ხოლო ჩოგბურთის კორტებისა და ულამაზესი პარკის ადგილას წამოჭიმულია... უზარმაზარი „სოკო" - იუსტიციის სახლი სანაპიროზე“.**

ბატონი მძინარიშვილი თავის წიგნში აღწერს, ყოფილი „დინამოს“ კორტების ტერიტორიას. მისი სილამაზის გადმოსაცემად შესაფერისი შედარებებიც აქვს გამოყენებული. ვფიქრობ, წარსულში წარმატებული ჩოგბურთელის მხრიდან, ეს, იმ მშვენიერების დადასტურებაა, რაც 2010 წელს გაანადგურეს. იუსტიციის სახლის არქიტექტურის მისეულ შეფასებას, ვიზიარებ. მოვიტანე ფოტო თბილისის იმ ხედით, სადაც კარგად ჩანს „სოკოები“. ასეთი დომინანტი ნაგებობა არა მგონია ამშვენებდეს ქალაქს.



იუსტიციის სახლი არქიტექტურული ლადშტაფის ფონზე

ნუგზარ მძინარიშვილის პირველი დიდი წარმატება წილად ხვდა მოზარდთა შეჯიბრებაზე. 1961 წელს მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოზარდებს შორის. 1963 წელს ალექსანდრე მეტრეველთან ერთად ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გახდა, 1964 წელს - უნგრეთის ჩემპიონი. იყო სხვა, საკმაოდ კარგი წარმატებებიც რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში, მაგრამ მის ბიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩოგბურთის სამშობლოში, ინგლისში, ტურნირებში მონაწილეობაა. ბედ-იღბლის ღვთაება-ფორტუნა ნუგზარის მიმართ კეთილგანწყობილი იყო. მას საშუალება მიეცა სსრკ-ს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობა მიეღო ორ დიდ ტურნირში - ბექჰემში, კენტის საგრაფოს ჩემპიონატსა და ლონდონში, «Queen's Club» - „დედოფლის კლუბის“ ღია პირველობაზე. თანაც ეს ყველაფერი 18 წლის ასაკში.

ნუგზარ მძინარიშვილი წერს: **„მე შევძელი ტურნირში გადამესწრო ისეთი მოთამაშეებისათვის, როგორიცაა ჯონ ნიუკომბი, ჯო ფრეზერი, მანოლო სანტანა - 60-იანი წლების უიმბლდონის ჩემპიონები და შევსულიყავი „დედოფლის კლუბის“ ტურნირის 16 უძლიერეს ჩოგბურთელთა რიცხვში“.**

შემდეგ იყო დიდი სლემი უიმბლდონში. ჯერ მოზარდთა ტურნირი 1961 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ - მოზრდილთა ტურნირი. ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობა, შედეგების მიუხედავადაც, იყო პრესტიჟული და გამოცდილების მიღებასთან ერთად, რეიტინგის ზრდის შესაძ-ლებლობაც.



მძინარიშვილი, ლოხაჩევი, ლეიუსი.
უიმბლდონი 1961 წელი

დავუბრუნდეთ ბექჰემს. ვნახოთ რას წერდნენ იმ დღეებში გაზეთები: "Daily Mirror": **"ბრიტანეთის ჩოგბურთი შოკშია! ექვს რუს მოთამაშეს შორის (ასე ეძახდნენ იმ წლებში ყველას, საბჭოთა კავშირიდან), ერთი მოთამაშეა - ნუგზარ მძინარიშვილი. სცადეთ მთელი მატჩის განმავლობაში ამ სახელისდა გვარის რამდენჯერმე გამოთქმა.„მისი თანხმობით მსაჯობისას და რეპორტაჟის დროს მას წარმოადგენდნენ როგორც "Mister-M-ს".**

«The Guardian» წერდა: **«18 წლის თბილისელ მოზარდ სპორსტმენს ნ.მძინრიშვილს ჰქონდა არაჩვეულებრივი მოგება. მან მძიმე ბრძოლაში სძლია ჯერარდს".**

«Советский спорт» - ":**„განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ „დედოფლის კლუბის“ ტურნირის ყველაზე ძლიერი ჩოგბურთელების კომპანიაში აღმოჩნდა თბილისელი სტუდენტი ნუგზარ მძინარიშვილი, “Mister-M”, როგორც მას უწოდებდნენ მსაჯები. ახალგაზრდა დებიუტანტმა ჩეხი ჩოგბურთელი ირჟი იავორსკი დაამარცხა და ლონდონში დიდი პოპულარობა მოიპოვა“.**

18 წლის სპორტსმენის შესახებ, გაზეთების პუბლიკაციებიდან, საკმაოდ საქებარი გამოხმაურებები ახსოვს იმ დროის ჩოგბურთელთა საზოგადოებას და ბუნებრივია, მრავალწლიანი სპორტული ცხოვრების მანძილზე ბევრი სამახსოვრო მოვლენა აისახა ნუგზარ მძინარიშვილის წიგნში „მისტერ „M“ საქართველოდან“. იქ წარმოდგენილია მისი გამარჯვებები და დამარცხებები, რადგან, როგორც თავად წერს, ვერცერთ შეჯიბრებას გვერდს ვერ აუვლის. წიგნში ვეტერანი ჩოგბურთელი, სიამოვნებით გადმოგვცემს მომხდარ კურიოზებს, იხსენებს უსამართლო გადაწყვეტილებებს, მიყენებულ წყენას. ბუნებრივია, ახალგაზრდობის გახსენება სასიამოვნოცაა და ნაღვლიანი განცდების ბურუსშიც გახვევს. როდესაც ბატონი ნუგზარი წარმატებული ფილოლოგი, თავისი სპორტული თავგდასავლების შესახებ წერდა, შთააგონებდა გერმანელი ესთეტის ჟან პოლ რიხტერის ციტატა: **„მეხსიერება ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც შეუძლებელია ჩვენი გაძევება“.**

ახალშეუღლებულმა ნუგზარ მძინარიშვილმა თბილისის ჩოგბურთის მშობლიური კორტები და უნივერსიტეტი მეუღლის სიყვარულის გამო მიატოვა და 1965 წელს ლენინგრადში გადასახლდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამი წელი იყო ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის სსრკ ხალხთა ლიტერატურის განყოფილებაში ქართული ლიტერატურის სექტორის გამგე. ამავდროულად ჩოგბურთში ვარჯიშობდა ლენინგრადის უნივერსიტეტების ნაკრების შენადგენლობაში. კაუნასში (ლიტვა) ჩატარებულ ბალტიისპირეთის თასის ტურნირში გაიმარჯვა, მოიგო ყოფილი ჩოგბურთელის, ევგენი კუდრიავცევის სახელობის თასი, ევგენი პოტანინთან წყვილში გახდა ჩემპიონი. ლენინგრადის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, ედუარდ ნეგრებეცკიმ მიიწვია სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად. გამოდიოდა მნიშვნელოვან საკავშირო ტურნირებში.

ნუგზარ მძინარიშვილი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. სსრკ ჩემპიონი დინამოს გუნდის შემადგენლობაში. სსრკ იუნიორთა და მოზრდილთა ნაკრების წევრი 1958-1967 წლებში. 1962 წლის სსრკ ზამთრის პირველობის ფინალისტი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, უნგრეთის 1964 წლის ჩემპიონი,წყვილთა თანრიგში ალექსანდრე მეტრეველთან ერთად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1963 წლის ღია ჩემპიონატის პრიზიორი, იან კოდეშთან ერთად, მოსკოვის 1965 წლის ზამთრის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, საფრანგეთში, ქალაქ ვიშის 1962 წლის გუნდური შეჯიბრების „Coupe de Galea" ფინალისტი, 1963 წლის ამავე შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორი. მძინარიშვილის გარდა, იმ დროს, ნაკრებში შედიოდა მეტრეველი და იუშკო. სამივე ქ. ვიშის საპატიო მოქალაქე გახდა.

1954 წლიდან 1971 წლამდე ნუგზარ მძინარიშვილმა მონაწილეობა მიიღო 215 ტურნირში. გაიმარჯვა 164 ჯერ.10 წელი გამოდიოდა საქართველოს სახელით. სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში 41 საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდა. 1971 წელს დიდ ჩოგბურთს თავი დაანება. საქმიანობა მწვრთნელად გააგრძელა. 15 წელი მოღვაწეობდა ჯერ ლენინგრადში, შემდეგ რიგაში. საქართველოში დაბრუნებული 1981-1984 წლებში საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობდა. როგორც თავად წერს: **„ნაკრებში თამაშობდნენ ლეილა მესხი, ვიქტორ ხურდა, ვლადიმერ გაბრიჩიძე, ირინა მალაციძე, ირაკლი მეტრეველი, ირაკლი ლაბაძე. ისინი წარმატებით გამოდიოდნენ მრავალ ტურნირებში. თითქმის ყველა, ვინც 80-იან წლებში თამაშობდა, შემდეგ წარმატებული მწვრთნელები დადგნენ."**

ნუგზარის ოჯახი ჩოგბურთელების ოჯახია. იგი ქალიშვილთან, მონიკა ფენენკოსთან, ერთად 1990 წელს ნომინაციაში „მამა+შვილი" ლატვიის ჩემპიონი გახდა.[1]

[1] https://tennis-i.com/tennisnaya-entsiklopediya/interesnye-fakty/tennisnye-pary-rodstvennikov.

როდნი ჯორჯ ლეივერი
უიმბლდონის 1968 წლის
გამარჯვებული

ნუგზარ მძინარიშვილი მოგონებების წიგნში წუხილს გამოთქვამს რომ 1961 წლის 21 ივნისს, ვერ შესძლო ავსტრალიელი პროფესიონალი ჩოგბურთელის როდნი ლეივერის დამარცხება, რომელიც ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ არის აღიარებული. ცნობისათვის მას მოგებული აქვს ერთეულებში 11 დიდი სლემის ტურნირი, მათ შორის – 4 უიმბლდონი, 3 ავსტრალიის ღია პირველობა, 2 აშშ-ის ღია პირველობა და 2 საფრანგეთის ღია პირველობა - 1962 და 1969 წლებში, შეძლო ოთხივე დიდი სლემის მოგება. მის ამ წუხილზე, ვიტყვით იმას, რომ ყველას თავისი გზა აქვს! ნუგზარ მძინარიშვილის მიერ ჩოგბურთში გავლილი გზა, საამაყოა ქართველი გულშემატკივრებისთვის.

ქართველი „დინამოელი“ ჩოგბურთელი ქალი, რომელიც მოყვარულ ჩოგბურთელთა კლუბის წევრებთან თავიდანვე მეგობრული ურთიერთობით გამოირჩეოდა, იყო რენა აბჟანდაძე.

რენა აბჟანდაძე

რენა და მისი მეუღლე - ჟანი გოგილაშვილი, შვილებთან ერთად კორტების მოპირდაპირე სახლის მეხუთე სართულზე ცხოვრობდნენ. მათი აივნიდან „ხელის გულზე“ მოჩანდა „დინამოს“ მშვენიერი კორტები.

ჟანი გოგილაშვილის და რენა აბჟანდაძის ბინა

რენა აბჟანდაძე 1957-1968 წლების წარმატებული ქართველი ჩოგბურთელი იყო. ჩოგბურთის „დინამოს“ სტადიონის 1950-იანი წლების აღსაზრდელებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ გამოჩნდა კორტებზე ძლიერი აღნაგობისა და ნებისყოფის, გამარჯვებისთვის მებრძოლი ხასიათის მქონე გოგონა, რომელსაც რენა ერქვა. იგი, ძალიან მოკლე დროში, შეიჭრა ჩოგბურთის ელიტაში და საქართველოს სპორტულ წრეში მასზე ალაპარაკდნენ, როგორც მომავალ ჩემპიონზე. მან ეს იმედები მოლოდინზე მეტად გაამართლა. ერთიმეორეზე მიყოლებით გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი, წლების განმავლობაში სსრკ ჩოგბურთელთა ათეულის მეოთხე ნომერი. მის აქტივშია გამარჯვებები ჩოგბურთის ისეთ ვარსკლავებთან როგორებიც იყვნენ ანა დიმიტრიევა და ოლღა მოროზოვა. 1966 წელს სსრკ ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში გალინა ბაქშეევას დაუთმო. იმ წელს საქართველოს სპორტსმენებიდან ალექსანდრე მეტრეველი სსრკ-ს ჩემპიონი გახდა, ხოლო რენა აბჟანდაძე-ვიცე ჩემპიონი. ასე რომ საქართველოს ჩოგბურთის ისტორიაში, უფრო კონკრეტულად, „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების ისტორიაში 1966 წელი უხვმოსავლიანი გამოდგა.

რენა აბჟანდაძე თამაშის დროს

ჟანი გოგილაშვილი



რენა აბჟანდაძე, არამ ხანგულიანი,
ალექსანდრე მეტრეველი

1970 წელს რენა აბჟანდაძე აზიის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მოიგო ინდოეთის ღია ჩემპიონატი. თავისი მიღწევებით ის უთუოდ იყო ყველაზე ძლიერი დინამოელი ჩოგბურთელი ქალი.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ რენა აბჟანდაძე გახდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

მე და ჩემს მეუღლეს მზია ჯაშს 1982-1985 წლებში კორტებზე ხშირად დაგვყავდა ჩვენი შვილები ნიკოლოზი და მარიამი. მათ შეიყვარეს ჩოგ-ბურთი და მოყვარულ ჩოგბურთელებად დარჩნენ. თუმცა, რენას მარიამის თამაში თვალში მოუვიდა და ერთი პერიოდი მთხოვდა, მასთან მიმეყვანა. თუმცა ბავშვებმა კი სხვა მიდრეკილებები გამოავლინეს.

რენა აბჟანდაძემ ბევრი კარგი ჩოგბურთელები აღზარდა, ესენი არიან: ვიქტორ ხურდა, ეკა ბოკუჩავა, ირინე გერაძე და ირაკლი ლაბაძე. ამათგან მაღალი შედეგებით გამოირჩეოდა ირაკლი ლაბაძე. მაინც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რენას, როგორც მწვრთნელისა და დედის მთავარი იმედი იყო მისი ვაჟი, დათო გოგილაშვილი, მისი დებიუტი დიდი ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა. 1985 წელს დათო გახდა სსრკ-ს ჩემპიონი 16 წლამდე ახალგაზრდებში, შემდეგ, - ევროპის ჩემპიონი, როგორც სსრკ-ს 16 წლამდე ახალგაზრდული ნაკრების წევრი. 1994 წელს დავით გოგილაშვილი საქარ-თველოს ნაკრების პირველ ნომრად თამაშობდა დევისის თასის აფრიკული

ზონის კოტ-დიუვარის რესპუბლიკასთან ასპარეზობისას. შესაძლებელია, დათოს სპორტულ კარიერაზე იმოქმედა დედის - რენა აბჟანდაძის გარდაცვალებამ. იგი 1995 წელს, 55 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. რენას ხსოვნის უკვდასავსაყოფად, მის სახლთან, ჩოგბურთის კორტების მოპირდაპირე მხარეს პატარა ქუჩას, რენა აბჟანდაძის სახელი ეწოდა. შვილმა - დათო გოგილაშვილმა შექმნა „რენა აბჟანდაძის ფონდი“, საიდანაც ფინანსდებოდა მემორიალური ტურნირი-„რენას თასი“. იგი „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე 1996 წლიდან, თბილისში, 11-ჯერ ჩატარდა. ბოლოს „რენას თასის“ ტურნირს მიენიჭა საერთაშორისო სტატუსი და ევროპის ჩოგბურთის ფედერაციის ეგიდით 2006 წლის ივნისის ბოლოს ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის და ესტონეთის 16 წლამდე ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა. ტურნირის მთავარი მსაჯი რენას მეუღლე - ჟანი გოგილაშვილი იყო. ოჯახი ფაქიზად ინახავდა რენას ხსოვნას. სამწუხაროდ, დათო გოგი ლაშვილი 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. შემდეგ წლებში, „რენას და დათოს“ მემორიალური თასის გათამაშება დაწესდა.

კოტ-დ’ივუარის რესპუბლიკა, აბიჯანი, 1994 წელი, საქართველოს ნაკრები: მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ გოგლიძე, დავით გოგილაშვილი, ირაკლი სიამაშვილი, აკაკი ახალაძე და ლევან გელაშვილი

„დინამოს“ კორტების გამოზრდილია ვლადიმერ გაბრიჭიძე.[1] მან თამაში დიწყო 11 წლის ასაკში გივი ჩახუნაშვილთან. 1985 წელს საქართველოს ნაგრები გუნდის შემადგენლობაში მოიგო პირველი საკავშირო მოზარდთა სპორტული თამაშების საჩოგბურთო ტურნირი შერეულ წყვილში, ლეილა მესხთან ერთად. 1987 და 1988 წელს გაიმარჯვა სსრკ-ს საზაფხულო ჩემპიონატში წყვილთა თანრიგში ჯერ ანდრეი ოლხოვსკისთან და შემდეგ ალექსნდრე ზვერევთან ერთად. იმავე წლებში ზამთრის შეჯიბრებებში წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა, ანდრეი ოლხოვსკისთან ერთად, ხოლო 1989 წელს - ანდრეი ჩესნაკოვთან წყვილში. ერთეულთა თანრიგში არის სსრკ-ს 1990 წლის ზამთრის ტურნირის ჩემპიონი.

ვლადიმერ გაბრიჭიძე

საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ერთხელ ინდივიდუალურ თანრიგში, ხოლო წყვილთა თანრიგში ხუთგზის ჩემპიონია. ვლადიმერ გაბრიჭიძე იყო სსრკ ნაკრები გუნდის წევრი და საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი „დევისის თასის“ გათამაშებაში. დღეს ჩოგბურთის მწვრთნელია, მოღვაწეობს მოსკოვში. 1995 წელს იცავდა საქართველოს ღირსებას „დევისის თასზე“. ჯერ კიდევ 1989 წელს დიმიტრი პოლიაკოვთან წყვილში მოიგო „ჩელენჯერი“გერმანიის ქალაქ ფიურტეში. ცნობისათვის: „ჩელენჯერის“ ტურნირი არის შეჯიბრება პროფესიონალ

[1] Материал из Википедии — свободной энциклопедии.

ჩოგბურთელებს შორის, რომელიც იმართება პროფესიონალ ჩოგბურთელთა ეგიდით, კალენდარული წლის განმავლობაში. 1991 წელს „ჩელენჯერი“ მოიგო ერთეულთა თანრიგში იტალიის პესკარში. წყვილებში გაიმარჯვა ინდოეთის ბანგალორში. 2008 წელს, „დევისის თასის“ ტურნირზე იგი დაინიშნა საქართველოს ნაკრების კაპიტნად. ვლადიმერ გაბრიჭიძე, ჩვენი კლუბის წევრისა და მეგობრის ბადრი გაბრიჭიძის უფროსი ვაჟია.



ირაკლი ლაბაძე

ქართველი ჩოგბურთელი, რომლებიც თბილისის „დინამოს“ კორტებიდან მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის ბოლოს, იყო ირაკლი ლაბაძე, პროფესიონალი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი 42-ე ჩოგანი, საქართველოს ნაკრების წევრი. ჩოგბურთის თამაში 6 წლის ასაკში მამამ, გივი ლაბაძემ დააწყებინა. ჩოგბურთში პირველი გაკვეთილებიც მან მისცა. შემდეგ, 1995 წლამდე რენა აბჟანდაძე ავარჯიშებდა. ბატონი გივი შპს „დინამოს“ კორტების კლუბის დამფუძნებელი იყო. იგი ფეხბურთელი გახლდათ. დონეცკის „შახტიორის" ღირსებას იცავდა. 33 წლის ასაკში ფეხბურთს თავი დაანება. იგი წარმატებით თამაშობდა ჩოგბურთსაც. მეგობრობდა ალექსანდრე მეტრეველთან და 1990-იან წლებში, ჩოგბურთში მისი სპარინგ-პარტნიორი გახდა. ბევრჯერ შევსწრებივართ კორტზე ალიკასა და გივის ორთაბრძოლას. ვეტერანი სპორტსმენები უშეღავათო და მაღალი დონის ჩოგბურთს თამაშობდნენ. გივი ლაბაძე საქართველოს სამოყვარულო ჩოგბურთში მრავალი ტურნირის გამარჯვებულია. როგორც სპორტსმენი დღესაც კარგ ფორმაშია. შვილის-ირაკლის ასეთი დონის ჩოგბურთელად ჩამოყალიბებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

კარგად მახსოვს გივი ლაბაძისა და რენა აბჟანდაძის, როგორც ირაკლი ლაბაძის მწვრთნელის ურთიერთობა, რაც წარმატებული ჩოგბურთელის, ჩოგბურთის მწვრთნელისა და ქალბატონის მიმართ ღირსეული პატივისცემის ნიმუში გახლდათ. რენა აბჟანდაძის მრწვრთნელობის დროს, ირაკლი ლაბაძემ არაერთ საკავშირო ტურნირში გაიმარჯვა. 15 წლის ასაკში, 1996 წელს იტალიაში ზედიზედ ორ ტურნირი ითამაშა, ერთი მოიგო, მეორეში ნახევარფინალში გავიდა. მერე ინგლისში ევროპის პირველობაზე გაიმარ-

ჯვა. იმავე წელს მილანში 16 წლამდელთა მსოფლიოს პირველობა გაიმართა. მერვედფინალიდან ზედიზედ სძლია რუს მარატ საფინს, ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს, ფრანგ ჟულიენ ჟან პიერს და ჩემპიონობა მოიპოვა. 1998 წელს 18 წლამდელთა ფინალში დამარცხდა მსოფლიოს ჩოგბურთის მომავალ ვარსკვლავთან როჯერ ფედერერთან - 4:6,4:6. მასტერსის ტურნირებიდან მისი საუკეთესო შედეგია 2004 წელს ინდიან უელსის ნახევარფინალში გასვლა. აღსანიშნავია, რომ ნახევარ ფინალამდე ქართველმა ჩოგბურთელმა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ესპანელ კარლოს მოიას და ყოფილ მეოთხე ჩოგანს, ამერი კელ ჯეიმს ბლეოკს სძლია.

ირაკლი საცხოვრებლად და სავარჯიშოდ ავსტრიაში გადავიდა. 2006 წელს ჩოგბურთში ხელახლა დაბრუნებულმა უიმბლდონის ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი შეხვედრა მოიგო. ძირითად ბადეში რეიტინგის მე-12 ადგილზე მყოფი გილიერმო კორია, მერდი ფიში დაამარცახა და მერვედფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგან რაფაელ ნადალთან სამ სეტში დამარცხდა (3:6, 6:7, 3:6).

იმავე წელს, ლადო ჩიხლაძესთან ერთად, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გუნდი დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში გადავიდა.

სამოყვარულო ჩოგბურთის ტურნირის გამარჯვებული
გივი ლაბაძე და ტურნირის მთავარი მსაჯი ვლადიმერ გოგლიძე

2007 წელს, პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე, ხელის ტრავმა მიიღო, ოპერაცია გაიკეთა და 2009 წელს ისევ დაუბრუნდა კორტებს, მაგრამ აქტიური ჩოგბურთიდან წავიდა. ლაბაძემ სპორტული კარიერა 2010 წელს დაასრულა.

2013 წლის დეკემბერში გამოსული ყოველკვირეული ჟურნალი "ლელო week" იხსენებს, რომ შანჰაის ტურნირზე ირაკლი ლაბაძემ ანდრე აგასი დაამარცხა. აგასი მსოფლიო რეიტინგით მეორე იყო, ლაბაძე 102-ე. ინტერვიუში ირაკლი ლაბაძე ამბობს: „გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის "დინამოს" კორტებზე ისეთი ბავშვობა გამოვიარე, რომ აგასისა და მისი დაჭიმული ჩოგნის როგორ უნდა შემშინებოდა. ალბათ, გახსოვთ, მთელ საქართველოში, მათ შორის მტკვრის სანაპირო-ზეც, მაშინ ავტომატიანი კაცები დარბოდნენ. ჩემი თაობა ფსიქოლოგი-ურად ტრავმირებული თაობაა. 10-11 წლის ბიჭები ტყვიების ზუზუნში ვვარჯიშობდით. არც კი გვჯეროდა, რამის მიღწევას თუ შევძლებდით... დიდ ჩოგბურთზე 23 წლისამ დავიწყე ფიქრი,მთელი ოთხი-ხუთი წლით დავაგვიანე. 2004 წელს „ინდიან უელსის“ ნახევარ ფინალში რომ გავედი, ფედერერმა მომილოცა წარმატება და მითხრა: 50-ეულში შემოსვლა დაგიგვიანდაო“.

„ლელოს“ ფოტოკოლაჟი: ანდრე აგასი და ირაკლი ლაბაძე,
შანხაიში შეხვედრის ანგარიში

ჟურნალისტის კითხვას - მოსკოვში რას საქმიანობ? - ასე უპასუხა: „აქ მეგობრებმა მომიწვიეს... სტოლიაროვმა მირჩია, დავრჩენილიყავი. აქ მეტი შესაძლებლობებია, არადა, ჩემი მიზანი იყო, თბილისში მემუშავა... ახალგაზრდებისთვის გადამეცა ჩემი გამოცდილება. გული მიკვდებოდა, „დინამოს“ ყოფილ კორტებთან რომ ჩავივლიდი. იქ გაიარა მთელმა ჩემმა ბავშვობამ. არ უნდა დაენგრიათ ის ისტორიული ადგილი, სადაც უამრავმა სახელოვანმა ქართველმა ჩოგბურთელმა აიდგა ფეხი...სპორტის ამ სახეობაზე გული არავის შესტკივა. ასეთ სიტუაციაში საქართველოს ჩოგბურთში ჩემს თავს ვერ ვხედავ. ღმერთმა ქნას, რომ სიტუაცია შეიცვალოს ქართული ჩოგბურთის ტრადიციები უკეთეს მომავალს იმსახურებს.“

„დინამოს“ საჩოგბურთო კლუბში, უკვე დასახელებული ცნობილი ჩოგბურთელებისა და მწვრთნელების გარდა, დაგვამახსოვრდა კეთილ განწყობილებით გამორჩეული მრავალი ადამიანი, რომელთა გახსენება აღიქმება თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის ულამაზეს კორტებთან ერთად. პატივისცემას გამოვხატავთ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ხსოვნის მიმართ რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ზრდიდნენ საქართველოს ჩოგბურთელებს და პირადად ვიცნობდით. ასეთები იყვნენ: ალა ივანოვა, გივი თოხაძე, სულიკო თუხარელი, ვანო ელერდაშვილი, გივი ჩახუნაშვილი, მარლენ ქობალია, ბორის სენჩუროვი. მათ კლუბის წევრების უფროსი თაობის თვალწინ აღზარდეს 1980 წლების წარმატებული ჩოგბურთელები: გია და მარინა ელერდაშვილები, ვიქტორ ბაქში, ლევან გელაშვილი, ხათუნა კეკელია, ლალი ზერიკიძე, ლევან რაზმაძე, დავით კაჭარავა, დები - მარინა და ირინა მალაციძეები, ვიქტორ ხურდა, ხათუნა ტრაპაიძე, დები- ოლიკო და ვერიკო თუხარელები, ირინა გერაძე, დიანა შაფათავა, ეკა ბოკუჩავა, არჩილ და ხათუნა კეკელიები, პაატა სეხნიაშვილი, გელა ელერდაშვილი, სოსო სიამაშვილი, ლევან გელაშვილი, ლიკა ტამიროვა და ბევრი სხვა, რომლებიც დღეს აგრძელებენ ჩოგბურთის მწვრთნელის კარიერას ან თავიანთი პროფესიით დასაქმდა.

ვიქტორ ბაქში, იგი ჩვენ თვალწინ დაოჯახდა და შექმნა ჩოგბურთელთა ოჯახი. მისი რჩეული გახდა ქართული ჩოგბურთის ცნობილი ოსტატის ვიქტორ სენჩუროვის ქალიშვილი ალიონა. მათი ვაჟი ალექსანდრე-სანდრო, პატარაობიდან ჩოგბურთელი იზრდებოდა. შედეგებიც კარგი ჰქონდა. რაც კორტები დაინგრა, ბუნებრივია, ყველამ ახალი გზები მოიძია. ვიქტორი 2018

წლის ნოემბრიდან „მზიურის“ კორტებზე ავარჯიშებს ახალგაზრდა ჩოგ-ბურთელებს. ალექსანდრე კი თავის ოსტატობას ჯერ გერმანიაში ხვეწდა, შემდეგ აშშ-ში. ის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა შეჯიბრებებში ეპაექრებოდა, დღეს უკვე ცნობილ ჩოგბურთელებს სტეფანოს ციციპას და ალექსანდრე ზვერევს. დევისის თასის ტურნირში 2019 წლის სექტემბერში ნორვეგიის ეროვნული ნაკრები გუნდის წინაღმდეგ საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ითამაშა.

ალიონა და ვიქტორ ბაქში ალექსანდრე ბაქში

იმისდა მიუხედავად, რომ წინამდებრე ამბავი ეხება წარსულს, „დინა-მოს“ საჩოგბურთო ყოფილი კლუბის წევრები დაინტერესებულები ვართ ქართული ჩოგბურთის აწმყოთი. თუ რაიმე სინტერესო ღონისძიება ან საჩოგბურთო შეხვედრა იმართება საქართველოში, ვესწრებით, განსაკუთ-რებით ლეილა მესხის აკადემიის და ალექსანდრე მეტრეველის სახელობის საჩოგბურთო სტადიონის კორტებზე გამართულ შეხვედრებს. ბუნებრივია ტელევიზიით თვალს ვადევნებთ და ვქომაგობთ ახალგაზრდა ჩოგბურთე-ლებს. სამაყოა ნიკოლოზ ბასილაშვილის შედეგები იმედია ბასილაშვილი დიდ წარმატებას მიაღწევს. გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებებს ალექსანდრე-აკა-მეტრეველს-უმცროსს, ასევე გიორგი ცივაძეს, ალექსანდ-რე ბაკშის, საბა ფურცელაძეს, ეკატერინე გორგოძეს, ოქსანა კალაშნიკოვას, სოფია შაფათავას, მარიამ ბოლქვაძეს, ეკატერინე გორგოძეს, ნინო ნაცვლიშ-

ვილსა და სხვებს. იმედია,მომავლშიც გამოჩნდებიან საქართველოს ჩოგ-ბურთელები რომლებიც ასახელებენ სამშობლოს.

როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, ქართული ჩოგბურთის განვითარებაში თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებს არსებობის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული. ჩვენი „ადგი-ლის ამბავი“ „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე აღზრდილებს ეხება, მაგ-რამ შეუძლებელია არ შევეხოთ იმ ჩოგბურთელებს, რომლებმაც, სხვა კორტებზე ეზიარენ ჩოგბურთს და ქართულ ჩოგბურთში უდაოდ, თავისი უმაღლესი სტანდარტი შექმნეს. დარწმუნებული ვარ, რომ მათ დაოსტატე-ბაში „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონს მოკრძალებული როლი მაინც აქვს შესრულებული.

საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში საქართველოს წარმომადგენლებს ღირსეული ადგილი ეკავათ. ფაქტია, ქართველები ჩოგბურთში გაუსწორ-დნენ მსოფლიო ჩოგბურთის იმ დროინდელ ლიდერებს. ამ საქმეში „დი-ნამოს“ წარმატებულ თაობასთან ერთად თავისი სიტყვა თქვეს თეიმურაზ კაკულიამ და ლეილა მესხმა.

თეიმურაზ კაკულია

თეიმურაზ კაკულია „დინამოს“ კლუბის წევრი არ ყოფილა. იგი პლეხანოვის გამზირზე N117-ში არსებულ კორტებზე აღიზარდა. მისი და მეტრეველის იმ დროინდელი ტანდემი, სანაქებო იყო. თეიმურაზ კაკულია სამოყვარულო ჩოგბურთში ოთხგზის ევროპის ჩემპიონი იყო, ექვსგზის სსრკ-ს ჩემპიონი (1969 წელს შერეულ წყვილებში მარინა ჩუვირინასთან

ერთად. 1972-76 წლებში წყვილებში ალექსანდრე მეტრეველთან ერთად). სსრკ თასის სამგზის მფლობელი. 11 წელი შედიოდა სსრკ-ს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში. მონაწილეობა მიიღო დიდი სლემის 16 ტურნირში, 32 შეხვედრიდან 15 მოიგო. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა „დევისის თასის" 15 მატჩში. წლების განმავლობაში იყო ლეილა მესხის პირადი მწვრთნელი. სამწუხაროდ, თეიმურაზი 59 წლის ასაკში 2006 წელს გარდაიცვალა.

ლეილა მესხი

შეუძლებელია ჩოგბურთზე წერდე და მოკლედ მაინც, ლეილა მესხზე არ შეჩერდე. როგორც თავად იგონებს, მან ჩოგბურთი დაიწყო მარჯანიშვილის კორტებზე, ბატონ გურამ თოხაძესთან. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ლეილა მესხის წარმატებული საჩოგბურთო კარიერა „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბს მხოლოდ, ეპიზოდურად შეეხო. არც არის გასაკვირი, რადგან ლეილა მესხი ქართულმა საჩოგბურთო საზოგადოებამ 1982 წელს, 14 წლის ასაკში აღიარა როცა იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა. შემდეგ, საბჭოთა კავშირში იუნიორ ჩოგბურთელთა შორის პირველი ნომერი იყო. მოსკოვში შეკრებებს 3-4 თვე უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად გადიოდა. იქ მისი მწვრთნელი იყო სერგეი ანდრეევი. 1983 წელს საფრანგეთში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. 1987 წელს იუგოსლავიაში მსოფლიო უნივერსიადაზე ერთეულთა და წყვილთა შორის გაიმარჯვა. იმავე წელს ტალინში საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტი გახდა.

მისი შემდგომი წარმატებები ასეთია: 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის პრიზიორი წყვილებში, ნატალია ზვერევასთან ერთად; 1989 წელს სსრკ-ს ჩემპიონი; 1990-1991 წლებში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა ოცეულის წევრი; „დიდი სლემის“ 23 ტურნირის მონაწილე, 56 შეხვედრიდან 33 მოიგო; WTA-ს ხუთი ტურნირის - ნეშვილის, ოკლენდის, მოსკოვის, ველინგტონისა და ჰობარტის გამარჯვებული;

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის სახელით გამოვიდა. დიდი სურვილი ჰქონდა 1996 წელს ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელლით ეასპარეზა, მაგრამ ქუსლის მყესების ტრამვის გამო ვერ შესძლო. ჩოგბურთს,როგორც სპორტსმენმა 28 წლის ასაკში თავი დაანება. 1998-დან 2012 წლებში, 14 წელი იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 1995 წელს თავისივე სახელობის ჩოგბურთის აკადემიია დაარსა.ქალბატონი ლეილა მესხი სპორტის რაინდის წოდებით არის დაჯილდოვებული.

„დინამოს“ კორტებამდე
სხვა „გზით“ ვიარე

„ადგილის ამბავში“ „ჩავატიე“ მოგონება, თუ როგორ აღმოვჩნდი თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე.

სტუდენტური ცხოვრების კურიოზშია ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომელმაც ყოფილი მადათოვის კუნძულზე გაშენებულ ჩოგბურთის კორტებზე მიმიყვანა. სხვაგვარად ვერ ავხსნიდი 1967 წლის ოქტომბერში თბილისის „დინამოს“ კორტებზე ჩემს გამოჩენას და თუ მკითხველმა ავტორის სტუდენტობის მოგონება წიგნის საერთო შინაარსიდან ამოვარდნილად დაინახა, ნუ დამძრახავს, შემინდოს. ამასთან, აღვნიშნავ რომ ასეთი პასაჟები, არაერთია წიგნში.

თბილისის „დინამოს“ კორტებზე მისვლამდე, სხვა „გზით“ ვიარე. ჩოგბურთის თამაში დავიწყე ბათუმში,ზღვისპირა ბულვარში არსებულ კორტებზე.კორტები ბულვარის ცენტრალურ ნაწილში 1950 წელს აშენდა, სადაც ჩოგბურთის ხუთი კორტი და კალათბურთის, ხელბურთის თითო მოედანი მოეწყო. ჩოგბურთის თამაში იქ,1960 წელს დავიწყეთ ბათუმის იმდროინდელი N1 სკოლის თანაკლასელებმა: გენო ქაცარავამ, ელგუჯა მეძმარიაშვილმა, ელგუჯა ბუაძემ და ამ სტრიქონების ავტორმა.

ელგუჯა მეძმარიაშვილთან
2017წელი

თემო ემირიძე, ელგუჯა ბუაძე, რიჩარდ ჯაში
1963 წელი

კორტებზე დაგვხდნენ ჩოგბურთში დაოსტატებული ნიაზ ჟორდანია, ვიტალი ასათიანი, ნუგზარ ჩავლეიშვილი, თამაზ ცინცაძე,ზური მჟავია, პეტრე აბაშკინი, ნელი თევდორაძე და ნატაშა ანტიპინა.

გურამ თოხაძის 1959-1960 წლების ჩოგბურთელთა ჯგუფი.
დგანან: ვიტალი ასათიანი, თამაზ ცინცაძე, ?, გურამ თოხაძე;
სხედან: ?, ნატაშა ანტიპინა,?.

მთავარი მწვრთნელი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, თბილისში, ნაძალადევში, გაზრდილი გურამ თოხაძე.

მალე, კორტებზე შემოგვიერთდნენ მეგობრები თემურ ცინცაძე, გია კვაჭანტირაძე, რომლებიც ბათუმის „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელთა გუნდში ვარჯიშობდნენ და თემური ემირიძე, რომელიც ენვერ ხაბაძის ქართული ცეკვის ანსამბლში ცეკვავდა.

თემური ცინცაძე,
გია კვაჭანტირაძე,
რიჩარდ ჯაში
1963 წ.

გია კვაჭანტირაძე,
თემო ემირიძე, გენო ქაცარავა,
ანზორ მაკარაძე
1963 წ.

ჩვენთან ერთად თამაში დაიწყო ვიტალი ასათიანის ძმამ ვლადიმერმა-ვოვამ და ასევე მადლენა ოგანეზოვამ, რომლებიც 1966 წელს საქართველოს ნაკრების წევრები გახდნენ.

1966 წელი, ვოვა ასათიანი და
მადლენა ოგანეზოვა

ვოვა ასათიანი თბილისის
„დინამოს“ კორტზე,
1972 წელი

ვოვა ასათიანი 70-იან წლებში წარმტებით გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუდის შემადგენლობაში „დევისის თასზე“ რუმინეთის ჭაბუკთა ნაკრების წინააღმდეგ.

1961 წლის ზაფხულში ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობას წარმოვადგენდით ბათუმის საქალაქო კომკავშირის პირველი მდივნის, რესან კონცელიძის საგზურებით თემურ ცინცაძე, გია კვაჭანტირაძე, რიჩარდ ჯაში, ივლისში ჯერ სოფელ ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას 100 წლის იუბილეზე გახლდით, აგვისტოში კი უკრაინის კარპატებში გამართულ საბჭოთა კავშირის მოსწავლე-ახალგაზრდობის ტურისტულ შეკრებაზე. მოვიარეთ ხარკოვი, კიევი, სტალინო - დღევანდელი ივანოვო ფრანკოვსკი, ლვოვი.

შთაბეჭდილებებით დატვირთულნი რომ ჩამოვედით ბათუმში, მერე, ჩოგბურთის ნაცვლათ, ფეხბურთელები „ნორჩ დინამოელს“ დაუბრუნ-დნენ, მოცეკვავეც ანსამბლში დაბრუნდა. მე და ელგუჯა მეძმარიაშვილი კინოგადაღებამ გაგვიტაცა. 1961 წლის სექტემბერში ელგუჯა ბუაძემ სწავლა გააგრძელა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმში, ბათუმლები „მარია-ხოდკას“ რომ ვეძახდით. თანაკლასელების ჩოგბურთით გატაცება ერთი სასწავლო წელი გრძელდებოდა.

1961-1962 სასწავლო წელს ჩვენი თანაკლასელებიდან კორტებზე ჩოგბურთის ვარჯიში, მხოლოდ გენო ქაცარავამ გააგრძელა, რომელსაც შემდგომ, ურიგო შედეგები არ ჰქონდა. თემურ ცინცაძე მოყვარული ჩოგბურთელი გახდა და ბათუმის კორტებზე, თითქმის 30 წელი თამა-შობდა. თბილისში „დინამოს“ კორტებზეც მრავალჯერ უთამაშია გოგი დავითაძესთან და ჩემთან ერთად.

ნოკოლაი ოზეროვი და ნუგზარ მძინარიშვილი
1958 წელი, ბათუმი

ბათუმის კორტებს ხშირად სტუმრობდა ცნობილი საბჭოთა ჩოგბურ-თელი ნიკოლაი ოზეროვი, რომელსაც ჩოგბურთელის თითქმის 20 წლიანი კარიერის განმავლობაში, სსრკ ჩემპიონის 24 ოქროს მედალი ჰქონდა მოპო-ვებული. 1960 წელს კორტებზე მისი სპარინგ - პარტნიორები იყვნენ ბათუმელი სპორტის ოსტატები: ნიაზ ჟორდანია და ვიტალი ასათიანი.

ორი წლით ადრე, 1958 წელს, ბათუმის კორტზე შეხვედრა გაუმართავს ნიკოლაი ოზეროვს 15 წლის პერსპექტიულ ჩოგბურთელთან ნუგზარ მძინარიშვილთან. ამ ფაქტს ადასტურებს ფოტო, რომელიც ნუგზარ მძინარიშვილის წიგნიდან მოვიტანე. ფოტოზე, ნოკოლაი ოზეროვი და ნუგზარ მძინარიშვილი შეხვედრის წინ. მათ ფონად კარგად მოჩანს ბათუმის საზაფხულო თეატრის ძველი შენობა.

ნიაზ ჟორდანია, ნიკოლაი ოზეროვი, ანატოლი ვოლკოვი, ვიტალი ასათიანი, იგორ ვოლკოვი. ბათუმი 1964 წელი,

წონაში მომატებული

სპორტული კომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი

40 წლის ვეტერანი წონაში მომატებული ჩოგბურთელი, იმ დროისთვის იყო საბჭოთა ქვეყნის რადიოსა და ტელევიზიის ცნობილი სპორტული კომენტატორი. გადმოცემული ჰქონდა რეპორტაჟები სამი - ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1952,1956,1960 წ.წ.); ჰოკეიშიმსოფლიოს ცამეტი ჩემპიონატის; ფეხბურთში ევროპის ერთი და მსოფლიოს ოთხი ჩემპიონატის. ნიკოლაი ოზეროვი განსაკუთრებულად პოპულარული გახლდათ. ადვილი წარმოსადგენია როგორი საპატიო იყო 13-14 წლის ბიჭებისთვის გვენახა ჩოგბურთში მისი „მასტერ კლასი“. ოზეროვი, ზოგჯერ, ბიჭებს ხელბურთის მოედანზე გაგვიყვანდა და იქ ჩვენთან ერთად ფეხბურთს სანაძლეოზე თამაშობდა. შემდეგ კი წაგებულმოგებულებს, იქვე, კიოსკში შეძენილი ნაყინით და ლიმონათით გვიმასპინძლებოდა. ნიკოლაი ოზეროვის ბოლო ვიზიტი ბათუმში გაიხსენა ვოვა ასათიანმა. ბათუმელ ჩოგბურთის მოყვარულებთან ერთად კორტებზე გადაღებული სამახსოვრო ფოტოც მან გადმომცა. 1990 წლის აპრილის ბოლოს ოზეროვი ბათუმში ჩასულა, უკვე ფეხის ტკივილი აწუხებდა, კოჭლობდა კიდეც, მაგრამ ბათუმის კორტებს მაინც წვევია და იმდროინდელი აჭარის ავტონომიის, ბათუმის ხელმძღვანელობისა და ბათუმელ ჩოგბურთის მოყვარულთა წრეში ეს ფოტოც გადაუღია. ამ ვიზიტის შემდეგ იგი ბათუმში არ ჩამოსულა.

1990 წელი, ბათუმი, მარცხნიდან პირველ რიგში:
ბათუმისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდასხმელი გარი ქიქავა,
ნიკოლაი ოზეროვი, ლევან კობალაძე, სრკ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ნაკრების
ყოფილი წევრი ვოვა ასათიანი; უკანა რიგში მოყვარული ჩოგბურთელები:
ალიკა ინწკირველი, თემო ცინცაძე, შოთიკო ახვლედიანი,
ნიაზ გოგიტიძე, გელოდი კობალაძე,
საშა ახვლედიანი, თენგიზ ხახვა, სტეპან აკინიანი ;

ბათუმის კორტები, ჩემთვის, მუდამ მშობლიური იყო, შესაბამისად იქ ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებს დიდი ხალისით ვესწრები.

2018 წლის სექტემბერი ბათუმის კორტები. მარცხნიდან:
ვოვა (ვლადემერ) ასათიანი, რიჩარდ ჯაში, ალექსადრე მეტრეველი,
გურამ გალოგრე, მურმან შელია,.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის კალენდრის შესაბამისად, ბათუმის კორტებზე 2018 წლის სექტემბერში მოწყობილ ქალთა საერთაშორისო ტურნირს დავესწარით, რომლის დამთავრების შემდეგ გადავიღეთ სამახსოვრო ფოტო.

ნიკოლაი ოზეროვს თბილისის „დინამოს“ კორტებზეც უთამაშია. ამას ალექსანდრე მეტრეველი იხსენებს რამაზ სანებლიძესთან ინტერვიუში: **„... ოზეროვს თბილისში ვუყურე, თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე, რომლებიც აღარ არსებობს, იგი უკვე ამთავრებდა სპორტულ კარიერას...“**

გივი კოკაია და ნიკოლაი ოზეროვი
თბილისი, „დინამოს“ კორტები, 1951 წელი

ბათუმის კორტების შემდეგ, ჩოგბურთის სათამაშოდ თბილისის „დინამოს“ კორტებზე აღმოვჩნდი. ეს მოხდა სტუდენტური თავგადასავალით პირველ კურსზე დაშვებული შეცდომის გამოსწორების მიზეზით.

ბევრი ბათუმელისთვის საოცნებო თბილისში სტუდენტობა 1966 წელს ახდა. მეც მათ შორის ვიყავი. პირველი სემესტრის ლექცია-სემინარების ცხრილში ფიზკულტურის საათები თითქმის იმდენივე იყო რამდენიც უმაღლესი მათემატიკის, პოლიტეკონომიისა და სამხედრო კათედრის ლექციები. ყოფილი „სპორტსმენი ჩოგბურთელი“ ფიზკულტურის საათებს არასერიოზულად მოვეკიდე და პირველ სემესტრში უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში მხოლოდ ერთი საათი გავატარე. ამასთან მე და ჩემი ბავშობის მეგობარი, ედნარ (კუსა) ხვიჩია, 1966 წლის ოქტომბრიდან „დოსაააფის“ (რუსული აბრევიატურა-საბჭოთა არმიის, ავიაციის, ფლოტის ნებაყოფლობითი საზოგადოება - ავტ.) ავტოსპორტის სექციის წევრები გავხდით.

მეორე სემესტრში სწავლის გასაგრძელებლად, გადამწყვეტი იყო პირველი სემესტრის თითოეულ დისციპლინაში მიღებული ჩათვლა და საგამოცდო ნიშანი. მიუხედავად კარგი აკადემიური მოსწრებისა პრობლემა შემექმნა: უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა, ზიგფრიდ გვეტაძემ პირველ სემესტრში ფიზკულტურის საათების

გაცდენების გამო, ჩათვლა არ გამიფორმა, ამ მიზეზით შესაძლებელი იყო, უნივერსიტეტიდან გასარიცხ სტუდენტთა სიაში აღმოვჩენილიყავი.

უნივერსიტეტის სპორტულ კათედრასთან საქმის მოსაგვარებლად მივმართე თანაჯგუფელებს, თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს, რომლებიც, ლევან თედიაშვილთან ერთად, დიდი ქართველი ფალავნის - ვახტანგ ბალავაძის აღზრდილები იყვნენ. უნივერსიტეტში სპორტული სიით ჩარიცხულები სსრკ სპორტის ოსტატები - ოთარ ჭკადუა და ონისე ქელეხსაშვილი იმ დროს ინტესიურად ემზადებოდნენ სსრკ ხალხთა IV საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალიწინებულ სპორტის სახეობაში. თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდული შეჯიბრება ლენინგრადში უნდა გამართულიყო 1967 წლის ივლისში. ოთარ ჭკადუა და ონისე ქელეხსაშვილი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ უნივერსიტეტის სპორტული კათედრის წევრებს შორის, მაგრამ განმიცხადეს: „ზიგფრიდ გვეტაძესთან „ჩაწყობა შეუძლებელია“. სასოწარკვეთილმა, დასახმრებლად ჩემს თბილისელ მეგობარსა და თანაკურსელს, კარატისტს, ვაჟა რამიშვილს მივმართე. მან ისეთი რამ მითხრა, რომ მივხვდი შარში გავეხვეოდით - ვაჟამ ზიგფრიდ გვეტაძის კარატეში გამოწვევა დააპირა. ძლივს გადავაფიქრებინე. იძულებული გავხდი შექმნილი სიტუაცია ჩემი დისთვის, ჩარიტა ჯაშისთვის ამეხსნა, რომლიც 23 წლის ასაკში უკვე უნივერსიტეტის თანამშრომელი იყო. მან მომისმინა, საქციელის გამო საყვედურებით ამავსო და უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგესთან დავით ქამუშაძესთან მიმიყვანა. დავით ქამუშაძემ ზიგფრიდ გვეტაძეს სთხოვა, როგორც გამონაკლისი, ჩემთვის ჩათვლა გაეფორმებინა და მეორე სემესტრში ჩემგან მაქსიმალური სპორტული აქტივობა მოეთხოვა, ფაკულტეტის სახელით ასპარეზობებში გამოვეყენებინე. დავით ქამუშაძეს თანდასწრებით ზიგფრიდ გვეტაძემ მკითხა, რა მიზეზით ვაცდენდი ფიზკულტურის საათებს. ახსნა-განმარტების მაგიერ, უტიფრად განვაცხადე: „ფიზკულტურის საათები სპორტსმენებისთვის, დროის ფლანგვაა.“ გვეტაძე მრისხანებით შემომცქეროდა, კარგად იცოდა ეკონომიურ ფაკულტეტზე რამდენი სპორტსმენი ყავდა სპორტული სიით. ჩემდა სამწუხაროდ, მათ რიგში მე არ ვიყავი.

ზიგფრიდი დაინტერესდა თუ რომელ სპორტის სახეობას წარმოვადგენდი. ვუპასუხე-დიდ ჩოგბურთს. თავისთვის კი ასე დაამატა: „როგორც ბათუმელს ცურვაც ეცოდინება“.

გვეტაძემ, რომელმაც ფიზკულტურის მიმართ ჩემი დამოკიდებულება თავხედობად შეაფასა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, შესაბამისად, დამანახა უნივერსიტეტის მოქმედი განაწესის სიმკაცრე. სპორტის კათედრის გამგის კაბინეტში გვეტაძეს მოვუბოდიშე და გულწრფელად დავპირდი რომ შევეცდებოდი მაქსიმალური შედეგი მეჩვენებინა ცურვაში და ჩოგბურთში. გვეტაძემ განაცხადა: ეხლა ჩათვლას ვუფორმებ, მაგრამ თუ გაზაფხულზე ცურვაში შედეგი არ გვიჩვენა, ამ „სპოტრსმენს“ ვაკის საცურაო აუზში წყალს ვაყლაპებ-დუმატა გაბრაზებით.

1967 წლის 9 აპრილს, კვირას 10 საათზე, ვაკის საცურაო აუზში ჩატარდა უნივერსიტეტის ჩემპიონატი ცურვაში. ეკონომიური ფაკულტეტის გუნდმა 4X100 მეტრზე ცურვაში, მეორე ადგილი დაიკავა. მე მეოთხე ვიყავი ესტაფეტაში. ჩემი გაცურვით კმაყოფილმა გვეტაძემ, აუზიდან ამოსვლისას, ქების სიტყვების ნაცვლად და მადლობის ნიშნად ისე მაგრად დამკრა ხელი მხარზე რომ ცურვით ქანცგაცლილი უკან, აუზში, ჩავვარდი. წყალში ჩავარდნილს აუზის ქლორნარევი წყალიც გადამეყლაპა. გვეტაძე ზემოდან დამცქეროდა და მიღიმოდა. თითქოს მეუბნებოდა: ხომ ყლაპე ქლორიანი წყალი. წყლიდან ამოსულს კი მითხრა: მართლაც კარგი ცურვა გცოდნია, იცოდე! შემოდგომაზე ჩოგბურთის ჯერიაო.

გვეტაძის წინაშე ვალდებულების გამო 1967 წლის 9 აპრილს გამოვცხადდი ვაკის საცურაო აუზში. ეს ვალდებულება რომ არა, როგორც „დოსააფის“ ავტოსპორტის სექციის წევრი უნდა დავსწრებოდი ავტორბოლას, რომელიც თბილისში, ვაკე-საბურთალოს გზაზე იმართებოდა იმავე დღის 11 საათზე. ამას აანონსებდა სათანადოდ გამოკრული აფიშები და გაზეთი „ლელო“. წრიული ავტორბოლა, 1967 წლის 9 აპრილს ჩატარდა. ჩატარებული ავტორბოლის შედეგები გაზეთებში არ დაბეჭდილა და არც რადიო-ტელევიზიით გამოცხადებულა.

ავტორბოლის
აფიშა

1967 წლის 9 აპრილის
გაზეთი „ლელო“

იმ დღეს ვაკე-საბურთალოს ტრასაზე სსრკ-ს ჩემპიონატის პირველი ეტაპი მოეწყო, სერიული ავტომობილებით გამართული წრიული რბოლისას,[1] კრასნოდარელი მრბოლელის ბაიზეთ ბედჟაშევის „ვოლგა“ ტრასის მკვეთრ მოსახვევში ძლიერ მოცურდა, მაყურებელთა ჯგუფში შევარდა და ტრაგედია დატრიალდა. ადგილზე ექვსი ადამიანი დაიღუპა, ხუთი დასახიჩრდა. ეს იყო უდიდესი კატასტროფა საბჭოთა ქვეყნის ავტოსპორტის ისტორიაში. ასეთი მსხვერპლის მიუხედავად, თბილისის კატასტროფის შესახებ ოფიციალურ პრესას, სიტყვაც არ დაუბეჭდავს. იმდროინდელ საბჭოთა პერიოდიკაში მინიშნებაც არ არსებობს ამ კატასტროფის შესახებ. ზიგრფიდ გვეტაძის სულს ვუმადლი, რომ მე იმ უბედურების შემსწრე არ გავხდი.

[1] 1967 г. – краткий обзор чемпионата СССР - Автоспорт в СССР; www.ussr-autosport.ru/1967

1967 წლის ოქტომბერში პირობის მიხედვით, ჩოგბურთის ჯერიც დადგა. თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე პირველად მაშინ ვითამაშე, როცა იქ ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპონატი. უნივერსიტეტის ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, ხმამაღალი განაცხადია, რადგან უნივერსიტეტში ჩოგბურთელების ნაკლებობის გამო, ფაკულტეტების გუნდები ვერ კომპლექტებოდა. მხოლოდ ორი გუნდი მონაწილეობდა, ეკონომიური ფაკულტეტის და ჟურნალისტიკის, იქ სწავ-ლობდნენ ჩოგბურთის ოსტატები და ჩემნაირად „ნასწავლი“ ჩოგბურ-თელები. „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე მისულს, იქ დამხვდა ზიგფ-რიდ გვეტაძე, რომელმაც გამაცნო ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი ნინო თუხარელი. გუნდებში ორ-ორი მოთამაშე ვიყავით. რა თქმა უნდა, ლიდერი იყო ნინო თუხარელი, სპორტის საერთაშორისო ოსტატი, სსრკ ჩემპიონატის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის პირველი ათეულის მოთამაშე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი.

მასთან ერთად უნდა მეთამაშა შერეულ წყვილთა თანრიგში. ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდნენ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები, ვაჟი ჩოგბურთელი (გვარი არ მახსოვს - ავტ.) და საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, ლამარა მგალობლიშვილი, რომელიც მოგვიანებით ქუვეიტში ჩოგბურთის მწვრთნელად მუშაობდა. მას ქომაგობდა თავისივე მწვრთნელი მარლენ ქობალია. ვაჟი მოქმედი ჩოგბურთელი იყო. ერთეულებში ერთმანეთს შევხდით და ორივე სეტი წავაგე. ნინომ ლამარა მგალობლიშვილი ორივე სეტში დაამარცხა. ჩემპი-ონი, შერეულ წყვილთა თამაშს უნდა გამოევლინა. სულ ეს იყო უნივერ-სიტეტის ჩემპიონატი. ნინო თუხარელის გვერდით თამაში საამაყო იყო. ცოტა გავთამამდი, თამაშიც გამომივიდა. ბადესთან გასვლებით და ჰაერში ბურთების ჩაჭრით, ქულებიც ავიღე, რაც შეჯიბრების ორგანიზატორებს მარლენ ქობალიას და გივი ჩახუნაშვილს არ გამოპარვიათ. ზიგფრიდ გვეტაძის ტაშიც დავიმსახურე. ორივე სეტი მოვიგეთ, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის გუნდი საერთო ანგარიშით 2:1 დავამარცხეთ. ეკონომიური ფაკულტეტის გუნდს სიგელი გადმოგვეცა, რაც იმას ადასტურებდა,რომ უნივერსიტეტის საჩოგბურთო ჩემპიონატში პირველი ადგილი დავიკავეთ. ამასთან ნინო თუხარელის სპორტული ღირსების ხაზგასასმელად, შერეულ

წყვილთა თანრიგში გამარჯვებულებს, თითოეულს, სამახსოვრო თასიც გვერგო.

სამახსოვრო თასი **ნინო თუხარელი, 1967 წ.ოქტომბერი**

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: იმ დროს მოქმედი უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და როცა, მე და თუხარელი ეკონომიური ფაკულტეტის სახელით ჟურნალისტიკის ფაკულტეტს ჩოგბურთში ვეჯიბრებოდით, ალექსანდრე მეტრეველი 1966 წელს, უკვე, სკანდინავიის ქვეყნების ჩემპიონი იყო და 1967 წლის ოქტომბერში არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის ინტერესებს იცავდა. საბჭოთა ქვეყნის ათ საუკეთესო ჩოგბურთელთა სიის პირველი ნომერი იყო.

როგორც ვხედავთ, ფაქტია, ქართველ ჩოგბურთელთა მარაქაში სტუდენტობიდანვე გავერიე. იმ მატჩის შემდეგ „დინამოს“ ჩოგბურთის წამყვანი მწვრთნელები მარლენ ქობალია და გივი ჩახუნაშვილი ჩემი, როგორც ჩოგბურთელის, პერსპექტივის შესახებ ერთმანეთში საუბრობდნენ, რაც იქვე მდგომს მესმოდა. ორივემ ერთი დასკვნა გამოიტანა: კარგი რეაქცია აქვს, მაგრამ მისგან ჩოგბურთელი არ გამოვა.

რაც შეეხება ჩოგბურთის პერსპექტივასთან დაკავშირებით ჩემს გადაწ-ყვეტილებას, იგი უკვე, ბათუმში მქონდა მიღებული.



მარლენ ქობალია **გივი ჩახუნაშვილი**

ჩოგბურთისა და მადათოვის კუნძულის შესახებ თხრობას, მხოლოდ, ორი ფურცლით გადავუხვევ, რის გამოც მკითხველმა მაპატიოს. ვფიქრობ, ამ მცირე ეპიზოდის მოტანა,საჭიროდ იმად მივიჩნიე,რომ ეს ის წლები იყო, როცა ჩოგბურთიდან შორს ვიყავი.

პირველ კურსზე, თითქმის ერთი წლით ადრე, ვიდრე თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე სათამაშოდ გამოვცხადდებოდი, მე და ჩემმა ბავშობის მეგობარმა ედნარ (კუსა) ხვიჩიამ, სტუდენტური ცხოვრება ტექნიკურ სპორტს ავტორბოლას დავუკავშირეთ, რაც იმით დავიწყეთ, რომ 1966 წლის ოქტომბრის დღეებში, საქართველოს „დოსააფში“ ახლად მიღე-ბულ გაზ-21 – „ვოლგებს“ ე.წ. „აბკატკის“ მიზნით, საქართველოს გზებზე არაუმეტეს 60 კმ/სთ-ში სიჩქარით დავატარებდით. „დოსააფის“ ავტოსპორ-ტის სექციის ხელმძღვანელობით მონაწილეობას ვიღებდით 1967 წლის გაზაფხულზე და 1968 წლის ზაფხულში საქართველოში ჩასატარებელი ავტორალის მარშრუტების - „ლეგენდების“ შედგენაში. 1969 წლის აპრილის ბოლოს საბჭოთა კავშირის „დოსააფის“ ავტოსპორტის ცენტრალურ ბაზაში, მოსკოვის ოლქის ქალაქ ვიდნოეში, თბილისიდან ავტომობილი გაზ-21-ით გავემგზავრეთ. იქ მივლინებული იყო 1968 წელს რიგაში ჩატარებული „იანტარის წრიულ რბოლებში“ გამარჯვებული, საქართველოს ავტორალის

გუნდის ლიდერი გურამ თვაური, რომლის დამხმარეებად ჩვენც მიგვავ-ლინეს. ორი წლის განმავლობაში შეძენილი გამოცდილებით, 1969 წლის სექტემბერში, ესტონეთში ჩატარებული ავტორალი-„ესტონია-69“-ის მო-ნაწილენი გავხდით.

სტარტამდე ორი დღეა

რალში მონაწილეთა
სამკერდე ნიშანი

საქართველოს გუნდი, რომლის ხუთი ეკიპაჟი,ჩვენი გამოკლებით, თბილისელი ტაქსის მძღოლებით დაკომლექტდა, ჩვენს მიერ ავტორალისთვის მომზადებული ოთხი „ვოლგა“-გაზ-21-ით და ერთი „მოსკვიჩ-412“-ით გამოვდიოდით. თბილისიდან ტალინში ჩავედით ექვსი ავტომობილით, ხუთი ეკიპაჟი და ტექნიკური დახმარება, მწყობრი სვლით ვიარეთ, ქალაქების გავლით: ორჯონიკიძე, ნალჩიკი, როსტოვი, ვორონეჟი, მოსკოვი, ლენინგრადი, ნარვა. ჩემი მეგობარი ედნარი, გოგი გოგინაშვილთან N107 სპორტული ავტომობილის ეკიპაჟში, მე კი დავით-დუდუ ღლონტთან ერთად, ავტომობილი N110-ის ეკიპაჟის შტურმანები ვიყავით. ესტონეთის ავტორალში ქართული ეკიპაჟები ფინიშამდე ვერ მივედით. მე შტურმანობა არ მომიწია. ავტორალის 500 კილომეტრიანი პირველი წრე სტარტზე სპეცჩქაროსნულ მონაკვეთს ითვალისწინებდა, რომელიც, ტალინთან ახლოს მდებარე „პირიტა-კოზეს“ 6 კილომეტრიანი ტრასა იყო. იგი ლიმიტირებულ დროში უნდა გაგვევლო, მაგრამ რაც უფრო მოკლე დროს ვაჩვენებდით, დადებით ბონუსს ქულებს მივიღებდით. ტრასის ერთ-ერთ მოსახვევში ავტომობილის წინა საქარე მინა წვრილ კრისტალებად დაიბზარა და მხედველობა შეიზღუდა. დუდუმ სიჩქარე მკვეთრად შეამცირა, მხედველობის აღსადგენად, „მონტიროვკით“, რომელიც, რატომღაც, მარცხენა ხელში ეჭირა, კრისტალებად ქცეული საქარე მინა ბუდიდან ამოაგდო. სპეცჩქაროსნული მონაკვეთის ფინიშის ხაზზე ისეთი დრო დაფიქსირდა, რაც ჩვენი ეკიპაჟის რბოლიდან მოხსნას ადასტურებდა. თითქმის, სტარტიდანვე გამოვეთიშეთ რბოლას, ისე, რომ „ლეგენდის“ კითხვაც არ მქონდა დაწყებული. დუდუ ღლონტი სიხარულს ვერ მალავდა, სამი დღე და ღამე, ხანმოკლე შესვენებებით, 1500 კილომეტრიანი ავტორალის მარშრუტი, უკვე არ იყო გასავლელი. დუდუმ, როგორც მრბოლელმა, ავტორალში მონაწილეობა მიიღო და „პრიზიც“ - ახალი ტაქსი, „ვოლგა“ გაზ-21, თბილისში ელოდა. საქართველოს ავტოსპორტის ფედარაციის იმდროინდელი თავჯდომარე - თეიმურაზ დავითაშვილი, რომელმაც საბჭოთა საქართველოს ავტოტრანსპორტის მინისტრად 36 წელი იმუ-

თეიმურაზ დავითაშვილი

შავა, ტაქსის მძღოლებს, რომლებიც საქართველოს ავტომრბოლელთა ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ, ასეთ სტიმულს აძლევდა.

ავტორბოლიდან მოხსნა ძლიერ განვიცადე. იმედგაცრუებულმა, დუდუ ღლონტს უხეშად მივახალე, რომ საქარე მინის დამსხვრევა დაგეგმილი ჰქონდა, რაც გააკეთა მინაზე წამიერდ ე.წ. „მონტიროვკის“ მირტყმით. მინაზე რკინის მირტყმა ვერ შევამჩნიე, რადგან ყურადღება გადატანილი მქონდა ჩქაროსნული ტარასის სავალ ნაწილზე. ჩემს რეაქციაზე, დუდუმ, სიცილით მიპასუხა:- აბა ავტორალს თავს ხომ არ შევაკლავთ. შემდეგ დამიყვავა, დამპირდა, რომ ავტორალში უშედეგო მონაწილეობისთვის ისეთ კომპენსაციას გაიღებდა, რაც არ დამავიწყდებოდა. იგი, სიტყვის კაცად დარჩა.

ესტონეთის რალში გამარჯვებულების დაჯილდოება, ტალინის რატუშის მოედანზე გაიმართა, სადაც ყველა მონაწილე სპორტული მანქანებით მოვეწყვეთ. ავტორალი - „ესტონია-69“-ის გამარჯვებული გახდა ვიქტორ შჩაველევისა და ედუარდ ლივშიცის ეკიპაჟი.[1] ცნობისათვის, ეს ეკიპაჟი 1968 წელს მონაწილეობდა მარათონულ რალში „ლონდონ-სიდნეი“, „მოსკვიჩ-412“-ით და 120 ეკიპაჟიდან ფინიშზე 27-ე მივიდა. ეს ეკიპაჟი - 1970 წელსაც მონაწილეობდა ავტორალში „ლონ დონ-მეხიკო“, მაგრამ უშედეგოდ. ეკიპაჟი, დაგვიანებისთვის შეჯიბრებიდან მოხსნეს. თურმე, ჩემპიონებსაც ჰქონიათ უშედეგო ავტორალი.

ტალინში ჩვენს N110 ავტომანქანას ახალი საქარე მინა ჩავუდგით და თბილისისკენ გამოვემგზავრეთ. ყველა ეკიპაჟს უფლება მოგვცეს, თბილისში დავბრუნებულიყავით ჩვენს მიერ არჩეული მარშრუტით. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი და მთავარი მწვრთნელი თვითმფრინავით გადმოფრინდნენ. დუდუ ღლონტმა, რომელიც საბჭოთა არმიიდან კაპიტნის ჩინით დაითხოვეს და ბოლო რვა წელი თბილისის N3 ტაქსოპარკში მძღოლად მუშაობდა, გადაწყვიტა - თბილისში იმ ქალაქების გავლით დავბრუნებულიყავით, რომლებშიც იგი მსახურობდა. იქ, ძველი ნაცნობ-მეგობრები ეგულებოდა. ტალინიდან თბილისში დუდუ ღლონტის არჩეული მარშრუტით დავბრუნდით. 1969 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში 14 დღიანი მოგზაურობა, რომლის დროსაც ექვსი

[1] http://www.ussr-autosport.ru/drivers/schavelev.html ; Виктор Алексеевич Щавелев, Ралли Лондон —Сидней.Материал из Википедии -свободной энциклопедии.

ათასი კილომეტრი გავიარეთ, იყო ჩემი, როგორც „ავტომრბოლელის“, ყველაზე დიდი შედეგი. იმ შთაბეჭდილებების გახსენება, დღესაც მახალისებს.

5585 კმ. გავლილია,ფოტოს გადაღებამდე ტალახი,
რომელიც ნომერს ფარავდა, ჩამოვრეცხეთ

დარიალის ხეობაში

კლუბ „დინამოს“ მოყვარული ჩოგბურთელები

თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე გამართულ შეჯიბრებებს 1968 წლიდან როგორც მაყურებელი ვესწრებოდი. 1971 წლის 23 სექტემბერს სამსახური დავიწყე, პარალელურად უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩავირიცხე. 1973 წლიდან, უკვე დაოჯახებული, საცხოვრებლად გადავედი „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების სიახლოვეს. კორტებს, როგორც სარეკრიაციო ზონას, ხშირად ვსტუმრობდი შვილებისა და მეუღლესთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი შვილები იქ წამოიზარდნენ და ჩოგბურთიც იქ შეიყვარეს.

საბჭოთა ეპოქაში 28 წლამდე მოქმედი სპორტსმენი თუ კომპარტიის წევრი არ იყო, კომკავშირის რიგებში ირიცხებოდა. საქართველოს ნაკრებ გუნდებს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ანუ „კომსორგი“ ჰყავდა. საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის „კომსორგი“ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი თეიმურაზ გედევანიშვილი იყო, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა. თეიმურაზი სისტემატურად თამაშობდა ჩოგბურთს. მან 1973 წელს კორტზე მიიწვია მისი ბავშობის მეგობრები და კოლეგებიც, რომელთა შორის იყვნენ გურამ გალოგრე და ავთანდილ კეთილაძე. ავთანდილი ჩემი სტუდენტობის მეგობარი იყო. სულ იმას მსაყვეურობდა, რომ ჩოგბურთს არ ვთამაშობდი. მეც გადავწყვიტე ტონუსის შესანარჩუნებლად მეთამაშა. 1973 წლიდან 1989 წლამდე, თითქმის ყოველ მზიან დილით, სამსახურში გამოცხადებამდე დინამოს კორტზე ვიდექი, შემდეგ წლებში კვირაში სამი დღე. ჩემი ჩოგბურთის „ბექრაუნდი“ იმ წრეში, ვისთან ერთადაც ვთამაშობდი, მცირე უპირატესობას მანიჭებდა.

ნებით თუ უნებლიედ, გავიცანი ცნობილი მოქმედი ჩოგბურთელები, რომლებიც წლების განმავლობაში წარმატებებს აღწევდნენ. იმ პერიოდში ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია გამოირჩეოდნენ. 1970-იან წლებში, მათი გამოჩენა „დინამოს“ კორტებზე ჩვენთვის დღესასწაული იყო. როცა მათ გვერდით ვიდექით, უნებურად, სიამაყე გვეუფლებოდა.

ალექსანდრე მეტრეველი
1976 წელი



თეიმურაზ კაკულია
1977 წელი

არ შეიძლება არ გავიხსენო ალექსანდრე მეტრეველის მიერ 1974 წელს აშშ-ში მიღებული პრიზი - ავტომანქანა „ფორდ მუსტანგი“. 1976- 1977 წლებში თბილისში ყოფნისას კორტებზე ცისფერი კაბრიოლეტით შემოიქროლებდა. 1977 წლის სექტემბერში წილად მხვდა პატივი, იმ „ფორდ მუსტანგით“ ალექსანდრე მეტრეველთან ერთად აფხაზეთში ბზიფის ხეობა მომევლო, შემდეგ ბიჭვინთის დახურულ სანაპირო ზონაში ალექსანდრემ პანსიონატ „მაიაკთან“ მიმიყვანა. იმ მომენტში, 14 სართულიანი შენობის დამსვენებლთა ყურადღება ჩვენსკენ იყო ფოკუსირებული, რის გამოც მეტად ბედნიერი ვიყავი, ალექსანდრე ასეთ ყურადღებას მიჩვეული იყო. ეს ეიფორია დასვენების დარჩენილ დღეებშიც შემრჩა.

ალექსანდრე მეტრეველი, თუ თბილისში იყო, კორტებზე ოჯახთან ერთად მოდიოდა. როცა მოიცლიდა, ჩვენს თამაშს აკვირდებოდა. მეხსიერებაში ჩამრჩა მისი სიტყვები:**„არც ერთ თქგვენგანს არ ადარდებს ქულის აღება ან დაკარგვა, ასეთი ჩოგბურთი არა მარტო სხეულის გაჯანსაღებაა, არამედ სულიერი ხალისიც არის“**. სწორედ ასე იყო. კორტზე მიღებული ფიზიკური წრთობა და სულიერი განწყობა ბედნიერებას გვანიჭებდა. ასეთ სახალისო ჩოგბურთს ვთამაშობდით იმ საზოგადოების წევრები, რომლებსაც გვერქვა „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების კლუბის წევრები. თავდაპირველად, იმ ადგილს კლუბი ფორმალურად ვუწოდეთ, შემდეგ,

სამართლებრივად შევქმენით და მისი სრულფასოვანი წევრები გავხდით. ასეთ ურთიერთობებში გადიოდა წლები.

ალექსანდრე მეტრეველი და პატარა აკა

ნანა ვარდოსანიძე-მეტრეველი

ბატონი ვლადიმერ გოგლიძე თავის პუბლიკაციებში საქართველოს სამოყვარულო ჩოგბურთელების შესახებ აღნიშნავს, რომ ჩოგბურთი საქართველოში სპორტის პოპულარულ სახეობად გადაიქცა და სხვადასხვა წლებში სხვადასხვა სპეციალობის ადამიანებმა ჩოგბურთის მოედანზე თავისი ძალები მოსინჯეს. მისი ინფორმაციით, ჩოგბურთს თამაშობდნენ ცნობილი მხატვრები, მუსიკოსები, კინორეჟისორები, მეცნიერები, არქიტექტორები, მსახიობები, მწერლები და სპორტსმენები. ასახელებს და აღნიშნავს: **„მათი ყოფნა ხელს უწყობდა არაჩვეულებრივად თბილი ატმოსფეროს შექმნას, რაც, თავისთავად, დადებით გავლენას ახდენდა ჩოგბურთში ტალანტების აღზრდაზე.“**[1]

[1] ვლადიმერ გოგლიძე- „ჩოგბურთი ისტორია“

ჩვენ მრავალჯერ შევსწრებივართ ქართული საზოგადოების ცნობილი პირების საჩოგბურთო „ბატალიებს“, ბევრ მათგანთან ჩვენ, გვითამაშია. ბატონი ვლადიმერის ჩამონათვალიდან ჩვენი კლუბის წევრები იყვნენ: გიგლა ფირცხალავა, გოგი მესხიშვილი, ლანა ღოღობერიძე, ვაჟა ლეკიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, თამაზ გამყრელიძე, გიორგი ჯაბუა, გეიდარ ფალავანდიშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, გივი სიხარულიძე, ვიქტორ სანეევი, სლავა მეტრეველი, თამაზ ანთაძე.

ვფიქრობ, ვლადიმერ გოგლიძე შეგნებულად მოერდა ან საჭიროდ არ ჩათვალა მოყვარულ ჩოგბურთელთა ჩამონათვალში დაესახელებინა, საქართველოს მთავრობის ზოგიერთი იმ დროს მოქმედი წევრი. მე თავს უფლებას მივცემ გავიხსენო ყველა, ვისთანაც ჩოგბურთის თამაშით მქონდა პატივი, უშუალო ურთიერთობა მქონოდა და მათთან ერთად გამეტარებინა ის წლები.

1973 წლიდან 1991 წლის ჩათვლით, სხვადასხვა დროს, ჩოგბურთს თამაშობდა საბჭოთა საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრი, სამინისტროებისა და ქალაქის ხელმძღვანელობის, ცალკეული, მაღალი თანამდებობის პირები. ორგანოების თანამშრომლები, განსაკუთრებით ისეთები რომელთაც სამსახურის განაწესი ავალდებულებდათ სისტემატურ ფიზიკურ მომზადებას და ამისთვის ჩოგბურთი ჰქონდათ არჩეული. სწორედ ამ საზოგადოებიდან შეივსო ჩოგბურთის მოყვარულთა კლუბი. თავდაპირველად სურვილი გამოითქვა ფორმალურ საკლუბო ურთიერთობაზე. რაში გამოიხატებოდა საკლუბო ცხოვრება? იმ დროს „სოციალისტური საკუთრების“ მართვაში რომ რაიმე სახით კორექტივი შეგვეტანა, ვიცოდით, ასეთი ქმედება დასჯადი იქნებოდა. შესაბამისად, საკლუბო ურთიერთობა, მხოლოდ, მოყვარული ჩოგბურთელების უშუალო ურთიერთობად აღიქმებოდა. უფროს თაობასთან, განსაკუთრებით თანამდებობის პირებთან, ახლგაზრდების ურთიერთობა მიღებულ ეტიკეტის ზღვარს არ სცილდებოდა, რაც ტრადიციულ პატივისცემაში გამოიხატებოდა. სამსახურებრივ საკითხებზე საუბარი კლუბში მიუღებელი, თითქოს ტაბუდადებული იყო. ჩოგბურთის შესახებ და სხვა აქტუალურ თემებზე საუბარი ხშირად გვქონია. ასეთი საუბარები საინტერესოდ მიმდინარეობდა და უშუალო ურთიერთობას გამოხატავდა. გარკვეული წლების შემდეგ, კლუბში კეთილგანწყობილებამ ურთიერთობები განამტკიცა.

კლუბის წევრები თამაზ ყაველაშვილი და
რიჩარდ ჯაში. 1977 წლის ივლისი

დიდი სიამოვნებაა ჩოგბურთი 30 წლის ასაკის შემდეგ. ამის შეგრძნება, სწორედ, კლუბში შეიძლებოდა. იქ დაინახავდით თუ როგორი ახალგაზრდული შემართებით პაექრობდნენ, არამარტო 40 წლის, არამედ 50-60 და 70 წლის ჩოგბურთის მოყვარულები. ადამიანი ფიქრობს, ბავშობა და სიჭაბუკე მალე გადის. თურმე ასე არ ყოფილა, რადგან „დინამოს“ კლუბში 60 წლის ადამიანებში დამინახავს გამოყოლილი ბავშობა და სიჭაბუკე. ჭარმაგ ასაკში ჩოგბურთის აზარტით თამაში სულს ისეთ თავისუფლებას ანიჭებს, როგორც მხოლოდ ბავშობაში და სიჭაბუკეში აღიქმებოდა. შესაბამისად, ასეთი სულიერი მდგომარეობა, სიჭაბუკეში გვაბრუნებდა. როგორი ბავშვური უშუალობით განვიცდიდით მარცხს. ყოველ წარმატებას, ჭაბუკური სულისკვეთებითა და ემოციებით გამოვხატავდით. სული როცა ახალგაზრდულია, ასაკი არაფრად მიგვაჩნიდა. სულის სიმტკიცე კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა სხვა დასხვა პროფესიის ადამიანები - მეცნიერები, ექიმები, ეკონომისტები, ინჟინრები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები თუ მოქმედი თანამდებობის პირები ერთი ინტერესით გავერთიანდით და კლუბში ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო შეიქმნა.

შესვენება: მამია მეგრელიშვილი, თამაზ ჯანელიძე, გიგლა ფირცხალავა, თეიმურაზ დავითაშვილი

კორტზე უფრო მეტად „წყვილებში“ ვთამაშობდით. ერთეულთა შორის თამაშობდნენ ერთმანეთში სპორტული ჟინით აღტკინებული მოწინააღმდეგეები. მათი თამაში მუდამ აზარტით მიმდინარეობდა. თამაშის ცქერა ერთი ხალისი იყო. ყოველ მოგებულ, ან წაგებულ ქულას უკომენტაროდ არ ტოვებდნენ. უფროსი თაობის მოთამაშეები, კარგ ამინდში, ერთი სეტის შემდეგ ისვენებდნენ და მაყურებელთა ტრიბუნაზე გადაინაცვლებდნენ, ზოგიერთი მსაჯის კოშკურაზე ჩამოჯდებოდა და მსაჯობდა. ასეთ დასვენებას მიმართავდა გიორგი ჯაბუა. ამასთან მისი ვერდიქტი მისაღები იყო.

უფრო ხშირად მსაჯის გარეშე ვთამაშობდით. შესაბამისად, ერთმანეთში კამათობდნენ, დაობდნენ: ბურთი მოედანზე დავარდა, თუ ხაზს გარეთ. ამის მტკიცება კამათით მიმდინარეობდა. გიორგი ჯაბუას გარდა გამორჩეული მედიატორი იყო აგული სოხაძე. დიდი იუმორის მფლობელი, ის დავებს იუმორით „აგვარებდა“. ძველ კომუნისტებს ხუმრობით, ასეთი სიტყვებით მიმართავდა: „ბატონებო! მე უნდა შეგახსენოთ, რომ ჩოგბურთი არისტოკრატთა თამაშია“ - ამის შემდეგ თამაში მშვიდად გრძელდებოდა.

სადაო ბურთი-გიორგი ჯაბუა, ოთარ ქავთარაძე, მამია მეგრელიშვილი

ძალთა დასაბალანსებლად, ახალგაზრდები, უფროსი ასაკის ჩოგბურთელებთან ვთამაშობდით წყვილში. თუმცა, უფროს თაობაში იყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული წყვილებიც. წაგებას ვერ ეგუებოდნენ და ამ მიზეზით,ზოგჯერ, ანგარიშს ხმამაღლა აცხადებდნენ არასწორად, თავიანთ სასარგებლოდ, „შეცდომას“ თუ არ მოყვებოდა პროტესტი, ასეთად დარჩებოდა. თუ გააპროტესტებდნენ, „შეცდომა“ გამოსწორდებოდა. ამ საკითში, უფროსი თაობის მინისტრები, გამორჩეულად „პრინციპულები“ იყვნენ.

საქართველოს ავტოტრანსპორტის მინისტრი თეიმურაზ დავითაშვილი კორტებზე, დილით ყველაზე ადრე მოდიოდა. იგი პარტნიორების მოსვლამდე მოედანს ამზადდებდა, ხაზებს ასუფთავებდა. შემოდგომაზე, კორტებზე თეთრი ხაზები წვიმების გამო მკრთალდებოდა და საჭირო იყო თამაშის წინ მათი გადახაზვა - ცარცით სავსე ურიკის გადატარება. კლუბის წევრებს დაგვამახსოვრდა მრავალი წლის წინ მომხდარი სახალისო ფაქტი: ერთხელ, დილით ადრე მოსულმა თეიმურაზ დავითაშვილმა, იცოდა რა, რომ გეიმებს შორის მოედნის შეცვლა ტრადიციულად არ ხდებოდა, წინასწარ აირჩია მხარე, საიდანაც თავის მეწყვილესთან - გენერალ ნოდარ მაისურაძესთან ერთად - ითამაშებდა. მოედნის არჩეულ მხარეს, უკანა კიდის ხაზი ისე გაავლო, რომ მოედანი ერთი მეტრით მოკლე გამოვიდა. მოწინააღმდეგე წყვილი ოთარ ქავთარაძე და მამია მეგრელიშვილი იყო,

რომლებმაც მოსვლისთანავე დავითაშვილს დახაზული მოედანი მოუწონეს და თამაში დაიწყეს. დამოკლებული მოედნის შესახებ დავითაშვილმა თავის მეწყვილესაც არ გაუმხილა. ოთარ ქავთარაძის და მამია მეგრელიშვილის დარტყმული ბურთების, უმეტესობა „აუტში“ აღმოჩნდა, რის გამოც ქავთარაძე და მეგრელიშვილი გაკვირვებას გამოხატავდნენ - ამდენი აუტი არ გვახსოვს, რომ ოდესმე, გვქონოდაო.

დავითაშვილი იმ დილით კორტებიდან კარგ ხასიათზე წავიდა. ასე გაგრძელდა მათი მეხვედრები, სანამ, მოედანს დავითაშვილის გავლებული ხაზები აჩნდა. ქავთარაძე და მეგრელიშვილი იმ დღეებში წაგებული ტოვებდნენ კორტს. მაგრამ, მალე გამოაშკარავდა თეიმურაზ დავითაშვილის ოინი, რაზედაც კარგად იხალისეს და ამაზე ხშირად ყვებოდნენ. რამდენიმე ათეული წელი გავიდა, მაგრამ თეიმურზ დავითაშვილის ხუმრობა დღესაც ღიმილის მომგვრელია.

კორტებზე 1973-1987 წლების ურთიერთობა გამოიხატებოდა ჩოგბურთის უკომპრომისო თამაშში, რომლის მსვლელობისას მოთამაშის თანამდებობრივი სტატუსი არ აღიქმებოდა. კლუბის გარკვეული წრის ურთიერთობა კორტებს გასცდა. თუ იგი ინგლისელი ჯენტლმენების ურთიერთობაში და ჩვევებში ვერ გამოიხატა, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ტრადიციულ ქართულ სტუმარ-მასპინძლეობაში, ნამდვილად გადაიზარდა. კორტები იყო სხეულისა და სულის საწვრთვნელი ადგილი, რომელმაც ჯანსაღი ცხოვრება გვაჩუქა.

გავიხსენებ კიდევ ერთ სახალისო ფაქტს, როდესაც ერთეულთა თანრიგში ერთმანეთთან სპორტული ჟინით აღტკინებული მოწინააღმდეგეები თამაშობდნენ. მიხეილ ესაკიასა და რეზო აიწურაძის საჩოგბურთო „დუელი“ ცნობილი იყო. მიხეილი ესაკია ხშირად იწვევდა საპაექროდ რეზო აიწურაძეს, რომელთანაც მას მოგება-წაგების ბალანსი მეტად არასახარბიელო ჰქონდა. არც იყო გასაკვირი: რეზო ძველი სპორტსმენი და ასაკით მასზე ექვსი წლით უმცროსი იყო. კლუბის წევრები მათი თამაშის შედეგით არც კი ვინტერესდებოდით, დარწმუნებულნი მიხეილის მორიგ დამარცხებაში. როგორ ჩანს, ერთხელაც, მიხეილმა რეზო დაამარცხა. კლუბში დაუწერელი წესი იყო: თამაშის შედეგს დამარცხებული გასახდელში ახმოვანებდა. „სენსაციად“ ვთლიდით ძლიერი ჩოგბურთელის მასზე სუსტთან დამარცხებას და ძალზე ვხალისობდით, როცა დამარცხებული ამას ხმამაღ-

ლა აცხადებდა, მოგებული კი, ღიმილიანი სახით, ჩუმად სიხარულს განიცდიდა და ასე ზეიმობდა გამარჯვებას. მართლაც, კლუბის წევრებს შორის თუ არ გამოხატე სიხარული შენი მუდმივი, ამასთან ძლიერი მეტოქის დამარცხების შესახებ, სხვაგან სად უნდა გამოგვეხატა? გაზეთში ხომ არ დავწერდით. დამარცხებულ რეზო აიწურაძეს თამაშის შედეგი გასახდელში არ გამოუცხადებია. დიდი აღტაცება არც მიხეილი ესაკიას გამოუხატავს. წლების შემდეგ გაცხადდა აღნიშნული. თურმე, რეზომ ისე განიცადა მიხეილთან დამარცხება, რომ მიხეილს სთხოვა, რომ ეს ფაქტი არავისთვის გაემხილა. მრავალი წელი ითმინა მიხეილმა და ერთხელ სუფრასთან მოყვა თუ როგორ დაამარცხა რეზო და როგორ ჩამოართვა რეზომ მას სიტყვა,მისი დამარცხების ფაქტის გაუთქმელობის შესახებ. ეს სუფრასთან „სერიოზული“ მსჯელობის საგანი გახდა, შემდეგი ფაქტობრივი გარემოების გამო: სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, რომ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო, პროცესში მონაწილეს ავალდებულებენ ინფორმაცია არ გაამჟღავნოს. როგორც ვხედავთ რეზომ მიხეილს მასთან მოგება, თითქმის, სისხლის სამართლის საქმედ ჩაუთვალა და გაუთქმელობის შესახებ სიტყვა ჩამოართვა. მან წლების განმავლობაში მიხეილ ესაკიას თმენის ვალდებულება დააკისრა. რითაც „დაარღვია“ „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. მიხეილ ესაკია რეზოსთან მოგების სიხარულის გამომჟღავნებას წლები ითმენდა. ამასთან ერთად დაირღვა კლუბის წევრების სამართლიანი ინტერესი-ცოდნოდათ მიხეილის მიერ რეზოს დამარცხების ფაქტი. ეს კი, ორივეს ჩაეთვალათ კლუბის საზოგადოებრივი ინტერესების დამაკნინებელ გარემოებად, რადგან კლუბის წევრებს წლების განმავლობაში მოაკლდათ უფლება ეხალისათ ფაქტზე, თუ როგორ დამარცხდა მიხეილ ესაკიასთან დაუმარცხებელი რეზო აიწურაძე.

„საქმე გაუთქმელობის შესახებ“ იმ ვახშამზე განვიხილედ. მაგიდასთან მსხდომი კლუბის წევრთა „ვერდიქტით“ რეზოსა და მიხეილს დაეკისრათ სათანადო მატერიალური კომპენსაცია, საზოგადო ინტერესის შელახვის გამო. ასეთი გადაწყვეტილებით, იმ სუფრასთან, ყველაზე მეტად რეზომ იხალისა, რადგან, კლუბის საზოგადო ინტერესი არამარტო მას - დამარცხებულს შეულახავს, არამედ გამარჯვებულ მიხეილ ესკიასაც. რეზოს უკვე არ ადარდებდა, რომ წლების წინ მიხეილ ესაკიასთან მისი დამარცხება, ცნობილი გახდა. არც დაკისრებული მატერიალური კომპენსაციის გადახ-

დის ვალდებულება აწუხებდა. ზნეობამ მაინც იზეიმა, რეზომ მიხეილს პატიება სთხოვა და სიმართლის გაუთქმელობის მოთხოვნის გამო აკიდებული ცოდვის შენდობისთვის „ინდულგენციაც“ იქვე შეიძინა - მატერიალური კომპენსაცია მარტომ იკისრა.

კლუბის წევრები ხშირად ვმასპინძლობდით თბილისის სხვა კორტების ჩოგბურთელებს. ჩვენც ვთამაშობდით ბათუმისა და თელავის კორტებზე. სსრკ-ს დროს, როდესაც თბილისში საკავშირო ან საერთაშორისო ტურნირები ტარდებოდა და თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთელები გამოდიოდნენ, კლუბის წევრები, მათ საქომაგოდ, შეჯიბრებებს ვესწრებოდით. 1976 წელს მეტრეველსა და კაკულიას ქომაგობა გავუწიეთ დონეცკის კორტებზე. 1977 წელს ჩატარდა აშშ-ს და სსრკ-ს ნაკრები გუნდების საჩვენებელი, ამხანაგური შეხვედრები ჩოგბურთში. თბილისში სპორტის სასახლეში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ, კლუბის ათიოდე წევრი მოსკოვში, ლუჟნიკების დახურულ დარბაზში, ვქომაგობდით მეტრეველსა და კაკულიას.

მოყვარულ ჩოგბურთელთა უფროს თაობასა და ჩემს მეგობრებთან ერთად, კორტებზე გატარებული ზაფხულის ერთი დღის შესახებ, 1977 წელს სამახსოვრო ფილმიც შევქმენით. ფილმის დემონსტრირება, შექმნიდან მერე დღესვე, კორტებზე მოეწყო. თითქმის ყველა მონაწილე ესწრებოდა. ფილმის შემქნელი ამ წიგნის ავტორი გახლდით,რომელიც იმ დროს 30 წლის იყო. წლების შემდეგ ფილმის ელექტრონული ფორმატი განთავსდა Google-ის ვიდეო საიტზე https://www. youtube. Com „თბილისის კორტები“ 1977წ.“/.

ფილმის შექმნიდან სამი წლის შემდეგ, 1980 წელს, ცნობილმა ქართველმა კარიკატურისტმა გიგლა ფირცხალავამ იმდროინდელი ჩოგბურთის მოყვარულების კლუბის წევრების, მეგობრული შარჟი დახატა. გიგლა ფირცხალავას მიზანი ხუმრობა და სასაცილო სიტუაციების გადმოცემა იყო. ბუნებრივია, ყველას ვერ დაგვხატავდა. ზოგიერთმა, რომელიც ნახატის ფორმატში არ იყო, გაკვირვება გამოხატა: „მე რომელი ვარო?“. გიგლა ფირცხალავამ გაკვირვებულებს, იუმორით, დაახლოებით, ასე უპასუხა: **„ხომ ხედავთ ზოგი მიდის კორტიდან, მოვასწარი და მათი ფეხები დავხატე, ზოგიც სულაც წავიდა, ამიტომ ვერც მათი ფეხები დავხატე. ზოგიც მოდის სათამაშოდ, მას ვერ დაველოდე, ხატვას ვამთავრებდი.“** ყველამ თავისი თავი იპოვნა.

გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი:
„ჩოგბურთელები“, 1980 წელი

ნახატზე წარმოდგენილია 1980 წელს საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრები და სხვა თანამდებობაზე მყოფი პირები. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ყველა პირი, ვისთანაც სამოყვარულო ჩოგბურთი გვითამაშია. გიგლა ფირცხალავას შარჟში გამოსახული კლუბის წარმომადგენლები მეხსიერებაში რომ შემოვინახოთ, ვფიქრობ, მოკრძალებული ცნობები წარმოვუდგინო მკითხველს, მათ შესახებ.

გიგლა ფირცხალავა

ლალი ზერეკიძე და გიგლა ფირცხალავა

ნახატზე მოედნის ბადის საყრდენზე მიდგმულ ჩოგანზე გიგლა ფირ-ცხალავამ დაგვიტოვა ავტოშარჟი და იქვეა ავტოგრაფიც. ფირცხალავა იყო ცნობილი გრაფიკოსი, მოქანდაკე და კარიკატურისტი. მუშაობდა სატი-

რულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“ და მოსკოვის ჟურნალ „კროკოდილში“, ასევე თბილისის სამხატვრო აკადემიაში. გადაღებულია ფილმებში: „ყვარყვარე“ და „პირველი მერცხალი“. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1976-1983 წლებში. გარდაიცვალა 61 წლის ასაკში, 1983 წელს.

ნოდარ მაისურაძე

გენერალ-მაიორი, აფხაზეთის ასსრ უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე. როდესაც სამოყვარულო ჩოგბურთს „დინამოს“ კორტებზე თამაშობდა 1970-1990 წლებში, იგი იყო საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.მან კორტებზეც და ცხოვრებაში გამორჩეული ქცევით,დაგვიტოვა მადლიანი ადამიანის სახე. გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, 1997 წელს.

თეიმურაზ დავითაშვილი

„დინამოს“ კორტების კლუბის დამფუძნებელი, ჩოგბურთს თამაშობდა 1954-1994 წლებში. 1952-1988 წლებში იყო საბჭოთა საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი და საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე. საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრი. კორტებზე მრავალი ოინის ინიციატორი. იგი ხალისიანი ურთიერთობით გამოირჩეოდა, როგორც კოლეგებთან, ისე ახალგაზრდების მიმართ. გარდიცვალა 90 წლის ასაკში.

რუსლან ქვარცხავა



რუსლან ქვარცხავა დინამოს კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა 1964-1986 წლებში. იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი და მეხუთე განყოფილებების უფროსი, უშიშროების პოლკოვნიკი. გარდაიცვალა 61 წლის ასაკში 1986 წელს.

რესან კონცელიძე

ბატონი რესან კონცელიძე-კლუბ „დინამოს“ კორტების დამფუძნებელი, სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1980-2009 წლებში. გამოირჩეოდა თამაშის ლამაზი ტექნიკით. 1974-1985 წლებში იყო საბჭოთა საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრი, მთავრობის წევრი, 1985-1989

წლებში საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯ-დომარის პირველი მოადგილე, ამასთან ერთად, 1986 წელს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. მისი ინიციატივით განახლდა „დინამოს“ ცენტრალური კორტების ტრიბუნები. სტადიონი მომზადდა 1987 წლის დევისის თასზე სსრკ-ს და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრის ჩასატარებლად. 1989-1991 წლებში იყო „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე და საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენა-ესი საბჭოს 1990-1991 წწ. დეპუტატი. 82 წლის ასაკში კორტზე არ გადის, მაგრამ აქტიურად მონაწილეობს ყოფილი ჩოგბურთის კლუბის წევრების შეხვედრებში. მის 80 წლის დიდ საიუბილეო საღამოზე „დინამოს“ კლუბის წევრებისთვის გამოყოფილ მაგიდაზე იდგა ტრაფარეტი: „დინამოს“ ჩოგ-ბურთის კლუბი.

გიორგი ჯაბუა

გიორგი ჯაბუა იყო საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯ-დომარის მოადგილე, საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრი, კომუნა-ლური მეურნეობისა და საბინაო-საქალაქო მშენებლობის მინისტრი, შემდ-გომ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლო ბის მინისტრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის

თავმჯდომარის პირველი მოადგილე. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1970-1988 წლებში. გარდაიცვალა 83 წლის ასაკში.

ოთარ ქავთარაძე



1958-1966 წლებში იყო საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი. საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრი, შინაგანი სამსახურის III რანგის გენერალი. 1967-1988 წლებში - საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე. 1988-1990 წლებში დაინიშნა „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის დირექტორად, საზოგადოებრივ საწყისებზე ჩოგბურთის კლუბ „რაშის“ პრეზიდენტად. საინტერესო და სახიფათო თავგადასავლებში გამოვლილი, მისი ნაამბობი კლუბის წევრებს ხშირად მოგვისმენია. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1960-1991 წლებში, გარდაიცვალა 1992 წელს 71 წლის ასაკში ავტოავარიის შედეგად.

მამია მეგრელიშვილი

1966-1986 წლებში იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი, საქართველოს ვაჭრობის მინისტრი, საქართველოს სახელმწიფო ფასების კომიტეტის თავმჯდომარე. საბჭოთა საქართველოს მთავრობის წევრი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1960-1991 წლებში.

მრავალი ახალგაზრდის ამაგდარი მამია მეგრელიშვილი გარდაიცვალა 1992 წელს 70 წლის ასაკში.

ავთანდილ კეთილაძე





ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1973-1994 წლებში, თბილისის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს „ცეკავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე.

ავთანდილ კეთილაძე იყო ბევრი კეთილი საქმის ინიციატორი, მეგობრებისა და კლუბის წევრების თანამდგომი. სამწუხაროდ, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 1995 წელს 53 წლის ასაკში.

თამაზ ჯანელიძე



თამაზ ჯანელიძე - ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1970-1989 წლებში, 1960-1972 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი, 1973 წელს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, 1974 წლიდან სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი. გარდაიცვალა 2015 წელს 89 წლის ასაკში.

კიტა შავიშვილი



ახალგაზრდობიდანვე იყო კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოებზე ოზურგეთში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. 1973 წლიდან 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს „ცეკავშირის“ გამგეობას; 1989 წლიდან იყო საგარეო ეკონომიკური კომპანია "აგროიმპექსის" გენერალური დირექტორი. ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1975-1990 წლებში. გარდაიცვალა 2013 წელს 90 წლის ასაკში.

გიგლა ფირცხლავამ მეგობურლი შარჟები შექმნა 1980 წელს. ფირცხლავა და მისი პერსონაჟები 1970-იან წლებში იყვნენ „დინამოს“ კორტების აქტიური მოყვარული ჩოგბურთელები. იმ პერიოდში, მათთან ერთად ჩოგბურთს თამაშობდნენ და შემდეგ, თითქმის ორი ათეული წელი გააგრძელეს ქართული საზოგადოებისთვის ცნობილმა პირებმა, რომელთა შესახებ მკითხველს მოკლე ცნობებს მივაწოდებ მათ შესახებ ელექტრონულ სივრცეში გასაჯაროებული ინფორმაციების მიხედვით. ესენი ბრძანდებიან:

ქალბატონი **ლანა ღოღობერიძე,** დიპლომატი, მთარგმნელი, რეჟისორი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი; 1982 წლიდან კინოსტუდია "დროს" სამხატვრო ხელმძღვანელი; მისი ფილმებია: „გელათი“, „თბილისი 1500 წელი“, „ერთი ცის ქვეშ“, „მე ვხედავ მზეს“, „როცა აყვავდა ნუში“ „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დღეს ღამე უთენებია“, „ორომტრიალი“. მინიჭებული აქვს ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“, 1999-2004 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ევროსაბჭოში, 2004 წელს დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1965 წლიდან 2009 წლამდე. ის თუ თბილისში იყო, მუდამ ერთი საათით მაინც, კორტზე იდგა.

ვიქტორია მჟავანაძე, ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის უფროსი ქალიშვილი იყო, რომელიც 1980-იან წლებში სისტემატურად თამაშობდა ჩოგბურთს. ვიქტორიას კორტებზე შემოკლებით - ვიტათი მივმართავდით, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა, როგორც კარგად მოთამაშე ჩოგბურთელმა და მოკრძალებულმა ქალბატონმა.

ვიქტორ თელია - 1970-1980 წლების "დინამოს" კლუბის აქტიური წევრი. ყოფილი ფრენბურთელი, 1950-იანი წლების საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, 1978 წლიდან 1984 წლამდე იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს" თავმჯდომარის პირველი მოადგილე. აქტიურად მონა წილეობდა 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის საზოგადოება „დინამოს" სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციულ საკითხებში. 1981 წელს დიუსელდორფში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში სათამაშოდ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მომზადებაში უშულოდ მონაწილეობდა. უფროსი თაობის კლუბის წევრთა მეგობარი ჩოგბურთს არ თამაშობდა, მაგრამ 20 წლის განმავლობაში კორტების კლუბის მუდმივი წევრი, მოყვარულ ჩოგბურთელთა დიდი ქომაგი იყო. 1995 წელს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბატონი **ნოდარ მეიმარიაშვილი** - დღეს 90 წლის არის. 1973-1981 წწ. მუშაობდა მშენებლობის მინისტრად, იყო საქართველოს სსრ ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. 1979 წელს იყო ესპანეთთან დევისის თასის გათამაშების მონაწილე, საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ნაკრების გუნდის

უფროსი. 1981-1982 წწ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე, მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული „დინამოს“ დახურული კორტების მშენებლობა, თელავში ჩოგბურთის ახალი ბაზის შექმნა. 1985 წელს მოსკოვში დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად. 1991 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 1991-1994 წწ. მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრის მოადგილედ, 1994 წლიდან - ქ. მოსკოვის მთავრობაში, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რეგიონის განვითარების მინისტრის მო

ადგილეა, 1999 წელს რუსეთის სახალხო-სამხატვრო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, 2003 წლიდან 2012 წლამდე ფონდის გენერალური დირექტორი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1970-1990 წლებში.

ბატონი **გურამ აბაშიძე** - მოყვარული ჩოგბურთელი, როგორც მისი სამეგობრო, გურამს ჩვენც აპოლონს ვეძახდით. დღეს 86 წლისაა. იყო თბილისის საქალაქო სამშენებლო ტრესტ "ინჟმშენის" N1 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტის მმართველი. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი. საინჟინრო მიღწევების გარდა, იგი უნიკალური სპორტსმენია, რომლის საკალათბურთო



ისტორიიდან ერთი ფაქტი დღესაც ზღაპრულად მოჩანს. 1959 წლის 10 აგვისტოს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის საკალათბურთო შეხვედრა გაიმართა საქართველოსა და ლატვიის ეროვნულ გუნდებს შორის. ძირითადმა დრომ და ორმა დამატებითმა „ტაიმმა“ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მესამე დამატებით მონაკვეთში, როცა დამთავრებამდე დარჩენილი იყო წუთნა ხევარი და საქართველოს ნაკრები მხოლოდ ორი ქულით - 88:86 იყო წინ, ხუთი ლატვიელის წინაღმდეგ მოედანზე დარჩა საქართველოს ნაკრები გუნდის სამი წევრი! გურამ აბაშიძე, თამაზ კაკაურიძე და ვლადიმერ ალთაბაევი. მათ 90 წამში ლატვიელებს ბურთი არ ჩააგდებინეს კალათში და ანგარიში შეინარჩუნეს. საქართველოს ნაკრები ნახევარ ფინალში გავიდა. კომენტატორმა, ნიკოლაი ოზეროვმა რეპორტაჟი ასე დაამთავრა: **„...ყოველთვის არაჩვეულებრივი რამ უნდა გააკეთონ თბილისელებმა. მინახავს, ოთხი კალათბურთელი გამკლავებოდეს ხუთს, მაგრამ სამის მიერ მოგებული მატჩი ხუთის წინააღმდეგ ...გაუგონარია... ასეთი პროპორცია იგივეა, რაც ერთი სამის წინააღმდეგ კრივში".**

გურამ აბაშიძე, სსრკ-ს ნაკრების წევრი, იმავე წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა ჩილეში. მას, ნაკრებთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონობა განაღდებული ჰქონდა მაგრამ ტაივანთან თამაშზე უარის გამო კალათბურთის მსოფლიო ფედერაციის მიერ, საბჭოთა ნაკრები დისკვალიფიცირებული იქნა. გურამ აბაშიძემ ოქროს მედალი დაკარგა. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი გურამ აბაშიძე დიდი სპორტიდან 1960 წელს წავიდა, მაგრამ ჩოგბურთს „დინამოს“ კლუბის წევრებთან ერთად თამაშობდა ათეული წლები.

ოთარ ხატიაშვილი - გენერალ-მაიორი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამმართველოს უფროსი კამჩატკის ოლქში (1976-1979), აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე (1979-1981), საქართველოს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1970-1990 წლებში. გარდაიცვალა 2003 წელს 77 წლის ასაკში;

თეიმურაზ გედევანიშვილი - „დინამოს“ კლუბის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი 1973-1975 წლებში საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების კურატორი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან. განათლებით ეკონომისტი, მუშაობდა სხვადასხვა პასუხიმგებელ თანამდებობაზე. მრავალი წელი იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართვის ინსტიტუტის პრორექტორი. მისი ოჯახი თავდაპირველად ცხოვრობდა კორტების წინ. გატაცებული იყო ძალიან ჩოგბურთით და შვილებიც, განსაკუთრებით ალექსნდრე-საშკა ჩოგბურთელად აღზარდა. ახალგაზრდა ჩოგბურთელი კარგი პერსპექტივით გამოირჩეოდა, მაგრამ ინჟინრის სპეციალობას დაეუფლა და პრაღაში დასახლდა. თეიმურაზ გედევანიშვილიც ოჯახთან ერთად პრაღაში გადასახლდა. ბოლო ოცი წელი პრაღაში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, 2018 წელს.

გურამ ახვლედიანი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი 1985-2004 წლებში. ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი და წევრი. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1980-1996 წლებში. გარდაიცვალა 2016 წელს, 82 წლის ასაკში.

ბატონი **თენგიზ უჩანეიშვილი** განათლება მიიღო ლენინგრადში, ინჟინერ ეკონომისტი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, იყო პარტიულ სამუშაოზე, ჯერ თბილისის ქალაქკომში, შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების უფროსის მოადილე, შემდეგ უფროსი, 1980-იან წლებში იყო საქართველოს ტყისა და ხეტყის გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი, საქართველოს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1985-1989 წლებში.

ბატონი **კონსტანტინე სალია**-1977-1978 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი, 1978-1980 წლებში საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი, 1980-1982 წლებში საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი, შემდეგ 1986 წლამდე საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1986-1988 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყო-

ფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი. საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი. 1996 წლიდან ოჯახით დასახლდა გერმანიაში და საკუთარი საქმიანობა დაიწყო. სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა „დინამოს“ კორტებზე 1986-1996 წლებში.

ბატონი **რამაზ ხუროძე** - ყოფილი საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი, „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1985-2009 წლებში.

ბატონი **გიორგი (გოგი) ალექსი-მესხიშვილი**, კლუბის სტაჟიანი და ერთგული წევრი, ცნობილი მხატვარი და თეატრალური დეკორატორი. რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი, სადაც ორმოცამდე სპექტაკლი გააფორმა, მათ შორის „კავკასიური ცარცის წრე“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, „ქალი-გველი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „როგორც გენებოთ, ანუ შობის 12 ღამე“, „დონ ჟუანი“. თბილისის ოპერის თეატრში: „არს მუსიკა“, „კარმენი“, „ცეცხლის ანგელოზი“. მიუნხენის ნაციონალურ ოპერაში: „პიკის ქალი“, „ოტელო“. გოგი როცა თბილისში იყო, შაბათ-კვირას „დინამოს“ კორტებზე სათამაშოდ მოდიოდა. კლუბის წევრებთან მეგობრულ ურთიერთობით გამოირჩეოდა, რასაც კვლავ აგრძელებს.



ბატონი **თეიმურაზ კვესიტაძე** - ცნობილი ექიმი, ხელოვნებათმცოდნე. მხატვრული ტილოებისა და ნაკეთობათა კოლექციონერი. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1985-2009 წლებში. გამოირჩეოდა უკანა ხაზიდან უძლიერესი დარტყმით. სამოყვარულო ტურნირების მონაწილე წყვილთა თანრიგში და პრიზების მფლობელი. „დინამოს“ ჩოგბურთელთა ყოფილი კლუბის აქტიური წევრი.

ბატონი **გიორგი კვესიტაძე** - ქართველი ბიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ცენტრის დირექტორი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1985-2009 წლებში.

მალხაზ გორგილაძე - ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი. იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი. კინოში მოღვაწეობა დაიწყო სტუდენტობის პერიოდიდან. კინოდებიუტი შედგა 1959 წელს ფილმში: „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ გადაღებულია თოთხმეტ ფილმში. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1988-1995 წლებში. 1996 წლის 1 იანვარს ტრაგიკულად დაიღუპა.

ზურაბ ყიფიანი - მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, კლუბის აქტიური წევრი, ჩოგბურთის გარდა გატაცებული იყო თევზაობით. ქართული ხალხური სიმღერების უბადლო ოსტატი „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა დაახლოებით 20 წლის განმავლობაში. გარდაიცვალა 2007 წელს 67 წლის ასაკში.

ბატონი **მურაზ ხუდოევი** - ჩოგბურთის თამაში დაიწყო 1964 წელს. იქვე კორტების მოპირდაპირედ, ათონელის ქუჩაზე ცხოვრობდა. ფლობს ჩოგბურთის მწვრთნელისა და მსაჯის სერთიფიკატს. ბევრ მოყვარულ ჩოგბურთელს შეასწავლა და შეაყვარა ჩოგბურთი. იყო „დინამოს“ კორტების კლუბის წევრი. როგორც რესტორნის მენეჯერი, გარკვეული წლები დაკავებუ-ლი იყო ბიზნესით.

მიხეილ გურამიშვილი - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 1979 წელს. მუშაობა დაიწყო ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში. 1986 წლიდან 1995 წლამდე თბილისის მე-3 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. 90-იან წლებში, საქართველოსთვის იმ მძიმე პერიოდში, როგორც კლინიკის მთავარი ექიმი იგი ბავშვთა ჯანმთელობისთვის საჭირო მედიკამენტების მოპოვების მუდმივ პროცესში იყო და ბავშვთა საავადმყოფოს კეთილმოწყობაზეც ზრუნავდა. გარდაცვალების შემდეგ კლინიკას მისი სახელი მიენიჭა. იგი ცხოვრობდა სოლოლაკში და ჩოგბურთს, „დინამოს“ კორტებზე ბავშობიდან

- 1960 წლიდან თამაშობდა. 1980 წლიდან კორტების კლუბის წევრი გახდა. რომ არა სამედიცინო განათლება, კარგი ჩოგბურთელი დადგებოდა, შესაბამისად მისი ჩოგბურთი ბევრად აღემატებოდა მოყვარულების თამაშს. დასანანია, რომ იგი 43 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბატონი **იაშა ბოლქვაძე** - მძლეოსანი, სპორტის ოსტატი, 1960-1970 წლებში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ვარჯიშობდა ოლიმპიური ჩემპიონის რობერტ შავლაყაძის ხელმძღვანელობით. 1971 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, მუშაობდა ტრესტ კავკაზ ელექტრო-ქსელმშენში საგეგმო გაყნყოფილების უფროსად, ტრესტ საქსოფლელექტროქსელმშენში ტრესტის მმართველის მოადგილედ, სს „საქრუსენერგოში“ გენერალური დირექ-ტორის მოადგილედ. „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბს შემოუერთდა 1983 წლიდან. არის ბათუმისა და თელავის სამოყვარულო ტურნირების ასაკობ-რივი ჯგუფის - 60-ზე ზევით, გამარჯვებული.

ბატონი **თამაზ ყაველაშვილი** - სამართალმცოდნე იურისტი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფა-კულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, შემდეგ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მინსკის სპეცსკოლა და მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. იგი იყო სახელმწიფო უშიშროების წითელ წყაროს რაიონული განყოფი-ლების უფროსი. სსრკ დაშლის შემდეგ, როგორც უშიშროების კადრი, დაინიშნა სახელმწიფო უშიშროებოს კომიტეტის თბილისის ისან-სამგორის გაერთიანებული რაიონების უფროსად. მსახურობდა საქართველოს საზღვრის დეპარტამენტში და სამხედრო პრო-

კურატურაში. თადარიგის პოლკოვნიკმა შემდეგ საკუთარ საქმეს მიჰყო ხელი. დინამოს კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა 1975 წლიდან 1991 წლამდე.

ბატონი **ბადრი გაბრიჭიძე** - განათლებით ინჟინერ-ქიმიკოსი, 25 წელი მუშაობდა მადნეულის სამთოგამამდიდრებელ კომბინატში, ბოლო 10 წელი იყო ამავე კომბინატის დირექტორის მოადგილე. თბილისში ცხოვრობდა ჩოგბურთის კორტების მოპირდაპირედ და როდესაც 1977 წელს 9 წლის შვილი ვოვა, კორტებზე გადაიყვანა და გივი ჩახუნაშვილს მიაბარა, თვადაც დაიჭირა ხელში ჩოგანი. 1980 წელს ბადრი და არჯევან ლომიძე, ეს ორი მეზობელი, წყვილთა თამაშში მოყვარულ ჩოგბურთელებისთვის მრისხანე მოწინააღმდეგები გახდნენ. ბადრი კლუბის წევრებს შორის გამოირჩეოდა არამარტო ჩოგბურთის ლამაზი თამაშით, არამედ სხვა ღირსებებითაც. დღეს მისმა პოეტურმა ლირიკამ, ცნობილი ქართველი პოეტებისა და კრიტიკოსების ყურადღება დაიმსახურა.

ბატონი **გიორგი გორგოძე** - სპორტული ჟურნლისტი, ინჟინერ ტექნოლოგი, ბიზნესმენი, დათო ყიფიანის სახელობის საერთაშორისო ფონდის ყოველთვიური სპორტული ჟურნალ „ათიანის“ რედაქტორი და გამომცემელი. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1988-2007 წლებში. დღესაც აგრძელებს „დინამოს“ ყოფილ ჩოგბურთელთა კლუბის წევრებთან მეგობრობას.

გოგი დავითაძე - ბათუმში აღიზარდა. საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა. კორტებზე რომ მოვიდა უკვე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსანი იყო. ჩოგბურთამდე ჭადრაკითა და პოკერით იყო გატაცებული. ჯერ კიდევ, 1986 წელს ჩოგბურთს არ თამაშობდა, მაგრამ როცა დაეუფლა, მისგან ძლიერი მოყვარული ჩოგბურთელი დადგა. გოგის შესახებ ერთი საინტერესო ფაქტი მიამბო ჩვენმა საერთო მეგობარმა თემურ ცინცაძემ: 1988 წელს, მეგობრებთან ერთად სოჭში ყოფნის დროს, დახურულ დარბაზში შემთხვევით ეთამაშა 14 წლის ევგენი კაფელნიკოვს, რომელსაც ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ ამ ფაქტით გივი ლაბაძე და თემური ცინცაძე გააკვირვა. თავად გოგიმ არც კი იცოდა რომ ეთამაშებოდა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავს. კაფელნიკოვი 8 წლის შემდეგ „როლან გაროს“ ჩემპიონი გახდა. როცა სპორტული კარიერა დაამთავრა: ATP ტურნირებში მოპოვებული ჰქონდა ერთეულთა თანრიგში 26 ოქროს მედალი, წყვილთა თანრიგში 27 ოქროს მედალი.

გოგი დავითაძე „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1987-1995 წლებში. კლუბის წევრებთან, მხოლოდ, მეგობრული ურთიერთობით გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, 1995 წელს 47 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბატონი **ვაჟა ულარჯიშვილი** - დაამთავრა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და ყირიმის მეღვინეობის და მევენახეობის საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის "მაგარაჩის" ასპირანტურა. მან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა შამპანიზაციის თეორიის გაუმჯობესების საკითხებში.

მუშაობდა „სამტრესტის“ სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დღეს კერძო ბიზნესით არის დაკავებული. 1987 წლიდან მოყვარული ჩოგბურთელია. მოყვარულ ჩოგბურთელთა სხვადასხვა ტურნირების მონაწილე და მრავალგზის გამარჯვებული, ყოფილი „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის აქტიური წევრია.

ედუარდ კამალოვი

ვალერი კამალოვი - (ფოტოს გარეშე) ეს ის კლუბის წევრი იყო,რომლის საქმიანობა უზრუნველყოფდა კორტების ღია მოედნების მზადყოფნას. ზამთრის შემდგომ თიხის საფარიანი გაყინული მოედნების მომზადებისთვის საჭირო იყო მათი გადაბარვა, გაფხვიერება, მოსწორება და დატკეპნვა, რომელსაც ვალერი სათანადო ტექნიკის გამოყენებით, დიდი გულმოდგინებით ასრულებდა. შემდეგ იწყებდა მოედნების ხაზვას. გარდა ამისა ვალერი, რომელსაც ვაჟი ედუარდი ეხმარებოდა, ჩოგნის დასაჭიმ ხელსაწყოს დიდებულად ფლობდნენ. მათ პატარა სამქროსთან, მთხოვნელები, ზოგი ახალი ჩოგნით ხელში, ზოგიც ჩოგანზე დაწყვეტილი სიმებით, მუდამ იდგა. ვალერი არც კი იყო სამოცი წლის, რომ მოულოდ ნელად გარდაიცვალა. მისი საქმე, კორტების დანგრევამდე მისმა ვაჟმა ედუარდ კამალოვმა გააგრძელა. დღეს ბტონი ედუარდ კამალოვი ჩოგბურთის მწვრთნელია და ჩოგბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია.

სსრკ-ის ხელისუფლებაში 1985-1991 წლებში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლით დაიწყო ე.წ. „პერესტროიკა“-გარდაქმნა. ქვეყანაში ურთიერთ საწინააღმდეგო რეფორმები გატარდა. ჯერ დაიწყო ბრძოლა „არაშრომითი შემოსავლების“ წინააღმდეგ, საბაზრო ეკონომიკის პირველი ელემენტების დანერგვასთან დაკავშირებით, მისი კამპანიაც მალე დასრულდა. 1986 წლის კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ პირველად ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა მოქალაქეებს კერძო საქმიანობის უფლებას გვაძლევდა. ეს გარემოებება „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბსაც შეეხო. 1986 წელს კლუბში ურთიერთობა ნახევრად კომერციული ფორმით გავაგრძელეთ, რომელმაც 1994 წლამდე გასტანა. კლუბს „რაში“ ვუწოდეთ. ავირ-

ოთარ ქავთარაძე

ჩიეთ საჩოგბურთო კლუბის პირველი პრეზიდენტი - ოთარ ქავთარაძე, რომლის შესახებ ზემოთ უკვე დავწერეთ. კლუბის არჩეული პრეზიდენტი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მიერ საჩოგბურთო სტადიონის დირექტორად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით კორტები თავის ფუნქციებს კარგად ასრულებდა.

1986–1993 წლებში საჩოგბურთო სატადიონი რადგან, რჩებოდა „დინამოს“ ცენტრალური საზოგადოების საკუთრებად, „დინამოს“ ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ცენტრალური დაფინანსების გარდა, კლუბის ბუღალტერიას ყოველთვიურად დაწესებულ საკლუბო გადასახადს ვაბარებდით. შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა 9 ღია და 2 დახურული კორტის საათობრივი გაქირავებაც.

ახალგაზრდა ჩოგბურთელების აღზრდის მიმართულებით, კორტებზე საქმიანობას აგრძელებდნენ წარსულში ცნობილი ჩოგბურთელები: რენა აბჟანდაძე, მარიამ კლდიაშვილი, ალა ივანოვა, სოლომონ თუხარელი, გივი ჩახუნაშვილი, ვანო ელერდაშვილი, თომას ლეიუსი, ბორის სენჩუროვი.

სპორტსმენთა მომზადების საერთო საქმიანობას ხელმღვანელობდა საზოგადოება „დინამოს“ ჩოგბურთის მთავარი მწვრთნელი გივი ჩახუნაშვილი, შემდეგ რამდენიმე წელი ხელმღვანელობდა ვანო ელერდაშვილი. „დინამოს“ კორტების ძირითადი საქმიანობა იყო ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდა, უკვე შემდგარი სპორტსმენების რეგულარული ვარჯიშები და გეგმური შეჯიბრებების ჩატარება. საქართველოს პირველობა ჩოგბურთში ყოველწლიურად ტარდებოდა. ჩემპიონებთან ერთად ვლინდებოდა საუკეთესო ათეულები ქალთა და ვაჟთა შორის, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის პირველობაზე და ხალხთა სპარტაკიადაზე მონაწილეობისათვის ემზადებოდნენ. ჩვენ თვალწინ წინ წამოიზარდნენ ჩოგბურთელები, რომლებიც სხვადასხვა დროს გახდნენ საქართველოს ჩემპიონები, საბჭოთა კაშირის სპარტაკიადის პრიზიორები, ბევრი საერთაშორისო ტურნირების მონაწილეები და გამარჯვებულებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც,რომ კლუბის წევრებმა ჩოგბურთში სავარჯიშოდ, სხვადასხვა მწვრთნელებს მივაბარეთ, ჯერ ჩვენი შვილები, შემდეგ

შვილიშვილები. 1980-იანი წლების მეორე ნახევარიდან 2007 წლამდე, სხვადასხვა დროს, ჩემი შვილების ნიკოლოზის, მარიამის და ალექსანდრეს გარდა ვარჯიშობდნენ მამია მეგრელიშვილის შვილიშვილი გიორგი, თამაზ ჯანელიძის შვილიშვილი, გივი სიხარულიძის ვაჟები, ბექა და ჯაბა, რესან კონცელიძის ქალიშვილი მედა და ვაჟი არჩილი, მოგვიანებით უმცროსი ვაჟი რესანჩო, გეიდარ ფალავანდიშ ვილის ვაჟი გურამი და შვილიშვილი ალექსანდრე, გელა მუხაშავრიას უმცროსი ვაჟი-კახა, გრიგორი შონიას ქალ-ვაჟი ნესტანი და ბექა, თენგიზ უჩანეიშვილის ქალ-ვაჟი ნიკა და ლიკა, თამაზ გოგავას გოგონები ნინო და თათა, ავთანდილ კეთილაძის სალომე, თეიმურაზ გედევანიშვილის ქალ-ვაჟი - ლანკა და საშკა, გურამ გალოგრეს ქალიშვილი ბაია და შვილი შვილი ნათია, ბაბუკი კალანდაძის ქლიშვილი თათა,ლეგი კალანდაძის ვაჟი გიორგი,ჯემალ ჯანაშიას ვაჟი ლაშა, კონსტანტინ სალიას ვაჟი გიორგი, შალვა შანიძის ვაჟი ლაშა,მირიან ანდრიაძის ვაჟები შოთიკო და ავთანდილი, არჯევან ლომიძის ვაჟი ჯაბა, მურმან შელიას უფროსი ვაჟები ჯაბა,შოთა, შემდეგ უმცროსი საბა და შვილიშვილი ლუკა, ჯაბა კუბლაშვილის სიძე ზურაბი და შვილიშვილები თენგო და ნათია, დათო გოცაძის ვაჟი ილია, გივი თალაკვაძის ვაჟი ზურაბი, ვაჟა ულარჯიშვი ლის ვაჟი გიორგი, მურმან ქურიძის ვაჟი დავითი, კიდევ სხვები იყვნენ, რომელთა ჩამონათვალი დიდია.ვარჯიშებს თუ დიდ სპორტული შედეგი არ მოყოლია, უკვალოდ არ გამქრალა. ბექა შონიამ, რომელსაც ცნობილი საბჭოთა ჩოგბურთელი და მწვრთნელი თომას ლეიუსი ავარჯიშებდა, საბჭოთა კავშირის ნორჩ ჩოგბურთელთა შეჯიბრებაზე, რომელიც ბელორუსიის ქალაქ მოგილევში 1980-ანი წლების ბოლოს ჩატარდა, მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ლაშა ჯანაშიამ „დინამოს“ კორტებზე შეძენილი ჩოგბურთით სწავლა გააგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდის შტატის ქლაქ მაიამის ჩოგბურთის აკადემიაში. ლაშა შანიძეს ჰარვარდის უნივერსიტეტში იურისპრუდენციის დაუფლებაში ჩოგბურთის თამაშიც ეხმარებოდა, გიორგი სალია 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, როგორც ჩოგბურთელი მიღებული იქნა ამერიკის ერთერთ უმაღლეს სასწავლებელში. ბექა სიხარულიძე 16 წელი ამერიკაში ცხოვრობდა, სპორტული კარიერა ჩოგბურთის თამაშით დაიწყო, საკუთარი საჩოგბურთო აკადემიაც გახსნა. როგორც მწვრთნელი ის ჰოლივუდის არაერთ ცნობილ ვარსკვლავს და მათ შვილებს ავარჯიშებდა, შემ-

დეგ, თავად, მსახიობი და რეჟისორი გახდა. დღეს, ყოფილი კლუბის წევრების შვილები და შვილიშვილები ქართული საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები ბრძანდებიან.

სამწუხაროა და დასანანია, რომ ზემოთ ჩამოთვლ რიგს ტრაგიკულად გამოაკლდა გიორგი ულარჯიშვილი, გიორგი კალანდაძე, ნიკოლოზ უჩანეიშვილი და ავთანდილ ანდრიაძე.

გასაგები მიზეზების გამო, 1987-1990 წლებში კლუბის წევრებს შორის ფრთხილი ურთიერთობები ჩამოყალიბდა.ე.წ. „პერესტროიკის“, დაწყების შემდეგ, ეროვნული მოძრაობის ლიდერი გამსახურდია გააქტიურდა. 1989 წელი სსრკ-ს ნგრევის დასაწყისი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა გვახსოვს რაც ხდებოდა. თუ აქტიური პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეები არ ვიყავით, არსებული წყობის ნგრევის პროცესი, უნებლიედ, ყველა ადამიანს შეგვეხო.

1989 წლის მარტში აფხაზეთში, სოფელ ლიხნში დაიწერა პეტიცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლისა და რუსეთთან მიერთების შესახებ,რომელიც საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობას გაეგზავნა. ამ ფაქტის გამო, 3 აპრილს სოხუმში მოეწყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მიტინგი. 4 აპრილიდან თბილისში დაიწყო აქციები აფხაზეთში მცხოვრები ქართველების სოლიდარობისთვის და ლიხნის პეტიციის ავტორების დასჯის მოთხოვნით. საპროტესტო აქცია მთავრობის სასახლესთან გაგრძელდა. ლიხნის პეტიციის ერთ-ერთი ავტორი, აფხაზეთის ავტონომიის პარტიული ხელმძღვანელი ადლეიბა გათავისუფლდა თანამდებობიდან. ეს ფაქტი არ გახდა რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციის დაშლის მიზეზი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გამოყოფა მოითხოვეს. აქციის მონაწილეებმაც მხარი დაუჭირეს. 1989 წლის 9 აპრილის საპროტესტო აქცია დასრულდა სისხლიანი დარბევით. საბჭოთა ჯარისკაცებმა 21 ადამიანი მესანგრის ნიჩბით დახოცეს, მომიტინგეების წინააღმდეგ მომწავლავი გაზი გამოიყენეს. აქციის ორგანიზატორების ზვიად გამსახურდიას, გიორგი ჭანტურიას და მერაბ კოსტავას მიმართ, საქართველოს პროკურატურაში სისიხლის სამართლის საქმე აღიძრა, რო-

მელიც გამსახურდიას და ჭანტურიას მიმართ 10 თვის შემდეგ, „ვითარების შეცვლის გამო“ შეწყვეტილი იქნა. კოსტავა, იმ დროს ცოცხალი არ იყო.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კლუბის წევრები კორტებზე ვიკრიბებოდით. განვიხილავდით თბილისში შექმნილ მდგომარეობას. საქართველოში დაძაბული საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენც დაგვეტყო.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა განსაზღვრეს პრიორიტეტი „ჯერ თავისუფლება, შემდეგ - დამოუკიდებლობა“. ეს გულისხმობდა საბჭოთა ეკონომიკური კავშირების გაწყვეტას და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების შექმნას, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ ვერ იქნებოდა გამოხატული. ეს უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. ეროვნული მოძრაობის გაძლიერებამ საქართველოს ავტონომიებში გააძლიერა სეპარატიზმი. აფხაზები და ოსები ავტონომიების ტერიტორიაზე საბჭოთა წყობის შენარჩუნებას მოითხოვდნენ.

1990 წლის 2 დეკემბერს ჩატარდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ბათილად ცნო სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები და გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამასთან ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

1991 წლის იანვარში რამდენიმე ათასი ქართველი სამხედრო შევიდა ცხინვალში. დაიწყო სამხედრო კონფრონტაცია. თბილისში გაჩნდნენ ცხინვალიდან ქართველი დევნილები. საქართველოში მცხოვრები ოსების ოჯახების ნაწილი ოსეთის ჩრდილო ავტონომიაში გადასახლდა. ცხინვალის რეგიონში ქაოსმა დაისადგურა, გახშირდა შეიარაღებული შეტაკებები. ქართულ-ოსური პოლიტიკური ურთიერთობა გაიყინა.

1991 წლის წლის 26 მაისს ჩატარებული საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებით გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა.

გურამ გალოგრე

კლუბშიც გვქონდა არჩევნები. 1991 წლის აპრილში კლუბის მეორე პრეზიდენტად საზოგადოებრივ საწყისებზე ავირჩიეთ ბატონი გურამ გალოგრე, რომელიც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მიერ საჩოგბურთო სტადიონის დირექტორადაც დაინიშნა. ამავე დროს, იგი მუშაობდა საქართველოს უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობებისა და მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ.

1991 წლის ზაფხულის დასაწყისში კლუბის ურთიერთობამ საერთაშორისო მაშტაბებს მიაღწია. ამის მოთავე იყო ბატონი გურამ გალოგრე. 1991 წლის ივლისში ჩვენი კლუბი ათი დღით მასპინძლობდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ბურსას საჩოგბურთო კლუბის „ოქროს ჯეირანის“ წევრებს. „დინამოს“ კორტებზე ჩატარდა შეჯიბრება ერთეულთა და წყვილთა თანრიგში. მოეწყო კულტურულ -საგანმანათლებლო ექსკურსიები თბილისში, გორში, თელავსა და ბათუმში.

ირაკლი-მაილო ჯაში

ბურსას საჩოგბურთო კლუბ „ოქროს ჯეირანის“ დელეგაციას, სარფის გავლით თურქეთში დაბრუნებამდე, ბათუმის ბულვარის რესტორან „სალხინოში“, გულთბილი მასპინძლობა გაუწია ბათუმის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელმა და ჩოგბურთის მოყვარულმა ირაკლი-მაილო ჯაშმა. მას ამოქმედებული კანონმდებლობით, 1989 წელს სახელმწიფო ქონება-რესტორანი „სალხინო“, საბოლოო გამოსყიდვის უფლებით იჯარით ჰქონდა აღებული.

რესტორანი „სალხინო“

ამ ფაქტს იმ მიზეზით აღვნიშნავთ, რომ ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ სპონსორულ დახმარებას უწევდა ირაკლი-მაილო ჯაში, იმ დროის ჯერ კიდევ ახლადფეხადგმული კერძო მეწარმე.

იმავე 1989 წლის ივლისს, თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის ცხრა წევრი-არჯევან ლომიძე, აგული სოხაძე, ბადრი გაბრიჭიძე, მიხეილ ესაკია, ბაბუკი კალანდაძე, მირიან ანდრიაძე, თეიმურაზ გედევანიშვილი, გურამ გალოგრე და ამ სტრიქონების ავტორი, საკუთარი ხარჯით, რასაც დაემატა ბიზნესმენ ბადრი ნინუას მიერ გაწეული სპონსორული ფულადი დახმარება, საპასუხო ვიზიტით ვეწვიეთ თურქეთს. თურქ მასპინძლებს გათვალისწინებული ჰქონდათ ჩვენი მოგზაურობის მარშრუტი და დაგეგ-მეს შეხვედრები ანკარისა და სტამბულის საჩოგბურთო კლუბებში. ანკარის კორტზე წყვილთა თანრიგში აგული სოხაძესთან ერთად გამოვედი. თურქი ჩოგბურთელები, ძლიერი მეტოქეები აღმოჩნდნენ. პირველი სეტი მოგვი-გეს, მეორე სეტი მოკლე დროში დიდი ანგარიშით ჩვენ მოვიგეთ. თურქები მიხვდნენ, რომ წააგებდნენ პარტიას და მსაჯს რაღაც უთხრეს. მალე ორი

ჩაფსკვნილი თურქი, ჯმუხი სახეებით მოვიდა კორტთან. აგულის მარდი თამაშის მაყურებლებმა, ჯმუხი სახეები ღიმილიანით შეცვალეს, ამასთან ბოდიში მოგვიხადეს, მაგრამ კატეგორიულად მოგვთხოვეს თამაშის შეწყვეტა იმ მიზეზით, რომ თურმე, ტურნირის ორგანიზატორების მიერ დაქირავებულ კორტზე არ ვთამაშობდით. ასე შევწყვიტეთ „საერთაშორისო ტურნეს“ პირველი შეხვედრა.

მარცხნიდან - ანკარის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, პრორექტორი, რომლის ქართული გვარი ბოლქვაძე ყოფილა. დგანან „დინამოს“ კლუბის წევრები: არჯევან ლომიძე, მირიან ანდრიაძე, აგული სოხაძე, რიჩარდ ჯაში, გურამ გალოგრე, ორი უცნობი, მიხეილ ესაკია, სხედან: ბადრი გაბრიჭიძე, თემო გედევანიშვილი, სასტუმრო „მეტეხის“ მძღოლი

ანკარის მავზოლეუმში, პატივი მივაგეთ თურქეთის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტი - ქემალ ათათურქის ხსოვნას. ვეწვიეთ ანკარის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, მეგზურობას გვიწევდა თურქეთის მეჯლისის ყოფილი წევრი, ინსტიტუტის პრორექტორი, წარმოშობით ქართველი ისლამ ბოლქვაძე. ინსტიტუტში სამახსოვრო სურათი გადავიღეთ, შემდეგ

პროფესორმა სახლშიც მიგვიწვია, ჩაით და თურქული ტკბილეულით გაგვიმასპინლდა. მხოლოდ ამის შემდეგ გაგვამგზავრა ბურსას.

ჩოგბურთის კლუბ „გოლდენ ჯეირანის“ წევრებთან საპასუხო ვიზიტით ჩავედით ოსმალეთის იმპერიის პირველ დედაქალაქში, ბურსაში. კლუბ „გოლდენ ჯეირანის“ წევრებს კარგად ახსოვდათ ჩვენი მასპინძლობა „დინამოს“ კორტებზე და კორტებს გარეთა. სამშობლოში კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ. საპასუხო ვიზიტისთვის ემზადებოდნენ. თურქეთში ათდღიანი ვიზიტი, რა თქმა უნდა, მარტო ჩოგბურთით არ შემოიფარგლა.

კლუბ „გოლდენ ჯეირანის“ წევრების სპორტულმა ბაზამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. დაახლოებით იმავე ფართობზე, რაც თბილისის ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ ეკავა, გაშენებული იყო ხუთი ჩოგბურთის კორტი, ოთხი მიწის და ერთი ხელოვნური საფარით. კლუბის წევრებისა და ჩოგბურთის მოყვარულების განკარგულებაში დამატებით იყო, ფიტნესცენტრი და ღია საცურაო აუზი, აუზთან კაფე - Cafe Court. კლუბის რესტორნის სამეჯლისო დარბაზის ფართობი 700 კვ. მეტრს შეადგენდა.

ქალაქ ბურსას კლუბ „ოქროს ჯეირანის“ კორტზე

ბურსაში ყოფნისას სურვილი გაგვიჩნდა, რომ თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები დაახლოებით ისე მოგვეწყო, როგორიც კლუბი „გოლდენ ჯეირანი“ იყო. იმ დროს ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ოთხი

წლის შემდეგ „დინამოს“ კორტების მესაკუთრენი გავხდებოდით, მაგრამ კორტების გასაუმჯობესებლად ფულად სახრებს ვერ მოვიძიებდით და 20 წლის შემდეგ კლუბს გავყიდდით, თანაც თუ მყიდველი „დინამოს“ კორტებს დაანგრევდა. ეს ყველაფერი, თურმე, წინ გველოდა.

კლუბ „ოქროს ჯეირანის“ თურქმა მეპატრონემ, სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს, საქართველოდან ჩასულების პატივისცემის ნიშნად, საკუთარ ფეშენებელურ ვილაზე ვახშამი გაგვიმართა. ბურსადან სტამბულში გავემგზავრეთ. სტამბულის კორტებზე, იქაურ ჩოგბურთის მოყვარულებთან პაექრობა მოვაწყვეთ, რომელიც გარდამავალი უპირატესობებით დავამთავრეთ. ერთი სიტყვით, ტურნე „წარმატებული“ გამოდგა.

მოგზაურობა თურქეთის რესპუბლიკაში, ცხადია, კლუბის წევრებისთვის სამახსოვრო იყო. აქ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ერთი საქმიანობის ისტორიას, მოკლედ გავიხსენებ, რომელთა წარმომადგენელი, იმ შორეულ 1991 წელს, თურქეთში ათდღიანი მოგზაურობისას, ჩვენთან ერთად იყო.

ბურსის გარშემო არის ინეგოლის რაიონი რომელშიც ქართველთა 16 სოფელი მდებარეობს, მათ შორის, ჰაირიეც. იქ 1955 წლიდან ცხოვრობ და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი, საქართველოს პატრიოტი აჰმედ მელაშვილი-ოზქანი. ამ სოფლის მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებმა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, დაიწყეს მოძრაობა ქართული იდენტობის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის. მათ შექმნეს „ქართული დედაენა” და ჟურნალი „ჩვენებურები”. ამ მოძრაობას სათავეში ედგა აჰმედ ოზქანი (მელაშვილი). ეს მოძრაობა მიმართული იყო თურქეთის ქართველობაში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისაკენ. აჰმედი სპეციალობით არქიტექტორი იყო, მაგრამ მისი მთავარი საქმიანობა თურქეთის ქართულ თემებში ქართული იდეის პოპულარიზაცია იყო. ამასთან, ქართული ლიტერატურის თურქული საზოგადოებრიობისათვის გაცნო ბის რთულ საქმეს, მასთან ერთად მოჰკიდეს ხელი აჰმედ ოზქანის (მელა შვილის) თანამოაზრემ და თანამებრძოლმა ჰაირი ჰაირიოღლუმ, რომლის ქართული გვარ–სახელი იყო ავახტანგ მალაყმაძე და ბათუმელმა ცნობილმა მწერალმა და მთარგმნელმა იბრაიმ გორაძემ.

1978 წელს აჰმედ ოზქანი (მელაშვილი) მეუღლესთან ერთად, საქართველოში იყო ჩამოსული უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობების

საზოგადოების მოწვევით. მეგზურობას უწევდნენ ბატონი გურამ გალოგრე და იბრაიმ გორაძე. ეს ფოტოც ასახავს ოზქანისა და მისი მეუღლის ბათუმში ყოფნას.

ბათუმი,1978 წელი.მარცხნიდან: გურამ გალოგრე, იბრაიმ გორაძე, აჰმედ ოზქანი (მელაშვილი), იუქსელ ერგუნ-მელაშვილი

საქართველოში გავრცელებული ვერსიით, აჰმედ მელაშვილი მოკლეს 1980 წელს თურქული ულტრა-ნაციონალისტური დაჯგუფების - "რუხი მგლების" - აქტივისტებმა.[1]

აჰმედ მელაშვილის საქმე გააგრძელა მისმა თანამებრძოლმა ჰაირი ჰაირიოღლუმ - ვახტანგ მალაყმაძემ. იგი იყო მრავალმხრივი მოღვაწე რომელიც 67 წლის ასაკში, 2003 წელს გარდაიცვალა. მან დიდი წვლილი შეიტანა თურქეთელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. მისი არქივი და ბიბლიოთეკა გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, სადაც 2017 წელს გაიხსნა ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) სახელობის კაბინეტი.

[1] (http://www.bestgeorgians.ge/index.php?pg=nms&id=182).

ერგუნ ათაბაი -
გურამ ქოქოლაძე

აჰმედ მელაშვილის საქმე თურქეთში დღემდე გრძელდება. ამ საქმის ერთ-ერთი ღირსეული წინამძღოლი არის ბატონი ერგუნ ათაბაი (გურამ ქოქოლაძე), რომელმაც 1991 წელს ჩვენი ბურსაში ყოფნისას თავი დაგვამახსოვრა. ბატონ გურამ ქოქოლაძეს წარმატებულ ბიზნესმენს და ქველმოქმედს 2006 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. ერთი წლით ადრე იგი „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის წევრი გახდა. თუმცა კორტზე არც გასულა. დღესაც მეგობრობს ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ ყოფილი კლუბის წევრებთან.

კლუბის ისტორიაში კიდევ ერთი საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება შევძელით. 1994 წლის ზაფხულში, ჩვენი კლუბის წევრები: აგული სოხაძე, გეიდარ ფალავანდიშვილი, რამაზ ხუროძე, შალვა შანიძე, თეიმურაზ გედევანიშვილი, გურამ გალოგრე ავსტრიას ეწვივნენ, შეხვდნენ ვენის მოყვარულ ჩოგბურთელებს. სამშობლოში დაბრუნებულები დიდი აღტაცებით ყვებოდნენ ვენაში მათთვის გამართული ბანკეტისა და ვენის ფილარმონიის ორკესტრის კონცერტზე დასწრებით მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ. მონაყოლმა დაჩრდილა ვენის კორტებზე ჩატარებული საჩოგბურთო შეხვედრების ამბები.

მანამდე, ოთხი წლით ადრე 1991 წლის 22 დეკემბრიდან თბილისში დაიწყო სამხედრო გადატრიალება, რასაც მოყვა თბილისის ომი. ასამდე მოქალაქე დაიღუპა. 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტ გამსახურდია სამშობლოდან განდევნილი იქნა. ქართულ „ვიკიპედიაში“ ასეთი ჩანაწერია: „1992 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პუტჩის შედეგად თანამდებობიდან ჩამოაგდო ეროვნულმა გვარდიამ“.

1992 წლის 10 მარტს სამხედრო საბჭომ ხელისუფლება გადააბარა საქართველოს რესპუბლიკის ე.წ. სახელმწიფო საბჭოს. სადაც სამხედრო საბჭოს წევრებს თავმჯდომარის სახით მიემატა, რუსეთიდან მოწვეული სსრკ–ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. მისი ლეგიტიმაცია 1992 წლის 4 ნოემბერს მოხდა, როცა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა იგი აირჩია პარლამენტის თავმჯდომარედ.

ორთვენახევრით ადრე, 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შინაგანი ჯარების კოლონამ, თითქოს კომუნიკაციების დაცვის მიზნით, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა. დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი. 13 თვის განმავლობაში, სამწუხაროდ, 1992-1993 წლებში ბევრი ქართველი და აფხაზი დაიღუპა. დაახლოებით 200 ათასი, იძულებით, თავის საცხოვრისიდან აიყარა. აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობა დიდი ხნით გაიყინა.

კლუბის წევრებმა გადავიტანეთ ის გაჭირვება რაც საქართველოს დაატყდა. კონკრეტულად, ოსებთნ სამხედრო კონფლიქტი, თბილისის ომი და აფხაზეთის ომი. კლუბის წევრები სიმშვიდეს ვინარჩუნებდით. რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევაში კამათიც გვქონია, რასაც იწვევდა მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებზე აზრთა სხვადასხვაობა.

კლუბის წევრები, ვინც ორგანოების თანამშრომლები და მოხალისეები იყვნენ, აფხაზეთის ბრძოლებში მონაწილეობდნენ. გაგებით ვხვდებოდით ყოველივეს რაც ცხოვრებაში ბედით გვერგო. არასოდეს არ დაგვიკარგავს სულის სიმშვიდე, რეალობა. ამასთან, ოპტიმისტები ვიყავით და ასეთებად დავრჩით.



არჯევან ლომიძე

ბატონი გურამ გალოგრეს შემდეგ ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტად, საზოგადოებრივ საწყისებზე, ავირჩიეთ არჯევან ლომიძე, რომელიც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მიერ საჩოგბურთო სტადიონის დირექტორად დაინიშნა. არჯევანი ბავშობიდან წყალბურთს და ჩოგბურთს თამაშობდა. გარკვეული წლები იგი იყო საქრთველოს წყალბურთელთა ნაკრების წევრი. იგი „დინამოს“ კორტების მოპირდაპირე მხარეს, ათონელის ქუჩა-

ზე ცხოვრობდა. ჩოგბურთის თამაშის მისი დონე ბევრად აღემატებო და სამოყვარულოს, ჩოგბურთელის ოსტატობას უთანაბრდებოდა, მაგრამ, ახალგაზრდა ასაკში გახდა ჯერ თბილისის საქარხნო რაიონის, შემდეგ ქალაქ რუსთავის პროკურორი და ამ მიზეზით დარჩა ჩოგბურთის მოყვარულად. 1992-1993 წლებში იგი იუსტიციის უფროსი მრჩეველი, დაინიშნა საქართველოს სამხედრო პროკურორად და საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილედ. მისი სამხედრო პროკურორობა აფხაზეთის ომის პერიოდს დაემთხვა. სამხედრო პროკურატურაში გრიფით „საიდუმლო“ გაუხსნელი დარჩა გაგრის დაცემის გამოძიების საქმე, რომელიც არჯევან ლომიძის ინიციატივით 1992 წლის 9 ოქტომბერს აღიძრა საქართველოს სამხედრო პროკურატურაში.[1]

ქვეყანაში შექმნილი, ზემოთ აღწერილი მდგომარეობის გამო, 1991-1993 წლებში საზოგადოება „დინამოს“ ბიუჯეტისთვის არავინ ზრუნავდა. კორტების გარკვეული ნაწილი მხედრიონის წევრებმა უკანონოდ დაისაკუთრეს. მათი გავლენა მალე შეიკვეცა, მაგრამ 1994 წლამდე ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ კორტების სამართლებლივი მართვის საკანონმდებლო ბაზა საქართველოში არ არსებობდა. არჯევან ლომიძე პირადი ინიციატივით, აწესრიგებდნენ კორტების ხელმძღვანელობის ურთიერთობას ქალაქის ხელისუფლებასთან.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, არჯევან ლომიძემ ვერ შეძლო კლუბის ხელმძღვანელობა და მისი რეკომენდაციით, კლუბის ხელმძღვანელობა მირიან ანდრიაძეს დაეკისრა.

მირიან ანდრიაძე

1994 წელს, ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელთა კრებამ კლუბის პრეზიდენტად აირჩია მირიან ანდრიაძე. საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წელს „მეწარმეთა შესახებ“ მიღებული კანონით და მირიან ანდრიაძის აქტივობით თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობამ 1994 წელს კლუბი რეგისტრაციაში გაატარა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად.

[1] გაზეთი „7 დღე“, 1993 წლის ივნისი, გაგრის დაცემის ქრონიკა.

1994 წელს საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრება, დაძაბულობის მიუხედავად, მეტნაკლებათ ჩაწყნარდა. კლუბის წევრები ხშირად ვმასპინძლობდით თბილისის სხვა კორტების ჩოგბურთელებს.

„დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე 1996 წლიდან ტარდებოდა სახელოვანი ქართველი სპორტსმენისა და დამსახურებული მწვრთნელის რენა აბჟანდაძის სახელობის მემორიალური ტურნირი. 2006 წლიდან "რენას თასი" ევროპის საჩოგბურთო ასოციაციის (ETA) ეგიდით, საქართველოს სხვადასხვა კორტზე დღესაც წარიმართება, რაც მონაწილე სპორტსმენებს სარეიტინგო ქულების მოპოვების საშუალებას აძლევდა. კლუბის წევრები რენას თასის მემორიალში ვიღებით მონაწილეობას, მანამ ევროპის საჩოგბურთო ასოციაციის ტურნირების ბადეში იგი არ მოექცა.

„დინამოს“ კორტებზე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ორგანიზებით ტარდებოდა ალექსანდრე მეტრეველის სახელობის თასის ტურნირი. ეს ტურნირი დღეს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის და საქართველოს ჩოგბურთის ფეედერაციის ეგიდით იმართება.

1996 წელს დავიწყეთ და შემდგომ წლებშიც გაგრძელდა, კლუბის წევრებს შორის, თვეში ერთხელ ერთდღიანი ტურნირების მოწყობა. გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო მცირედი სამახსოვრო თასები. 1997 წლის აგვისტოში წყვილთა თანრიგში გამარჯვებულებს ბროლის თასები გვერგო მე და გრიგორი შონიას. კლუბის წევრებს შორის სპონსორის დაფინანსებული პირველი სერიოზული ტურნირი ჩატარდა 1999 წლის დეკემბერში. სპონსორი გახლდათ კლუბის წევრი და ბიზნესმენი გივი თალაკვაძე. მან „დინამოს“ კორტების კლუბის დახურულ დარბაზში ორი დღის - შაბათ-კვირის განმავლობაში, კლუბის წევრებს შორის წყვილთა თანრიგში, სოლიდური პრიზებით, მოაწყო „აბსოლუტ ჰოვარდ ენერჯის“ საშობაო თასის გათამაშება. გამარჯვებული, როგორც მახსოვს გამოვიდნენ მურმან შელია და მირიან ანდრიაძე რომლებსაც, თითოეულს, გადაეცათ „აბსოლუტ ჰოვარდ ენერჯის“ საშობაო თასი და სამახსოვრო დიპლომები და მედლები. მათ პრიზად გადაეცათ, wilson-ის ჩოგბურთის რაკეტები ბურთებითურთ და Adidas-ის სპოტული ჩანთები, სადაც კოხტად ჩალაგებული იყო ყველა მოყვარული სპორტსმენისთვის სანუკვარი ნივთები: Adidas-ის ფირმის სპორტული პიჟამო და სპორტული ფეხსაცმელი. ჩვენ - ფინალისტებს-მე და

მურმან ქურიძეს გვერგო „აბსოლუტ ჰოვარდ ენერჯის“ საშობაო თასის გათამაშების „ვერცხლის“ მედლები და სამახსოვრო დიპლომები.

„დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე 2000 წლიდან ბევრი ტურნირი ჩატარდა,სადაც მონაწილეობდნენ კლუბის წევრების გარდა რუსთავის და თბილისის სხვა და სხვა კორტებზე მოთამაშე მოყვარული ჩოგბურთელები. ჩვენც გვქონდა გასვლითი შეჯიბრებები ბათუმში, რუსთავში, თელავში. ამას, უფრო იმ დროს ვამთხვევდით, როცა რომელიმე ჩოგბურთელის ან მოყვარული ჩოგბურთელის მემორიალურ ტურნირებს ვატარებდით. 2000 წლიდან - 2008 წლის აგვისტომდე „დინამოს“ კლუბის კორტებზე ჩატარდა ბევრი სამოყვარულო ტურნირი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. თითო-ეულის გახსნება ძნელია, მაგრამ დარწმუნებით აღვნიშნავ, რომ სხვადასხვა დროს, ტურნირების შესაბამისი პრიზებით, მედლებითა და სიგელებით, დაჯილდოებულია კლუბის ყველა წევრი.

1996 წლიდან შპს „დინამოს კორტების“ შემოსავლები გაიზარდა, მაგრამ ისეთი დონით არა, რომ კორტების ინფრასტრუქტურის სათანადო გაუმჯობესება გადაგვეწყვიტა. ხერხდებოდა სპონსორების გამოძებნა მაგ-რამ ფულადი შემოწირულებები იშვიათი იყო.

ნიკა ივანიშვილი

მირიან ანდრიაძის შემდეგ კლუბში სამეთ-ვალყურო საბჭო შეიქმნა. საზოგადოება „დინამოს“ რეკომენდაციით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ბატონი ნიკა ივანიშვილი ავირჩიეთ, რომელიც 2001 წელს იყო ფიზკულტუ-რულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" ხელმძღვანელი.

მის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯ-დომარედ არჩეულ იქნა ბატონი რამაზ ხუროძე, რომელიც იყო საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის რექტორი.

მალხაზ ხუნწარია

სამეთვალყურეო საბჭომ კლუბის გენერალურ დირექტორად მალხაზ ხუნწარია დანიშნა. მანამდე იგი იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სამედიცინო განყოფილების უფროსი. მალხაზ ხუნწარია, ახალგაზრდობაში თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი იყო. ექიმის პროფესიით უმაღლესი განათლება ლვოვში მიიღო, გარკვეული წლები მუშაობდა ბათუმში, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამედიცინო კლინიკაში, საიდანაც, სანაოსნოს სხვადასხვა გემეზე მივლინებული იყო შორეულ ნაოსნობაში ექიმად. საზოგადოება „დინამოს“ სამედიცინო განყოფილების უფროსი, ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ გენერალურ დირექტორად 1999-2003 წლებში მუშაობდა და ჩოგბურთის თამაშიც იმ პერიოდში დაიწყო. ზორბა ტანის, ყოფილი წყალბურთელი, სამოყვარულო ჩოგბურთს კლუბის წევრებთან ერთად ხალისიანად თამაშობდა. იგი იყო „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბის დამფუძნებელი. როგორც კლუბის გენერალური დირექტორი კორტების განვითარებისათვის საინტერესო პროექტებს გეგმავდა, მაგრამ მას კლუბის სამეთვალყურეო საბჭომ კონტრაქტი არ გაუგრძელა. მალხაზ ხუნწარია, სამწუხაროდ, 2008 წელს გარდაიცვლა.

იმ პერიოდში კლუბს ბევრი ახალი წევრიც შეემატა. 2002 წელს, ჩვენი კლუბის ახალმა წევრმა ირაკლი მათითაშვილმა, ''ჩვენი (ტენისის) ჰიმნი'' შექმნა, მის მოტივზე კლიპიც გადაიღო, რომელიც, განათავსა www.youtube.com ინტერნეტ საიტზე.

კლუბის წევრების ნაწილი, კლუბის „ჰიმნის“ ჩაწერის დროს

საინტერესო ურთიერთობებმა, კლუბში ერთი ტრადიცია დაამკვიდრა: წლების განმავლობაში, დაახლოებით 1982 წლიდან, ყოველი ახალი წლის მეორე დღეს, ვინც თბილისში იყო, ვიკრიბებოდით კლუბის ბარში კლუბის წევრების ნაწილი და ასე ვულუცავდით ერთმანეთს ახალი წლის დადგომას. ბოლოს ასეთი შეხვედრა მოეწყო 2009 წლის 2 იანვარს. ის შეხვედრა ჩემმა უმცროსმა ვაჟმა ალექსანდრემ ფირზე აღბეჭდა. სამოყვარულო ვიდეო, მხოლოდ, სამახსოვრო თვალსაზრისით, YouTube-ზე განთავსდა, სათაურით: „2 January 2009. Tennis Club Lounge Bar in Tbilisi“.

კლუბის ბოლო გენერალური დირექტორი თენგიზ გელეიშვილი გახდა, რომლის დირექტორობის პერიოდში კლუბის დამფუძნებლებმა „დინამოს“ კორტების წილი ისე გაასხვისეს დავით კოდუაზე, უფრო სწორედ დავითის დედაზე-ლამარა ღაჭავაზე, რომ გარიგების ხელშეკრულებაში მყიდველის ვალდებულების პირობის ჩაწერა გამორჩათ. მყიდველის ვალდებულების პირობის არსებობა, დაინტერესებულ საზოგადოებას მისცემდა სამართლებრივ საფუძველს, ებრძოლათ ჩოგბურთის კორტების შესანარჩუნებლად. გარიგების ხელშეკრულებაში მყიდველის ვალდებულების დაფიქსირება, იქნებ, უზრუნველყოფდა კორტების შემდგომ არსებობას.

ზვიად კოვზირიძე

მატერიალური ქონების გარეშე დარჩენილი „დინამოს“ კლუბის არსებობის შენარჩუნებას ცდილობდა ზვიად კოვზირიძე, რომელსაც დიდი სურვილი ამოძრავებდა არ დაშლილიყო კლუბი მოეხდინა მისი რეანიმაცია. კლუბის წევრების ხმათა უმრავლესობით იგი კლუბის პრეზიდენტად ავირჩიეთ.

ბატონი ზვიადი 2008-2009 წლებში კოორდინაციას უწევდა კლუბის სამეურნეო საქმიანობას, მოედნების მდგომარეობასა და სხვა კიდევ ბევრ კეთილ საქმეს. 2009 წლის გაზაფხულზე მისი თაოსნობით აღინიშნა თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის არსებობის 60 წელი და საკლუბო ცხოვრების 40 წელი.

საჩოგბურთო კორტების დანგრევის შემდეგ, კლუბის ყოფილი წევრები, იშვიათად, მაგრამ მაინც, ვიკრიბებით თბილისის რომელიმე კორტზე, ზოგი ჩოგბურთის სათამაშოთ, ზოგიც საყურებლად.

მეორე „ვერნისაჟი“

კლუბის ცხოვრებამ ბევრი სამახსოვრო ფაქტი შემოგვინახა. თუ 1980 წელს გიგლა ფირცხალავამ კლუბის წევრების მეგობრული შარჟი შექმნა, 15 წლის შემდეგ, კლუბის ბარის კედლებზე კლუბის წევრების მეგობრული შარჟების მოხატვას ხელი მიჰყო საქართველოს დამსახურებულმა მხატვარ-მა ბატონმა შოთა შანიძემ. ადრეულ წლებშიც, იგი კორტებზე მოდიოდა და თავის უბის წიგნაკში გვხატავდა.

შოთა შანიძეს, არ მახსოვს ჩოგბურთი ეთამაშა. 1995 წლიდან შოთა კლუბში მოდიოდა და ბარის კედლებზე გადაჭიმულ „ტყავზე“ გვხატავდა. ასე შეიქმნა შოთა შანიძის ავტორობით ბარის კედლებზე შესრულებული კლუბის წევრთა შარჟები. 2010 წელს როდესაც კორტები დაანგრიეს, შოთას საგამო-ფენო „სალონი“ გაქრა. არ მეგულება კლუბის წევრი, ოჯახში შოთა შანიძის ნახატი რომ არ ჰქონდეს. სამხატვრო აკადემიაში შოთა გიგლა ფირცხალავას მოწაფე ყოფილა. ამ ორი მხატვრის შესრულებული მეგობრული შარჟე-ბისთვის საგამოფენო „სივრცის“ შექმნა, წიგნის იდეაც გახდა. დიახ, მეორე ვერნისაჟი შოთამ შექმნა, რომლის პერსონაჟებს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ავტოშარჟი

შოთა შანიძე

ბატონი **თამაზ გამყრელიძე** - სემიტოლოგი, 1973-2005 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, შემდგომ საპატიო დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი 2005-2013 წლებში. არაერთი სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. ბონის და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. 1986-1988 წლებში ევროპის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი. თბილისის საპატიო მოქალაქე. ბატონი თამაზ გამყრელიძე ჩოგბურთს თამაშობს 1950-იანი წლებიდან. იგი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის რაც „დინამოს“ კორტებზე მომხდარა მისი აქტიური მონაწილე, ერთ-ერთი მასპინძელთაგანი იყო მსოფლიოში ცნობილი ჩოგბურთელების ლიუ ჰოუდის და პანჩო სეგურას თბილისში 1961 წელს სტუმრობისას. თამაზ გამყრელიძე ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი იყო. ბატონი თამაზი 90 წლის ასაკში შეელია ჩოგბურთს, იგი კუს ტბაზე სეირნობით შეცვალა.



აგული სოხაძე - ინჟინერ მშენებელი, მონაწილეობდა თბილისში სასტუმრო "საქართველოს"და სპორტის სასახლის მშენებლობაში, 1967-1973 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი პერსპექტიული განვითარებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში. 1981-1988 წლებში იყო „კავკაზელექტროქსელის" უფროსი ინჟინერი, 1995-2006 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრას. 2006 წლებში სათავეში ჩაუდგა სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტს. იგი იყო 170-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და პროფესორი.

„ღვინოს გემოთი, ფერით და ხმით აფასებენ. კარგი ღვინო განსაკუთრებულ ხმას გამოსცემს, სხვანაირად მღერის...“ ეს პროფესორ აგული სოხაძის სიტყვებია. ქართული სიმღერისა და ტრადიციების პატივისმცემელი ადამიანი 35 წელი „დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა. ის კლუბის დამფუძნებელი იყო. მისი 80 წლის საიუბილეო საღამოზე „დინამოს“ კლუბის წევრებისთვის გამოყოფილ მაგიდაზე იყო წარწერა: „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბი. გარდაიცვალა 2016 წლის თებერვალში, 84 წლის ასაკში.



გეიდარ ფალავანდიშვილი - ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. 1970 წლიდან მუშაობდა "საქსახწყალპროექტში". 1980 წლიდან წყალპროექტის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, "საქწყალპროექტის" გენერალურ დირექტორი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გადაღებულია ფილმებში: "ალავერდობა", "ვედრება", "ფერისცვალება", "ჯვარცმული კუნძული", "მთვარის მოტაცება". იგი ჩოგბურთს თამაშობდა 1970 წლიდან. „დინამოს“ კლუბის დამფუძნებელი, მოყვარულ ჩოგბურთელთა მრავალი ტურნირის გამარჯვებული იყო. აღესრულა 2012 წლის 6 მაისს... სწორედ მაშინ, როცა გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული 5 წუთის დამდგარი იყო... პირველ ივლისს 75 წლისა გახდებოდა.

ბატონი **ჯაბა კუბლაშვილი** - მშენებელი - სამრეწველო და სამოქალაქო მრეწველობის სპეციალობით. 1964 წელს მუშაობა დაიწყო როსტოვის სამონტაჟო-სამშენებლო ტრესტ "ფოლადკონსტრუქციების" სამმართველოში ინჟინრად, საამქროს უფროსად. შემდეგ იგი მუშაობდა რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორად, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ, მინისტრად. იყო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების მთავარი სამმართველოს ("საქმონტაჟსპეცმშენის") უფროსის მოადგილე. მივლინებული იყო თურქეთის რესპუბლიკაში ალუმინის ქარხნის მშენებლობაზე. წლების განმავლობაში ჩატარებული აქვს: რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქიმიური კომბინატის, თბილისის ჩარხმშენებელი და საავიაციო ქარხნების, თბილისის ტელეცენტრის, სატელევიზიო ანძის და სხვა სპეცდანიშნულების ობიექტების სამონტაჟო სამუშაოები. იყო სს ჰოლდინგური კომპანია "მონტაჟსპეცმშენის" ვიცე-პრეზიდენტი. ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი, „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თმაშობდა 1984-2009 წლებში. ჯაბა კუბლაშვილის 80 წლის იუბილე მისი ახალგაზრდობის მეგობრებთან ერთად იზეიმეს „დინამოს“ კლუბის წევრებმაც. თითქმის 82 წლისა ხალისიანად ურთიერთობს კლუბის წევრებთან.

ბატონ **რესან კონცელიძის** შესახებ ინფორმაცია მკითხველს ზემოთ მივაწოდეთ, როდესაც გიგლა ფიცხალავას „ჩოგბურთელების“ მეგობრული შარჟის ფრაგმენტები განვიხილეთ. დავამატებდი: როგორც ბევრმა კლუბის წევრმა, ჩოგანი თაროზე ჩამოდო, მაგრამ დღესაც, დიდი ხალისით და ინტერესით, ურთიერთობს კლუბის წევრებთან. რესან კონცელიძე „დინამოს“ კლუბის ამაგდარი გახლავთ.

ბატონი **გელა მუხაშავრია** - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი 1964 წელს დღეს გახლავთ საქართველოს პროქტოლოგიის ცენტრის დირექტორი. არის ავტორი

სახელმძღვანელოსი – „პროქტოლოგია" (1998), მონოგრაფიისა – "ჰემოროიდული დაავადებების ქირურგიული მკურნალობა" (2002) და 35 სამეცნიერო სტატიის ავტორი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე გელა მუხაშავრია ჩოგბურთს თამაშობდა 1978 წლიდან. იგი ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელია. 81 წლის ასაკში ხელმძღვანელობს საკუთარ სამედიცინო კლინიკას. გულთბილათ ურთიერთობს კლუბის წევრებთან. გურული და ქალაქური იუმორით ახალისებდა „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბს და დღესაც ასეთი იუმორით გამოირჩევა.

ბატონი **მიხეილ ესაკია** - სამთო ინჟინერი, 1974-1978 წლებში მუშაობდა საქართველოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1980-1987 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თამჯდომარის თანაშემწე, მათ შორის ზურაბ პატარიძისა 1980-1982 წლებში. 1987-1992 წლებში იყო საქართველოს საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილე, 1992-2003 წლებში საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. მონაწილეობდა თბილისის მეტროპოლიტენის „დიდუბის", „ნაძალადევის", „ვაგზლის მოედნის" მიწისქვეშა სადგურებისა და გადასარბენი გვირაბების, სარკინიგზო ხაზის მშენებლობაში, აგრეთვე საქართველოს რკინიგზაზე და საავტომობილო გზებზე განლაგე-

ბული გვირაბების მშენებლობაში და ექსპლუატაციაში. სამოყვარულო ჩოგ-ბურთს „დინამოს“ კორტებზე თამაშობდა 1980-2005 წლებში.

1991 წლის ივლისს ჩვენი კლუბი როცა ესტუმრა თურქეთის რესპუბ-ლიკას ბატონი მიხეილი და ამ სტიქონების ავტორი, ათი დღე სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით. ნათქვამია: ადამიანი გაიცნობა მოგზაურო-ბაში. ბატონი მიხეილი სხვა რაკურსით დავიანახე. ყოველ საღამოს, გვიანო-ბამდე, გულახდილად ვსაუბრობდით, ჩოგბურთზე, ოჯახზე, სამსახურის შესახებ. მან მიამბო იმ ავტოკატასტროფის შესახებაც, რომლის დროსაც საბ-ჭოთა საქართველოს პრემიერ მინისტრი ზურაბ პატარიძე დაიღუპა. ავტო-მანქანაში მეორე მგზავრი, ბუჭუ ბუაძე-საქართველოს მთავარ მომარაგების მინისტრიც მჯდარა, რომელიც არ დაზიანებულა. ბუაძის ნაამბობი მოყვა მიხეილ ესაკიამ. ავტოავარია გამოუწვევია მაღალი სიჩქარით მოძრაობას.

მიხეილ ესაკია, დღესაც, 81 წლის ასაკში გულთბილათ ურთიერთობს კლუბის წევრებთან.

ბატონი **ლადო პაპავა** - ეკონომისტი და მათემატიკოსი, 1977-1979 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართ-ლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 1991-1996 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; 1990-1996 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; 1982-1991 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და

სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი; 1994-2000 წლებში საქართველოს ეკონომიკის მინისტრი; 2003-2005 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მიკროეკონომიკური კათედრის გამგე; 2005 წლიდან ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის (აშშ) ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი; 2008 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. სამოყვარულო ჩოგბურთს „დინამოს“ კორტებზე თამაშობდა 1994-2005 წლებში. 1998 წელს მისი აქტიური მხარდაჭერით, კლუბის ზამთრის საჩოგბურთო დარბაზი გადაიხურა, კაპიტალურად განახლდა.

ბატონი **გურამ გალოგრე** 1990-1992 წელს გახდა ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტი საზოგადოებრივ საწყისებზე. მის საქმიანობას ზემოთ მოკლედ შევეხეთ. იგი სამი ათეული წელი მუშაობდა საქართველოს მთავრობასთან არსებული საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურ-

თიერთობების საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ. მისი საქმიანობა მაგალითია,იმისა როდესაც მისი კოლეგები მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი ხალხის მცირე დიასპორის, სამშობლოსთან, ოჯახთან და გვარის წარმომადგენლებთან დამაკავშირებელ საქმიანობას ეწეოდნენ. ბატონი გურამი წლების განმავლობაში იყო ამ კავშირების საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი. სამოყვარულო ჩოგბურთს „დინამოს“ კორტებზე თამაშობდა 1974-2004 წლებში. ეწინააღმდეგებოდა საჩოგბურთო სტადიონის დანგრევას. „დინამოს“ კლუბის წევრებმა დიდი პატივითა მივულოცეთ მას 80 წლის საიუბილეო დღე. დღესაც, 81 წლის ბატონი გურამი, დიდი ხალისით და ინტერესით, ურთიერთობს ყოფილი ჩოგბურთის კლუბის „დინამოს“ წევრებთან.



ბატონი **გრიგოლ (გრიშა) შონია** - ინჟინერ მშენებელი და სამხედრო კადრის ოფიცერი, მსახურობდა თბილისის ვაკის რაიონის მილიციის უფროსად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამამართველოს უფროსის მოადგილედ, მოგვიანებით, იყო საქართველოს

რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე - ოპერატიული სამმართველოს უფროსი, საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილე. მილიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, გრიგოლ შონია სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1978-2005 წლებში. იგი იყო „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის დამფუძნებელი. დღესაც, ასაკის მიუხედავათ სპორტულ ფორმაშია და დიდი ხალისით და ინტერესით ურთიერთობს კლუბის წევრებთან. მონაწილეობდა „დინამოს“ კორტების დანგრევის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში.



ალექსანდრე-ალეკო ტატიშვილი - დაამთავრა საქართ ველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი 1950 წელს; მოსკოვის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურა. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, საშენ მასალათა ინსტიტუტში - ბეტონის ტექნოლოგიისა და ნაკეთობების ლაბორატორიის გამგედ; იგი იყო საქართველოში და მსუბუქი ბეტონებისგან დამზადებული კონსტრუქციების გამოყენების ინიცია-

ტორი. 1973 წლიდან იყო სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება "საქსაშენ-მასალების" გენერალური დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 1978 წლიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის ტექნიკისა და ტექნოლოგიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიე რებათა დოქტორი. „დინამოს“ კორტების კლუბის წევრი, ჩოგბურთს თამაშობდა 1980 წლიდან. გარდაიცვალა 2007 წელს, 81 წლის ასაკში.

გურამ მაზანაშვილი - „მაზანა“ - ყოფილი წყალბურთელი. პოლიტექ-ნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, პარალე-ლურად საქართველოსა და საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრების წევრი გახლდათ. დაამთავრა მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ას-პირანტურა და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. „თბილპურის" მთავარი ინჟინერი, ჩოგბურთს თამაშობდა 1983 წლიდან. კლუბის დამფუძ-ნებელი. გარდაიცვალა 2013 წელს,74 წლის ასაკში.

თამაზ გოგავა - „ჟირაფა” "საქმთავარენერგოს" სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი, შემდეგ ტრესტის მმართველი. 1988 წლიდან იყო "საქენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილე. აქტიურად მონაწილეობდა ქალაქში მიმდინარე არაენერგეტიკული უწყების საცხოვრებელი სახლებისა და კულტურული ძეგლების მშენებლობაში. ხელმძღვანელობდა დედა ენის, პეტრე ბაგრატიონისა და გიორგი სააკაძის ძეგლების მშენებლობას. 1991 წელს დაინიშნა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მინისტრად, 1992 წელს - საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილედ, 1993 წელს - საქართველოს მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტიკის განყოფილების უფროსად, 1995 წელს - სათბობ-ენერგეტიკის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი. ჩოგბურთს თამაშობდა 1984 წლიდან. იყო კლუბის დამფუძნებელი. გარდაიცვალა 2013 წლის აგვისტოში, 75 წლის ასაკში.



ბატონი **გივი სიხარულიძე** - იყო სუხიშვილისა და რამიშვილის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტი, 1988-2006 წლებში სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლ "თბილისის" სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ბალეტმეისტერი. მონაწილეობდა ფილმებში: „გასეირნება", „ჭიდაობას რა უნდა", „ტურანდოტი", „ენკი-ბენკი", „უძინართა მზე", „მემკვიდრეობა", „აგვისტოს ხუთი დღე", ქართულ მრავალსერიან სატელევიზიო ფილმში „ცხელი ძაღლი". ფილმები მისი მონაწილეობით დაჯილდოვდა :ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვით", მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის „ნიკა"-ს პრემიით, სოჭის კინოფეს ტივალზე „გრანპრით" და საქართველოს საერთაშორისო კინოფესტი ვალის „ოქროს არწივით". გივი სიხარულიძე არის საქართველოს დამსახურებული არტისტი. ავტორია, რომან „იამურის", აგრეთვე ნოველებისა და ლექსების 17 წიგნის.

ახალგაზრდობიდან სხვადასხვა სპორტის სახეობით იყო გატაცებული. ჩოგბურთს თამაშობს 1985 წლიდან. არის მოყვარულ ჩოგბურთელთა მრავალი ტურნირის გამარჯვებული.

ბატონი **ზვიად კოვზირიძე** - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ტექნიკური უნივერსიტეტის ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. უნივერსიტეტის სენატისა და აკადემიური საბჭოს წევრი. „ბიონანოსამედიცინო, კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების ტექნოლოგია, ინსპექცია, კონტროლი" - მოდულის ხელმძღვანელი, ამავე კათედრასთან არსებული კონსტრუქციული და ელექტროსაიზოლაციო კერამიკის ტექნოლოგიური ბიუროს ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ბიონანოკერამიკული და ნანოკომპოზიციური მასალათმცოდნეობის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, კერამიკოსთა მსოფლიო ფედერაციის საბჭოს წევრი, ევროპის კერამიკოსთა საზოგადოების, როგორც არასამეწარმეო არამომგებიანი ორგანიზაციის დამფუძნებელი (2013 წ.) და ამავე საზოგადოების საბჭოს წევრი, საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალის „კერამიკა" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი; საერთაშორისო ჟურნალის „Journal of Ceramic Science and Technology" თანადამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი.

გამოცემული აქვს 11 მონოგრაფია გერმანელ და რუს თანაავტორებთან ერთად, მ.შ. ორი ინგლისურ ენაზე გერმანიაში. არის 240 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და 25 პატენტის მფლობელი.

1986-1990 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.

ამავე დროს ზვიად კოვზირიძე აქტიურად საქმიანობდა დიდ სპორტში. მას 25 წლის ასაკში, საბწოთა კავშირში მწვრთნელებს შორის ყველაზე ახალგაზრდას, და არამარტო აკადემიურ ნიჩბოსნობაში, არამედ სპორტის ყველა სახეობაში, მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. მისი სტატუსი სპორტში ასე გამოითქმებოდა: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი აკადემიურ ნიჩბოსნობაში!

სპორტის ამ სახეობაში აღზრდილი ყავს 12 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი და ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. აკადემურ ნიჩბოსნობაში ოთხი მისი აღზრდილი იყო სსრკ ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონები. მისი აღზრდილები, გივი ნიკურაძე, როგორც საბჭოთა ნაკრების კაპიტანი მონაწილეობდა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე, ხოლო ოლეგ ქაფიანიძე მონაწილეობდა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე.

„დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა 1983 წლიდან.

ბატონი ზვიადი დღესაც, ხალისითა და ინტერესით, ისევ თავკაცობს მოყვარული ჩოგბურთელების ურთიერთობებს და შეკრებებს.

ბატონი **ლეგი კალანდაძე** იყო კლუბის წევრი და დამფუძნებელი. 1979-1990 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო ვაჭრობის სამმართველოს სისტემაში საორგანიზაციო სამსახურის უფროსად. 1992 წლიდან იყო შპს „კალანდას“ გენერალური დირექტორი, 1996 წლიდან თბილისის ნაძალა დე-ვის რაიონში არსებული „ცეკავშირის“ სავაჭრო ფირმის დირექტორის მოად-გილეა, 2005 წლიდან მუშაობდა „ცეკავშირის“ გამგეობის საცალო, საბითუმო ვაჭრობისა და პურპროდუქტების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად. დღემდე საკუთარ ბიზნესს უძღვება. ჩოგბურთს თამაშობდა 1980 წლიდან, აქტიურად მონაწილეობდა „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის ცხოვრებაში. აგრძელებს ურთიერთობას ყოფილი კლუბის წევრებთან.

ბატონი **დავით ბაზღაძე** - 1971 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, 1975 წელს სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლა. 1975-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურში. 1995-2001 წლებში იყო შ.პ.ს "ესაბის" მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში. 2001-2002 წლებში გადაყვანილი იქნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, მინისტრის მოადგილედ. იგი უშიშროების გენერალია. 2002-2004 წლებში, ისევ, შპს „ესაბის" მრჩეველია სამართლებლივ საკითხებში, ხოლო 2004-2008 წლებში არჩეული იქნა საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრად. „დინამოს“კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თმაშობდა 1984 წლიდან 2009 წლამდე. არის მოყვარულ ჩოგბურთელთა მრავალი ტურნირის მონაწილე და გამარჯვებულიც.

ბატონი **გივი თალაკვაძე** - 12 წლიდან ვარჯიშობდა „დინამოს“ კორტებზე, მონაწილეობდა ახალგაზრდულ შეჯიბრებებში. 1970-1990 წლებში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, შემდეგ იყო საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს კპ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე და1994 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილე. 1998 წლიდან, როგორც ბევრი მეცნიერი, ისიც წარმატებულ ბიზნესში ჩაერთო. „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის დამფუძნებელი, როგორც ბიზნესმენი, იგი გახდა სამოყვრულო ჩოგბურთის ტურნირების ინიციატორი და სპონსორი.როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან 1999 წლის დეკემბერში „დინამოს“ კორტებზე მოაწყო „აბსოლუტ ჰოვარდ ენერჯის“ საშობაო თასის გათამაშება.



ბატონი **მურმან ქურიძე**-1978-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, არის მეცნი ერებათა დოქტორი,1983-1991 წლებში იყო კაჭრეთის ღვინის ქარხნის მთავარი ინჟინერ-ტექნოლოგი, 1991-1998 წლებში - თბილისის შამპანიურ ქარხნის დირექტორის მოადგილე. 2004-2008 წლებში საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის, საქართველოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრი. წლების განმავლობაში იყო კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. სამოყვარულო ჩოგბურთს „დინამოს“კორტებზე თამაშობდა 1983-2004 წლებში.

დავით, დათო გოცაძე - სკოლა დაამთავრა ქუთაისში, სამედიცინო განათლება მიიღო მოსკოვში,მუშაობდა მოსკოვში, რუსეთის საკავშირო ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის უროლოგიური განყოფილების მეცნიერ-ქირურგად, 1986 წლიდან იყო საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის უროლოგიის განყოფილების გამგე, ონკოლოგიის ეროვნული ცენ-ტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ონკოლოგ–ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დიდი იუმორის მფლობელი, ჩოგბურთის „დინა-მოს“ კორტებზე მოიყვანა გელა მუხაშავრიამ. თამაშობდა 1986 წლიდან. გულით უყვარდა ჩოგბურთი და შექმნილი საჩოგბურთო კლუბი, რომლის დამფუძნებელი თავადაც იყო.

2008 წლის 13 ნოემბერს, მოულოდნელად გარდაიცვალა 55 წლის ასაკში.

ნიკო მაისურაძე - ინჟინერ-არქიტექტორი. სიმბოლურია, რომ სადიპლომო ნაშრომით დააპროექტა დახურული ჩოგბურთის კორტები. საპროექტო ინსტიტუტიდან, რომელიც „დინამოს“ კორტებს გადაჰყურებდა, მივლინებული იქნა სახელმწიფო უშიშროების სისტემაში და სსრკ-ს დაშლამდე იქ მოღვაწეობდა. სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ ენას. უშიშროების პოლკოვნიკი შემდეგ, მოსკოვში ბიზნესით დაკავდა, მაგრამ გულმა სამშობლოსკენ გამოუწია და საქართველოში გაშალა თავისი საქმე. ჩოგბურთს თამაშობდა 1973 წლიდან, მისითამაშით ვერ იტყოდი, რომ იგი მოყვარული ჩოგბურთელი იყო, დახვეწილი ტექნიკა და უძლიერესი მოწოდება ჰქონდა. აქტიურად მონაწილეობდა „დინამოს“კლუბის ცხოვრებაში. იყო ლხინის დიდოსტატი გელა მუხაშავრიას და აგული სოხაძესთან ერთად, მისი აგებული გლდანის სახლი იყო კლუბის წევრთა არც თუ იშვიათი თავშეყრის ადგილი. ნიკო 65 წლის ასაკში, 2016 წელს უეცრად გარდაიცვალა.

ბატონი **მირიან ანდრიაძე** - სპეციალობით მერქნის დამუშავების ტექნოლოგი, ეკონომისტი. 1968-1997 წლებში მუშაობდა თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში-ტექნოლოგად, საამქროს უფროსად, მთავარ ინჟინრად და დირექტორად.1981-1986 წლებში იყო პატრიულ სამუშაოზე თბილისის პირველი მაისის რაიკომში. 1978-1981 წლებში მუშაობდა საქართველოს ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო სამმართველოს წამყვან სპეციალისტად. ისიც კორტების სიახლოვეს ცხოვრობდა და ბუნებრივია ჩოგბურთს დაეუფლა. დინამოს კორტებზე თამაშობდა 1978 წლიდან 2009 წლამდე, სანამ კორტებს დასანგრევად ტრაქტორები მიადგებოდა. როგორც თავად იხსენებს პირველი პარტნიორები ჩოგბურთში იყვნენ უნივერსიტეტის რექტორი ვაჟა ოკუჯავა და გიგლა ფირცხალავა. 1994 წელს შ.პ.ს. ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტად აირჩიეს. მისი პრეზიდენტობის დროს კლუბში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. იმ პერიოდში კლუბი ითვლებოდა საუკეთესო საჩოგბურთო კლუბად არამარტო საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების კლუბებს შორის. მისი და კლუბის წევრი ლადო პაპავას მონდომებით, მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ფონდიდან გამოყოფილი თანხით დახურული დარბაზის რბილი გადახურვა კაპიტალურად შეკეთდა. მირიან ანდრიაძე ჩოგბურთს

დღესაც თამაშობს, მაგრამ სხვა კორტებზე. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს ვეტერან მოყვარულ ჩოგბურთელთა ფედერაციას. მისი ეგიდით, იგი ქართველი სპონსორების მონაწილეობით, საქართველოს მასშტაბით აწყობს ბათუმსა და თელავის გარდა, მოყვარულ ჩოგბურთელთა შეჯიბრებებს რუსთავში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში, რითაც ხელს უწყობს ჩოგბურთის პოპულარიზაციას. იგი იყო „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების დანგრევის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე.

ბატონი **თამაზ ჯანუაშვილი**- ინჟინერ მექანიკოსი შრომით საქმიანობას ეწეოდა მარნეულში, შემდეგ თბილისის რამდენიმე ქარხანაში ოსტატად, საამქროს უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ, 1985 წლიდან იყო პარტიულ სამუშაოზეც. 1988-2005 წლებში მუშობდა თბილისის ქაღალდისა და საკანცელარიო ნაკეთობათა ფაბრიკაში ჯერ დირქტორის მოადგილედ შემდეგ დირქტორად. 2005 წლიდან უძღვება საკუთარ ბიზნესს. ჩოგბურთის თამაში დაიწყო 1994 წელს და „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბის წევრიც გახდა. აქტიურად მონაწილეობდა „დინამოს“ კლუბის

ცხოვრებაში. იგი სამოყვრულო ჩოგბურთის ტურნირების მონაწილე და სპონსორიც იყო.



ბატონი **მურმან შელია** - განათლებით ინჟინერი შემდეგ დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სკოლა. 1980 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს უშიშროების კომიტეტში. კურირებდა ახალგაზრდობას - უმაღლეს და პროფტექნიკურ სასაწავლებლებს, აგრეთვე სპორტს, კულტურას, მედიცინას. შესაბამისად, მათ პროფილურ სამინისტ-როებს. 1990 წელს, სსრკ უშიშროების სისტემაში, პირველი იყო ვინც თავისი ნებით დატოვა კომუნისტური პარტიის რიგები, რაც იმის ტოლფასი იყო - წასულიყო უშიშროების სისტემიდან. მიუხედავათ ზემდგომი ორგანოების მოთხოვნისა, არ გადაედგა ასეთი ნაბიჯი, იგი გამოვიდა კომპარტიიდან და დატოვა „კგბ“-ს სისტემა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან ხუთი წლის თავზე, 1996 წელს მიღებული იქნა ეროვნული უშიშროების სისტემაში და დაინიშნა, დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც იმუშავა 2008 წლამდე.

„დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა 1980 წლიდან. სამოყვარულო საჩოგბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობდა გახდა სხვადასხვა პრიზების მფლობელი. იყო „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის წევრი. აქტიურად მონაწილებდა არა მარტო კლუბის ცხოვრებაში, არამედ საქართველოში ჩოგბურთის განვითარებისთვის საჭირო საკითხების გადაწყვეტაში. 2017 წელს აირჩიეს საქართველოს ჩოგბურთის ფედარაციის გამგეობის თავმჯდომარედ. აქტიურ ურთიერთობებს აგრძელებს ყოფილი კლუბის წევრებთან.

ბატონი **ზაზა ბოკერია** - პროფესიით ექიმი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქალაქ რუსთავში სასწრაფო დახმარების ექიმად, 1980-იანი წლების დასაწყისში ნოდარ ახალკაცის თხოვნით ხელმძღვანელობდა თბილისის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ სამედიცინო-სამეცნიერო ჯგუფს. 1980-წლების ბოლოს მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში ფარმაკოლოგიური დეპარტამენტის დირექტორად, 1991-1992 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე. 1998-2000 წლებში დავით ყიფიანის თხოვნით მასთან

ერთად საქმიანობდა ბელგიის ქალაქ მეხელენის საფეხბურთო გუნდთან. შემდეგ თავად განაგრძო თანამშრომლობა ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბთან. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა სამი ათეული წელი. იყო კლუბის დამფუძნებელი. მონაწილეობდა „დინამოს“ კორტების დანგრევის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში.

ბატონი **გივი რუსიშვილი** - იურისტი, მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, თბილისის რაიონული საპასპორტო განყოფილების უფროსად. თითქმის 20 წელია საკუთარ ბიზნესს ეწევა. 1996 წლიდან „დინამოს“ კორტების კლუბის აქტიური წევრი იყო კორტების დანგრევამდე. იგი სამოყვარულო საჩოგბურთო შეჯიბრებების მონაწილე და პრიზების მფლობელიც გახდა. დღესაც ურთიერთობს ყოფილი კლუბის წევრებთან.

ბატონი **ვარდენი (ბაბუკი) კალანდაძე** -კვების მრეწველობის ტექნოლოგი. ბაბუკი კალანდაძე „დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა 1980 წლიდან. იყო კლუბის წევრი და დამფუძნებელი. მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სისტემაში უალკოჰოლო სასმელების საწარმოებებში მთვარ ტექნოლოგად, დირექტორად. 1989 წლიდან საკუთარ ბიზნეს უძღვება. არის შპს „კოკა-კოლა ბოთლეს ჯორჯიას“ ერთ ერთი დამფუძნებელი. აქტიურად მონაწილეობდა „დინამოს“ ჩოგბურ თის კლუბის ცხოვრებაში, როგორც კლუბის წევრი და სპონსორი. კლუბის სახელით მონაწილეობა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის ბურსას საჩოგბურთო კლუბის „ოქროს ჯეირანის“ წევრებთან მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებაში. დღესაც ურთიერთობს ყოფილი კლუბის წევრებთან.

ბატონი **ჯემალ ჯანაშია** - უშიშროების სამსახურის გენერალ-მაიორი, სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის ვაკისა და ისნის რაიონების პოლიციის უფროსად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკული ეროვნული ბიუროს ხელმღვანელად. პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი 2000 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სისხლის სამართლის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ჩოგბურთს თამაშობდა 1982 წლიდან. იყო ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი, სამოყვარულო საჩოგბურთო შეჯიბრებების მონაწილე და სხვადასხვა პრიზების მფლობელი. კვლავაც, დიდი ხალისით ურთიერთობს კლუბის წევრებთან.

ბატონი **რევაზ აიწურაძე** - 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1970-1973 წწ. იყო თბილისის რაგბის გუნდის „ლოკომოტივის" წევრი, რომლის შემადგენლობაში, სსრკ რაგბის 1972 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლელის მფლობელი გახდა. რაგბს რომ თავი დაანება, სამოყვარულო ფეხბურთი დაიწყო, მაგრამ 1975 წელს ავთო კეთილაძემ „დინამოს“ კორტებზე მოიყვანა და ჩოგბურთს დღესაც, 75 წლის ასაკშიც თამაშობს. 1982 წელს დაინიშნა საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტის კადრების სამმართველოს უფროსად. 1986 წელს კი საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

თბილისის რაგბის გუნდის წევრები: ზურაბ რეხვიაშვილი, რევაზ კეთილაძე, რეზო აიწურაძე, გოჩა აბაშიძე, ალბერტ ნაცვლიშვილი - 1970 წელი

1992 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, ბარსელონაში, საქართველოს გუნდს ხელმძღვანელობდა. 1993 წლიდან შპს „საქართველოს სპორტის“ დირექტორია. მან პოლიტიკასაც მიყო ხელი,მაგრამ ჩოგანს მაინც არ შეეშვა. დიდი ხალისით ურთიერთობს ყოფილი კლუბის წევრებთან.



ბატონი **შალვა შანიძე** - ინჟინერი,ყოფილი პარტიული მუშაკი, იყო ახალციხის ახალგაზრდული კომკავშირისა და პარტიის რაიკომის პირველი მდივანი. სსრკ-ს დაშლამდე ხელი მოკიდა საკუთარ ბიზნესს. 1996 წლიდან იყო „შპს „შალიკ-ჩილიკ მოტორსის“ დამფუძნებლი და მეწილე. ჩოგბურთს თამაშობდა 1981 წლიდან. იგი სამოყვარულო საჩოგბურთო შეჯიბრებების მონაწილე და სხვადსხვა პრიზების მფლობელია. 1994 წლიდან ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ დამფუძნებელი, სპონსორი და კლუბის აქტიური წევრი იყო. 2012 წლიდან ცხოვრობს აშშ-ში.

ბატონი **ბესარიონ ჭიჭინაძე** - „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე მოვიდა სამედიცინო ინსტიტუტის კორტებიდან 1996 წელს, სადაც ჩოგბურთის თამაში დაიწყო 1993 წელს 40 წლის ასაკში ცნობილი ჩოგბურთელის ვაჟა ღარიბაშვილის რეკომენდაციით. როგორც ძველმა ფეხბურთელმა, ჩოგ ბურთს მალე აუღო ალღო და ცოტა ხანში გახდა კლუბის ერთ-ერთი ლიდერი. მოპოვებული აქვს არცთუ ცოტა გამარჯვება ძირითადად წყვილთა და შერეულ თანრიგში.სპეციალობით ინჟინერ-მშენებელია. მუშაობდა თბილისის საქარხნო რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში, საქართველოს კონტროლის პალატაში, ხელმძღვანელობდა თბილისის „არქმშენინსპექციას“. ამჟამად მუშაობს სააქციო საზოგადოება ,,საქრუსენერგოში“ საპროექტო სამსახურის უფროსის მოადგილედ.



ბატონი **ფელიქს ჯანაშია** - ინჟინერ-ელექტრიკოსი. მუშაობდა საქენერგოს ტრესტ საქსოფლმშენებლობის სოხუმის N1 და სხვა სამმართველოების უფროსად. 45 წელი მუშაობს ენერგეტიკის სისტემაში. დღეს საქციო საზოგადოება „საქრუსენერგოს“ შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსია. ჩოგბურთს თამაშობს 1973 წლიდან.“დინამოს“ კლუბის წევრი, მოყვარულ ჩოგბურთელთა მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. მონაწილეობდა ქართველ და უკრაინელ მოყვარულ ჩოგბურთელთა ტრადიციულ შეხვედრებში, როგორც თბილისში, ისე კიევში. ყოფილ „დინამოს“ ჩოგბურთელთა კლუბის წევრებთან დღემდე არ დაუკარგავს ურთიერთობა.

ბატონი **იური ლომიძე** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, დღეს ბიზნესმენი. „დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთის თამაში ბავშობიდან დაიწყო. 1997 წლიდან მოყვარული ჩოგბურთელია. ცაცია მოთამაშე, მოყვარული ჩოგბურთელებისთვის მუდამ ისერიოზული მეტოქეა. სხვადასხვა ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულია. იყო „დინამოს“ ჩოგბურთის კლუბის აქტიური წევრი.



ბატონი **მერაბ ასათიანი** -კლუბის წევრთა მეგობარი შემდგომ კლუბის წევრი, ჩოგბურთს თამაშობდა 1985 წლიდან, მაგრამ იშვიათად. კლუბის აქტიური წევრი, წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ვაჭრობის

სამმართველოში, იყო რესტორან „მთაწმინდის“ დირექტორი, თბილისის სავაჭრო საწარმოთა რაიონული გაერთიანებების დირექტორი, უნივერმაღ „თბილისის“ დირექტორი, ბავშვთა სამყაროს დირექტორი, დღესაც მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. იყო ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ სპონსორი და კლუბის აქტიური წევრი. დღესაც, ურთიერთობს კლუბის წევრებთან.

ბატონი **გიზო გელეიშვილი** - 1985-86 წლებში იყო საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი. მეცნიერებათა კანდიდატი, გამომგონებელი. ჩოგბურთს თამაშობდა 1985 წლიდან. ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ ბოლო გენერალური დირექტორი, კორტების გასხვისების ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი პირი.

ბატონი **გურამ სვანიძე** არაჩოგბურთელი, ბიზნესმენი, ჩოგბურთის გულშემატკივარი, კლუბის დამფუძნებელი, 2001 წლიდან. დავით კოდუასთან მოლაპარაკების მონაწილე და ჩოგბურთის კლუბის წევრების სახელით წილების გასხვისების შუამავალი.



კუპიდონი და ორფეი - შალვა შანიძე და აგული სოხაძე, როგორც განუყრელი მეწყვილეები ჩოგბურთში და დომინოში, შოთა შანიძემ მათი მეგობრული შარჟი ასე გამოსახა.

შალვა ჟორჟოლიანი, ეკონიმისტი, თბილისის კიროვის რაიონის ფინგანის უფროსის ყოფილი მოადგილე. იგი ცხოვრობდა კორტეების მოპირდაპირე მხარეს, მეგობრობდა უფროსი თაობის ჩოგბურთის მოყვარულებთან და 1980 წლიდან, მას მერე რაც კორტებს „საუნა“ და ბარი მიემატა, ხშირად იქ, მეგობრებს სტუმრობდა.იგი დომინოს უბადლო ოსტატი იყო და მამია მეგრელიშვილის მეწყვილედ ხშირად თამაშობდა. ამავე დროს მეგობრებს ჩოგბურთში ქომაგობდა. აღიარებული იქნა კორტების კლუბის წევრად და შოთა შანიძის გალერეაშიც მოხვდა. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა კიროვის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში. გარდაიცვალა 2006 წელს, 80 წლის ასაკში.

კლუბის ბარის ბარმენი - ზუხრაბ ტომაევი - მისი დაყენებული ჩაი ჩოგბურთისა და „ფინური“ აბანოს შემდეგ მეტად საამო იყო. ზუხრაბი ცნობილი „კოლმეურნეობის ბაზრის“ საჩაიეს განაგებდა, მაგრამ კლუბის წევრების თხოვნით, კორტების ბარში 1997 წლიდან შეუდგა ჩაის დაყენებას. იგი კორტების მოპირდაპირე უბანში „იარმურკა“-ში (ამჟამად ორბელიანის მოედანი) ცხოვრობდა.

ზუხრაბის და ქალბატონი დონარა კლუბის მოლარედ მუშაობდა და მას უფლება ჰქონდა ბარში შესულიყო და საწევროს შესატანი თანხა, „ურჩი“ ან „გულმავიწყი“ გადამხდელებისთვის იქვე მოეთხოვა.

ბატონი **ზურაბ შარია** - რუსთაველის თეატრის მსახიობი 1993 წლიდან. 1988-92 წ.წ. დაამთარა თეატრალური ინსტიტუტი, თეატრისა და კინოს მსახიობის სპეციალობით. მისი პედაგოგი იყო ცნობილი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მან ასევე დაამთავრა ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ბიზნესის უმაღლესი სკოლის" იურიდიული ფაკულტეტი სპეციალობით საერთაშორისო სამართალი. იგი არის საქართველოს კულინარიული გილდიის საპატიო წევრი, წყალქვეშა ვიდეოოპერატორი და დაივმასტერი. იქვე კორტებთან, სანაპიროს N2-ში ცხოვრობდა და ჩოგბურთს ბავშობიდან თამაშობდა. როგორც მოყვარული ჩოგბურთელი, სხვადასხვა ტურნირებში წარმატებით მონაწილეობდა. ზურაბ შარია ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ წევრი იყო და „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების დანგრევის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდა.



ბატონი **დავით (ფაშა) შამილაძე** - ფაშა ბესო ჭიჭინაძეს მოყვა კორტებზე და ადგილიც დაიმკვიდრა. ფაშა ერთ-ერთია კლუბში, რომელმაც დიდი ანგარიშით სძლია ცნობილ ჩოგბურთელს ალექსანდრე მეტრეველს... დომინოში. 1996 წლიდან 2009 წლამდე კლუბის აქტიური მონაწილე, ჩოგბურთის გულშემატკივარი და მუდმივი მაყურებელი.

დავით შამილაძე - ფაშას კლუბში გამოჩენით,აღორძინდა უფროსი თაობის მოყვარული ჩოგბურთელების, მაგიდაზე გასართობად მიღებული თამაში - დომინო. დომინო აზარტული თამაშია და ჩოგბურთის შემდეგ, დაღლილი კლუბის წევრები კლუბის ბარში 1996 წლიდან დიდი ხალისით ვეჯიბრებოდით ერთმანეთს დომინოში. ამ „სპორტით“ ალექსანდრე მეტრეველი ადრეც იყო დაინტერესებული და როცა თბილისში, კორტების ბარში გამოჩნდებოდა, დომინოთიც ხალისობდა. ფაშას ჩოგანი არც ჰქონია, შესაბამისად ჩოგბურთს არ თამაშობდა, მაგრამ კორტების კლუბის სტუმრებთან ხშირად იკვეხნიდა, რომ ალიკა მეტრეველთან მას არ წაუგია. ვინც საქმის კურსში არ იყო, ჩაგვეკითხებოდა: მართალს ამბობს? ჩვენც სიმართლეს ვადასტურებდით, მაგრამ სიტყვას დომინოს, მხოლოდ იმ დროს ვახსენებდით, როცა სტუმრის გაოცება კულმინაციას მიაღწევდა.

ჩოგბურთის თამაშის შემდეგ მივიჩქაროდით ბარში, სადაც 1980 წლიდან ერთი მრგვალი მაგიდა იდგა, რომელსაც დომინოს სათამაშოდ შემოვუსხდებოდით. ვინც ფინიშზე გავიდოდა ანგარიშს „ჩოთქზე“ ჩამოყრიდა.

დომინოს თამაში საანგარიშო „ჩოთქის“ გარეშე, აზარტს კარგავდა. დომინოს რიგში მდგომნი, წაგებულ წყვილს ჩაანაცვლებდნენ. დომინო, სულ უფრო „დაუნდობელი“ ხდებოდა ორი წყვილი მოთამაშის ნაცვლად, ერთმანეთს სამი მოთამაშე, თითოეული თავისთვის, ექიშპებოდა და ერთი წაგებულის ადგილს, რიგში მდგომი მოთამაშე იკავებდა. ამ მეთოდს ვიყენებდით ზამთარში და წვიმიან შაბათ-კვირას. კლუბის ბარში მოყვარული ჩოგბურთელები, დომინოს მაგიდის „წრეში“ ვცდიდით ჩვენს ფორტუნას, ბედ-იღბლის ღვთაებას.

2002 წელი, თამაშობენ: გივი თალაკვაძე, ფაშა-დათო შამილაძე, ჯაბა კუბლაშვილი. რეზო აიწურაძე ადგილის მოლოდინში

ჩემს მსგავსებას მეგობრულ შარჟთან ვერ ვხედავ, მაგრამ შოთა შანიძე ამას მიმტკიცებს. ყოველ შემთხვევისთვის სხვადასხვა წლების ფოტოები წარმოვადგინე- მე - **რიჩარდ ჯაში** და ჩემი შარჟი.

თბილისის „დინამოს“ ჩოგბურთის კორტზე პირველად ვითამაშე 1967 წლის ოქტომბერში. განათლებით ეკონომისტი, 1971-1992 წლებში ვმუშაობდი საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს აპარატში, შემდეგ სისტემის სხვადასხვა საწარმოთა დირექტორად. 1987-1990 წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრიც გახლდით.1992-1996 წლებში ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიულ სამსახურში, უფროსის თანაშემწედ შემდეგ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიულ სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განყოფილების უფრისად. 1996-2009 წლებში - ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახელმწიფო საგადასახადო აუდიტად. დღესაც აუდიტორიული საქმით ვარ დაკავებული. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს ვთამაშობდი თითქმის 40 წლის განმავლობაში.

დასანანია რომ, შოთა შანიძემ ვერ შეძლო კლუბის წევრთა სრული შემადგენლობის მეგობრული შარჟების შექმნა.

1990-ანი წლებიდან კორტებზე ჩვენთან ურთიერთობდნენ ახლად შემომატებული ჩოგბურთის მოყვარულები, რომლებმაც ჩოგბურთის თამაში თითქმის კორტების დანგრევამდე გააგრძელეს. მათთან ერთად ბევრი საჩოგბურთო შეხვედრა ჩავატარეთ. ჩოგბურთში მათი პარტნიორობა პატივად მიგვაჩნდა. თავს ვალდებულად ვთვლი მათ შესახებ წარმოვადგინო რაც დამამახსოვრდა და რა ცნობებიც ინტერნეტსივრცეში მოვიპოვე. ამასთან, მომიტევონ, რამეთუ ისინი წიგნში, მათ დაუკითხავად შევიტანე.

ბატონი **ირჟი ნეკვასილი** - 2000-2005 წლებში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, დიპლომტიურ სამსახურამდე იყო ჩეხეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, გენერლ პოლკოვნიკი. თბილისში ჩამოსვლისთანავე კლუბის დამფუძნებელმა თეიმურაზ გედევანიშვილმა „დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთის სათამაშოდ მოიწვია. იგრძნო რა კლუბში შექმნილი ატმოსფერო, მოიხიბლა კლუბის წევრთა ურთიერთობით, თავადაც სურვილი გმოთქვა კლუბის წევრი გამხდარიყო. ხუთწლიანი ურთიერთობის შემდეგ, უკვე ჩეხეთის ელჩი ავღანეთში, თბილისში ჩამოსვლისას კორტებს სტუმრობდა. დღეს ცხოვრობს პრაღაში და „დინამოს“ ყოფილ საჩოგბურთო კლუბის წევრებთან აგრძელებს მეგობრულ ურთიაერთობას. ცოლად შეირთო ქართველი ქალბატონი ნანა კობალაძე. სისტემატურად ჩამოდის თავის სახლში, წავკისში.

ბატონი **ვალერი ჩეჩელაშვილი** - ეკონომისტი, დიპლომატი,1989–1994 წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი. 1994–1998 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინასა და მოლდოვის რესპუბლიკაში.1998 წელს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. 2000–2004 წელბში მუშაობდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) გენერალურ მდივნად; 2004- 2005 წელბში იყო საქართველოს საგანგებო და სრულ უფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 2005 წლის თებერვალში დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად, 2005–2007 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეა. 2007 წელს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (GUAM) გენერალური მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა.

„დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1985-2009 წლებში. იყო თბილისსა და კიევში ჩატარებული ქართველ და უკრაინელ ჩოგბურთის მოყვარულთა ტრადიციული ტურნირების ინიციატორი, ორგანიზატორი, მონაწილე და პრიზების მფლობელი.

მიხეილ ჭიაურელი, დიდი მიხეილ ჭიაურელის მოსახელე შვილიშვილი, მას არაერთი ფილმი გადაუღია სპორტულ თემატიკაზე, მათ შორის მხატვრული ფილმი "ჭიდაობას რა უნდა". დოკუმენტური ფილმები სპორტის მრავალ სახეობაზე, ქართულ-ბრაზილიური ფილმი „პელე... მე ვარ ბიჭო, მე!!!“, „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია".

„დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1990-2009 წლებში. სამოყვარულო ტურნირების მონაწილეა და დღესაც მონაწილეობს.

ბატონი **მამუკა მიქელაძე** - მოხატული აქვს ათი ეკლესია საქართველო ში და ერთიც საფრანგეთში (პარიზის წმინდა თამარ მეფის ტაძარი). მათ შორისაა ქვაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კარიბჭე, ბოდბის დედათა მონასტრის სატრაპეზო, ბიწმენდის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძარი, საბურთალოს ძმათა სასაფლაოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, კაკაბეთის ხარების ეკლესია, დიღომში, წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი, ჭრებალოს წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, სალხინოს (მარტვილის რაიონი) წმინდა გიორგის ტაძარი.მან შექმნა მრავალი ფერწერული ტილო და საეკლესიო წმინდანების იკონოგრაფია. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1990-2009 წლებში. სამოყვარულო ტურნირების მონაწილეა.

ბატონი **თემურ ხუროძე** - პროფესორი იყო თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექ-ტორი, „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგ-ბურთს თამაშობდა 1990-2003 წლებში.



ბატონი **გია ქინქლაძე** - მათემატიკოსი და პოლიტოლოგი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა რამდენიმე ათეული წლები. იგი ჩოგბურთის კლუბს 1997 წელს შემოუერთდა. უკანა ხაზის ძლიერ მოთამაშეს მოყვარული ჩოგბურთელის დონეზე კარგი შედეგები ჰქონდა. 2002 წელს მას თავის ტვინში სიმსიმნე აღმოაჩნდა. გია და მისი ოჯახი დაავადების წინა-აღმდეგ მებრძოლი ძლიერი გუნდი აღმოჩნდა: ნეიროქირურგიული ოპერაციისა და ქიმიური

თერაპიის შემდეგ, გია არამარტო ოჯახს და საქმეს დაუბრუნდა, არამედ ჩოგბურთსაც. წლების მანძილზე იგი იყო სამოყვარულო ჩოგბურთის მრავალი ტურნირის მონაწილე და პრიზიორი. დღესაც 72 წლის ასაკში ჩოგბურთს ვერ ელევა.

ბატონი **ირაკლი მათითაშვილი** - (კომპოზიტორა) დაამთავრა პოლიტექნიკური უნივერსიტეტი. მუშაობდა გაერთიანება „თბილპურის“ მთავარ ენერგეტიკად. არის თვითნასწავლი მუსიკოსი, 2007 წელს შექმნა დინამოს ჩოგბურთის კლუბის ჰიმნი „ჩვენი (ტენისის) ჰიმნი'' და გადაიღო კლიპი. „დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთის თამაში დაიწყო 1980 - იანი წლების დასაწყისში. 4-5 წლის განმავლობაში, ყოველ დილით, რამდენიმე საათი სავარჯიშო კედელთან იდგა, შემდეგ გადაინაცვლებდა კორტზე. „დინამოს“ ჩოგბურთელთა ყოფილი კლუბის აქტიური წევრი, სამოყვარულო ტურნირების მონაწილე წყვილთა თანრიგში და პრიზების მფლობელია. ირაკლი მათითაშვილის სიტყვებია: „კორტებზე თამაშის პერიოდში გავიცანი ბევრი საინტერესო ადამიანი - მოყვარული ჩოგბურთელი, მათთან ურთიერთობით ვამაყობ, ვარ ბედნიერი და ჩოგბურთის კლუბის მადლიერი“.

ბატონი **კარლო მეზურნიშვილი** - ბიზ-ნესმენი, „დინამოს“ კორტებზე პირველად 1990 წელს დადგა. სტუდენტობის დროს ჰქონდა მცდელობა ფიზკულტურის ინსტიტუტის კორ-ტებზე სპორტის ეს სახეობა შეესწავლა. და მაინც, „დინამოს“ კორტებზე მოსვლისთანავე სავარჯიშო „კედელზე“ მოუწია ვარჯიში. ცოტა ხანში, „ოსტაოტობის ამაღლების“ შემდეგ, ყველასათვის სასურველი მეწყვილე გახდა. „დინამოს“ კორ-ტების კლუბთან ურთიერთობის პერიოდში საქმიანობდა საბანკო სფეროში - კერძოდ გაერთიანებულ ქართულ ბანკში, შემდეგ ბიზნეს საქმიანობა

გააგრძელა შპს „თეთრი ქალაქი პლუს“-ში. კორტების კლუბ „დინამოს“- თან ურთიერთობის 17 წლიან პერიოდში, მრავალი სამოყვარულო ტურნირების მონაწილე და პრიზების მფლობელი გახდა.

ბატონი **იური წივწივაძე** - ექიმი სტომატოლოგ-თერაპევტი, მოყვარული ჩოგბურთელია. ჩოგბურთის თამაში დაიწყო ბავშობიდან, ვერ დავაზუსტედ სად, მაგრამ „დინამოს“ კორტებზე, 1999 წელს როდესაც გამოჩნდა, აშკარად ეტყობოდა ძველი სკოლა. ჩოგბურთელთა სხვადასხვა ტურნირებში მრავალგზის გამარჯვებული „დინამოს“ კორტების დანგრევის შემდეგ, ჩოგბურთის თამაშს აგრძელებს, კვლავ ფორმაშია. წივწივაძე ვაკის რაიონის გამგეობის ორგანიზებით, „მზიურის“ კორტებზე ჩატარებული შეჯიბრის „ვაკის თასი - 2018-ის“ ვერცხლის პრიზიორი გახდა.

თეიმურაზ კოდუა - ჩერნობილის კატასტროფის შედეგების ლიკვიდატორი ექიმი. 1986 წლის 6 მაისს ჩერნობილში სამუშაოდ გაიგზავნა ქართველი ექიმების ჯგუფი. მათ შორის იყვნენ 30 წლის თეიმურაზ კოდუა და მისი მეუღლე. თეიმურაზი 1989-2009 წლებში „დინამოს“ კორტებზე ჩოგბურთს თამაშობდა. იგი სისხლის დაავადებით 2015 წელს, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. უფრო ადრე, რადიაციით გამოწვეული დაავადებისაგან მისი მეუღლე გარდაიცვალა. ატომური კატასტროფის შედეგად 20 წლის მანძილზე 5 ათასი დაღუპულ ლიკვიდატორთა ჩამონათვალში, ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ წევრის თეიმურაზ კოდუას ოჯახიც შედის.

ბატონი **მერაბ მაჭავარიანი** - მეცნიერებათა დოქტორი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ყოფილი სამინისტროს ეროვ-ნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1989-2003 წლებში.იგი სამოყვარულო ტურნირების მონაწილე და პრიზების მფლობელია.

ბატონი **ზურაბ სარაჯიშვილი**, (ფრანცისკო) მოყვარული ჩოგბურთელი, „დინამოს“ კორტებზე თამაშობდა 1998-2009 წლებში. იგი, როგორც თავად იტყოდა, უდიპლომო ინჟინერი იყო, დიპლომი არ აუღია. მუშაობდა ინჟინრად „მიონში“, საამშენებლო სამმართველოებში. გარკვეული წლები საკუთარ საქმეს უძღვებოდა. როგორც მოყვარული ჩოგბურთელი, სტაბილური თამაშით გამოირჩეოდა.

ბატონი **გიორგი კერესელიძე**-1995-2000 წლებში ბიზნესმენი, 1998 - 2007 წლებში იყო შპს „ისთერნ პრომოუშენის“ გენერალური მენეჯერის მოდგილე, საქართველოში ჯაზ-ფესტივალების ორგანიზატორი. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1997-2005 წლებში.

ბატონი **ვალერი ფანცულაია** - იურისტი, პიარსპეციალისტი, „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1997-2008 წლებში.

ბატონი **რამინ მითაიშვილი**- საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე; შპს „საქართველოს რკინიგზის „გენერალური დირექტორის მოდგილე. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა 1997-2003 წლებში.

ბატონი **ილია (ნუკრი) ზაქარიაძე**- „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს როცა თამაშობდა 1988-2003 წლებში, იგი მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ.

ბატონი **თამაზ აქუბარდია** - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი. 1995-1999 წლებში საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდგომ იყო ეკონომიკის მინისტრის მოადგილე. ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობ და 1997-2003 წლებში.

ის საზოგადოება, რომელი წინამდებარე წიგნში თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბის მოყვარულ ჩოგბურთელებად წარმოვადგინე, ამასთან მათ ძირითადი საქმიანობის შესახებ მოკლე ინფორმაციებიც მოგაწოდეთ, დარწმუნებული ვარ იმსახურებს ბევრად ნიჭიერი შემოქმედის კალამს. ფაქტია რომ უმეტესი პიროვნება, კარგა ხანია სათანადო დაფასებით წარმოდგენილია სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემებში, სამეცნიერო მონოგრაფიებში და პუბლიკაციებში.

„დინამოს“ საჩოგბურთო კლუბში, ბევრი კარგი ჩოგბურთის მოყვარული თამაშობდა, რომელთა გვარი და სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს.

კლუბში მთავარი ჩოგბურთი იყო!

და მაინც, კლუბში მთავარი ჩოგბურთი იყო! ყოველკვირეულ შეხვედრებს, სხვადასხვა სპონსორების მიერ წახალისებული შეჯიბრებები ენაცვლებოდა. ტურნირები ხალისითა და აზარტით მიმდინარეობდა. გამარჯვებულთა დაჯილდოებას მძაფრი ემოციები ახლდა, განურჩევლად ასაკისა. მემორიალურ ტურნირებს, რომლის ორგანიზატორებად კლუბის ხელმძღვანელობა და სპონსორები გვევლინებოდნენ, სერიოზულად ვეკიდებოდით, რადგანაც ეს იყო პატივის მიგება გარდაცვლილი კლუბის წევრის ხსოვნისადმი.

შეჯიბრებების და გამარჯვებულთა დაჯილდოებების ამსახველი ფოტოები წლების განმავლობაში ბევრი დაგვიგროვდა. წიგნი ყველა ფოტოს ვერ დაიტევს. კლუბში, თუ როგორი სპორტული ცხოვრება იყო, მაგალითის სახით, ქვემოთ მოტანილი ფოტოებიდან მოჩანს და ისიც, თუ როგორი სილამაზით გამოირჩეოდა თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები.

რენა აბჟანდაძის მემორიალი, წყვილებში
გამარჯვებულები გეიდარ ფალავანდიშვილი
და ფელიქს ჯანაშია

შერეულ წყვილში გამარჯვებულები
ვერიკო თუხარელი და ბესარიონ ჭიჭინაძე

შეჯიბრების მონაწილეთა სამახსოვრო ფოტო

ვერიკო თუხარელი და ბესარიონ ჭიჭინაძე შერეულ წყვილებში თამაშის დროს.
უკანა პლანზე რიჩარდ ჯაში

რენა აბჟანდაძის მემორიალის ტურნირის მონაწილენი 2002 წელი.

ვერცხლის მედლებისთვის მებრძოლი „შეხმატკბილებული“
წყვილი ჯემალ ჯანაშია და შალვა შანიძე

ენერგიის „აღდგენა“



ფელიქს ჯანაშია, გეიდარ ფალავანდიშვილი, კარლო მეზურნიშვილი, გია სიხარულიძე, თელავი 2007 წელი, „ფარჩოს“ მემორიალი

თელავი, 2009 წელი, „ფარჩოს“ მემორიალი
რიჩარდ ჯაში და იური ლომიძე თამაშის დროს

გამარჯვებულები - რიჩარდ ჯაში
და იური ლომიძე

თელავი, 2009 წელი, „ფარჩოს“ მემორიალის მონაწილეები

ყოველ მზიან ამინდში „დინამოს“ კორტებზე ხალხმრავლობა იყო

ყოველ მზიან ამინდში კორტებზე მუდამ ხალხმრავლობა იყო. ჩოგ-ბურთის მოყვარულებს კორტების დასაკავებლად, შედგენილი გრაფიკით განკუთვნილი დრო ჰქონდათ. სამოყვარულო ჩობგბურთის ტურნირები კლუბთან შეთანხმებული გრაფიკით მიმდინარეობდა. შეჯიბრებებს თავი-სი მაყურებლები ჰყავდა.

კლუბის წევრები და სტუმრები: ფელიქს ჯანაშია,
რიჩარდ ჯაში, ალექსანდრე ჯაში, ლუდმილა რეხვიაშვილი,
აგული სოხაზე, შოთა შანიძე. 2007 წლის ივლისი

ბატონი გელა მუხაშავრია შეჯიბრისთვის მუდამ მზადყოფნაში იყო

ბესო ჭიჭინაძე, იური წიწვწივაძე, გელა მუხაშავრია 2007 წელი

ლანა ღოღობერიძე, რომელიც ნახევრი საუკუნე ჩოგბურთს
თამაშობდა, ქალიშვილთან ერთად თამაშს აკვირდება.
უკანა პლანზე აგული სოხაძე, 2007 წელი

2007 წელი, ალიკო ტატიშვილის მემორიალი. შერეული წყვილი ლიკა ტამიროვა
და 69 წლის გელა მუხაშავრია თამაშის ტაქტიკას ათანხმებენ

ალიკო ტატიშვილის მემორიალი: ზაზა ბოკერია და ნანა ლადო-მესხიშვილი მოედნის შეცვლისას

ერთ - ერთი შერეული წყვილი კარლო მეზურნიშვილი და ?

მურაზ ხუდოევი და ზურაბ შარია
კორტების ბაღნარში

ლიკა ტამიროვა და გელა მუხაშავრია ალეკო ტატიშვილის ხსოვნის ტურნირის გამარჯვებულები

აი ასეთ, სიცოცხლითა და ხალისით სავსე ადგილს 2010 წლიდან სხვა ფუნქცია მიეცა. კლუბის წევრთა დამოკიდებულება „დინამოს“ კორტების დანგრევასთან დაკავშირებით, ცხადია უარყოფითი ოყო, ამასთან, გულდასაწყვეტი ფაქტი, რომელმაც ნაღვლიანი მოგონებები დაგვიტოვა. ვგრძნობდით კორტების მიმართ სახელმწიფოს მიდგომა, არ იყო გამართლებული, რასაც კლუბის წევრები ვაპროტესტებდით, მაგრამ იგი არც ქვეყნის ტრაგედიად მიგვაჩნდა.

ნამდვილი ტრაგედია კი ორი წლით ადრე, 2008 წლის აგვისტოში დატრიალდა, ცხინვალის რეგიონში გაყინული კონფლიქტი, თანდათან გაღვივდა და რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა. ოსეთის ავტონომიის ხელმძღვანელობამ, ცხინვალიდან მოსახლეობა გაიყვანა რუსეთის ფედერაციის ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკაში.შემდეგ, ოსები ქართული სოფლებს რამდენიმე დღე არტილერიით ბომბავდა. 7 აგვისტოს საქართველომ, როგორც ქართული სარდლობა აცხადებდა, რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის“ დამყარების მიზნით ცხინვალზე სამხედრო ოპერაცია

დაიწყო. ქართველთა იერიშის საპასუხოდ, მეორე დღეს რუსეთის ფედერაციამ ცხინვალის რეგიონში ჯარი და მძიმე ტექნიკა შეიყვანა. ამავე დროს რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსულმა გემებმა საქართველოს შავი ზღვისპირეთი ჩაკეტეს. სახმელეთო ჯარები და პარაშუტისტები გადმოსხეს და დასავ ლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შემოიჭრნენ. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხზურმა ძალებმა კოდორის ხეობაზე თავდასხმით მეორე ფრონტი გახსნეს. ხუთი დღის მძიმე ბრძოლების შემდეგ ქართული ჯარები განდევნილ იქნენ ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან. საერთაშორისო ძალისხმევით, მხარეებმა 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს. შედეგად, აფხაზეთში კიდევ დავკარგეთ კოდორის - დალის ხეობა, ოსეთში ლიახვის ხეობიდან აიყარა ქართული მოსახლეობა. საქართველოში 1920-1930 წლებში შექმნილმა აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და სამხრეთ ოსეთის შეზღუდულმა ავტონომიურმა წარმონაქმნმა თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადეს. რუსეთის ფედერაციამ კი ორ კვირაში, ერთპიროვნულად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მოგვიანებით, იქ თავისი სამხედრო ბაზები განათავსა.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდა. 2008 წლის 9 აგვისტო კლუბის წევრებს კარგად დაგვამახსოვრდა, კორტებზე თავშეყრილნი ინფორმაციას ტელვიზიით ვღებულობდით, რა ელოდა საქართველოს, რომელიც მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ნამდვილად საფიქრალი იყო.

წიგნის დასაწყისში აღინიშნა,რომ კლუბის წევრები იმ დროის მომსწრენიც ვართ, როცა ქვეყანაში მშვიდობიანი და ლაღი ცხოვრება გვქონდა, მაგრამ 1989 წლიდან დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტები, თითქოს დაგეგმილი, ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. საქართველოს სახელმწიფოს ჭრილობები დღესაც, ქართველების, აფხაზებისა და ოსების მოუშუშებელი ტკივილია.

უშედეგო საპროტესტო აქციები

მას მერე რაც თბილისის „დინამოს“კორტების აქციონერებმა საკუთრება დავით კოდუაზე გაასხვისეს, „რადიო თავისუფლების“ 2010 წლის 22 დეკემბერის ინტერნეტგაზეთში, ჟურნალისტ ეკა ქევანიშვილის ასეთი სტატია გაჩნდა: **„ ხმაური "დინამოს" კორტების გარშემო“**. სტატია გვაუწყებდა: **„თბილისში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტები თვეზე მეტია დაკეტილია. კორტების ადგილას ტერიტორია გაჩეხილია და ახალი მშენებლობისათვის მზადდება..**

ფოტოზე: ულამაზესი „დინამოს“კორტების
მიწასთან გასწორების პროცესი

ქალაქის ამ რეკრეაციული ზონის განადგურებას კი არასამთავრობო ორგანიზაციები და რამდენიმე პოლიტიკური პარტია აპროტესტებენ. მორიგი საპროტესტო აქცია მერიასთან 22 დეკემბერს გაიმართა. ხელისუფლება კი ამბობს, რომ ცხრა თვეში დინამოს კორტების ნაცვლად თბილისს ახალი, სუპერთანამედროვე საჩოგბურთო კომპლექსი ექნება. იმ

ადგილს, სადაც თბილისის ყველაზე ცნობილი ჩოგბურთის კორტები იყო, ეს სახელი, ალბათ, კიდევ დიდხანს შერჩება. თუმცა თავად კორტები იქ აღარ იარსებებს.“

...ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ლეილა მესხს, ვკითხეთ: როგორ მოხდა, რომ კორტები ერთ მშვენიერ დღეს გასხვისებული აღმოჩდა და ამას წინ ვერავინ აღუდგა, ან სად იყო ამ დროს ჩოგბურთის ფედერაცია. ლეილა მესხი მოგვითხრობს, რომ კორტების მფლობელები, აქციონერები ჯერ კიდევ 1995 წელს დინამოს კორტებზე მომუშავე ადამიანები გახდნენ. შემდეგ მათ ეს აქციები გაყიდეს. შემდეგ კიდევ ახალი მფლობელი გამოჩნდა, კონკრეტულად, ლაურა ღაჭავა, ვის საკუთრებაც გახდა შპს საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ 98.15% წილი.[1] ფაქტია, კორტების ტერიტორია ახლა სხვისია.

...კორტების ტერიტორიის გასხვისებამ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია ”თბილისის ჰამქარის” წარმომადგენელი ალექსანდრე ელისაშვილი ამბობს, კიდევ ერთი პრობლემა წარმოშვა: დაზიანდა ქალაქში რეკრეაციული ზონა. **„ეს არის რეკრეაციული ზონა და, სულ მცირე, ეს სტატუსი უნდა მოუხსნა, თუ რამეს უპირებ. ეს კიდევ ცალკე დავის საგანია - რატომ უნდა მოუხსნა, როცა ასეთი ადგილი გაქვს შუა ქალაქში. 180 ხე მოჭრეს. ვინც ეს გააკეთა, ციხეში უნდა იჯდეს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალაქის ცენტრში არსებულ კორტებზე, რომელიც ლავრენტი ბერიას დროს, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გააკეთეს.რატომ უნდა ააშენო ამ ადგილას მაინცდამაინც რაღაც შენობა? და კონკრეტულად კი, როგორც ვიცი, საჯარო რეესტრის შენობა, რომლის აშენებასაც თავიდან ორთაჭალაში გეგმავდნენ?”**

[1] ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან B18031473, 21/03/2018 ;

ლაშა ჩხარტიშვილი და ალექსანდრე ელისაშვილი
საპროტესტო აქციაზე თბილისის მერიასთან

ალექსანდრე ელისაშვილთან ერთად, კორტების ე.წ. ბაღის გაჩეხის ფაქტს მერიასთან აპროტესტებდა კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილიც, რომელმაც მომხდარი **„პირდაპირ ეკოციდად შეაფასა...“**

ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა, ჯერ კიდევ 2010 წლის 25 ოქტომბერს ტერიტორიის დაცლა 1 ნოემბრისათვის მოთხოვა. საზოგადოება ითხოვდა კორტების შენარჩუნებას. საპროტესტო მიტინგის მონაწილე ზურა ჩიქოვანი ამბობდა: **„ვითხოვთ, რომ ეს კორტები შეუნარჩუნდეს ბავშვებს და არ დავუნგრიოთ... ეს არის საქართველოში პირველი უძველესი კორტი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაარსდა. საქართველოში ევროპის სტანდარტების კორტის მოწყობა თუ უნდათ, აქ გააკეთონ. იმის ნაცვლად, რომ აქაურობა აღორძინდეს და ვინმემ ამას ხელი**

მოკიდოს, ანგრევენ. თბილისში სხვა პატარ-პატარა კორტები არის, მაგრამ იქ საერთაშორისო ტურნირებს ვერ ჩაატარებ.“

საპროტესტო აქციაზე მოვიდა ბიზნესმენი ეროსი კიწმარიშვილიც. ის ბოლო წლებში ჩოგბურთს თამაშობდა, შესაბამისად იცოდა საჩოგბურთო „დინამოს“ სტადიონის მნიშვნელობა.

ეკა ქევანიშვილის აღნიშნულ სტატიაში მოტანილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური განცხადება:

„მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე საჩოგბურთო კორტების ტერიტორია კლუბის წარმომადგენლებმა გაასხვისეს რამდენიმე წლის წინ. ტერიტორია იყიდა კერძო კომპანიამ „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფმა“. აღსანიშნავია, რომ საჩოგბურთო კლუბმა მყიდველს, ნასყიდობის ფასის გადახდის გარდა, არანაირი ვალდებულების შესრულება არ მოთხოვა. წელს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფმა“ ეს ნაკვეთი სახელმწიფოს მიყიდა. შესაბამისად, სახელმწიფოს არანაირი ვალდებულება არა აქვს საჩოგბურთო კლუბ დინამოს წინაშე“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებას ასეთ კომენტარს დავურთავთ: საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 2, დისკრეციული უფლებამოსილება არის: „უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება“.

ამ კანონით ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რომ ეხელმძღვანელა „დისკრეციული უფლებამოსილებით“, ვალდებული იყო საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლო-

ბის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სახელმწიფოს სახელით, როცა წერდა, რომ მათ არანაირი ვალდებულება არა აქვს საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ წინაშე, ამით უგულველყო თავისი „დისკრეციული უფლებამოსილება“ და უგულებელყო საჯარო ინტერესი, რეკრეაციული სივრცის შენარჩუნების.

ხელისუფლებამ, ერთი წლის შემდეგ, მართლაც, აუშენა ახალი კორტები თბილისელებს, ოლიმპიური აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ დანაპირები შეასრულა სანახევროდ. პირდებოდნენ „დინამოს“ კორტების ნაცვლად, სუპერთანამედროვე საჩოგბურთო კომპლექსს. ახალი კორტები ბევრად ჩამოუვარდება ძველს. მისი სუპერთანამედროვეობა არაფერში გამოიხატა, იგი ვერ გახდა „დინამოს“ ძველი კორტების საპირწონეც. მართალს ამბობდა ალექსანდრე ელისაშვილი: **„180 ხის მოჭრა, დანაშაულია.”**

უნდა აღინიშნოს, რომ კორტების დანგრევას ძველი თბილისის მოსახლეობა 2010 წლის მთელი შემოდგომის პერიოდში აპროტესტებ და, მაგრამ უშედეგოდ.

იმ ადგილზე, სადაც ადრე „დინამოს“ კორტები იყო, იუსტიციის სახლის შენობის აგება, ჩვენი აზრით, საღ აზრს მოკლებული ჩანაფიქრის შედეგი გამოდგა. შევეცდები ეს მკითხველს დავანახო:

თავისუფალი ელექტრონული ენციკლოპედია-„ვიკიპედია“ იუსტიციის სახლის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის: „იუსტიციის სახლის კონცეფცია ეფუძნება პრინციპს „ყველაფერი ერთ სივრცეში“. პროექტი გულისხმობს სივრცის შექმნას, რომელიც გააერთიანებს ყველა სახელმწიფო მომსახურებას და ამით საშუალებას მისცემს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული მომსახურეობები მყისიერად და ერთ სივრცეში.“

იუსტიციის სახლის კონცეფციაი უდაოდ მოსაწონია. ვთვლით, რომ საქართველომ ამ პროექტით, ბევრად წინ წაიწია. იუსტიციის სახლის კონცეფციის დანერგვის 8 წლის შემდეგ, ანუ 2019 წელს, საქართველოს მოსახლეობას ემსახურება, თანამედროვე ნაგებობის 22 იუსტიციის რეგიონალური სახლი.

მიუხედავათ ამისა ვფიქრობთ, რომ გამწვანებული „დინამოს“ კორტეების მიწის ადგილზე იუსტიციის სახლის აშენება, საღ აზრს მოკლებული ფიქრის შედეგი იყო:

პირველი - იუსტიციის სახლის ოფიციალური ცნობით, დღეში საშუალოდ 20 ათასამდე მომხმარებელი სტუმრობს. ამას ემატება მისი მომსახურე პერსონალი, ეს იუსტიციის სახლის ტერიტორიაზე ადამიანების მოძრაობის ინტენსივობას იწვევს, რაც განაპირობებს ადგილმდებარეობის მაქსიმალურ გადატვირთვას სატრანსპორტო ნაკადით, როდესაც, თბილისის მერია ფიქრობს, როგორ განტვირთოს სანაპიროს ქუჩზე მოჭარბებული ტრანსპორტის ნაკადი;

მეორე: თბილისის რაიონებიდან ერთმანეთთან მომიჯნავე ხუთ ერთეულში, რომ აშენებულიყო მცირე მოცულობის, იმის მსგავსი იუსტიციის სახლები, როგორიც საქართველოს რეგიონებში აშენდა, თბილისის მოსახლეობას არ მოუწევდა იუსტიციის სახლის მომსახურების მისაღებად ქალაქის ცენტრში მგზავრობა. ამით მთავრობა იმ მილიონებს დაზოგავდა, რა თანხაც იუსტიციის სახლის მშენებლობისათვის დაიხარჯა და „დინამოს“ კორტებიც, თავისი უნიკალური გამწვანებით, ადგილზე დარჩებოდა;

მესამე - იუსტიციის სახლი უკვე ეწევა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალით (my.gov.ge). იგი წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიან ვებ-პორტალს, რომელიც შექმნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ. ამჟამად პორტალზე განთავსებულია 400-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება, რომლებიც პორტალის მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია ,,ერთი ფანჯრის“ პრინციპით. პორტალით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია დარეგისტრირდეს როგორც პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის (ID ბარათი) გამოყენებით, ისე მომხმარებლის სახელითა და პაროლით. პორტალზე ხელმისაწვდომია მომსახურებები როგორიცაა: პირადი ინფორმაცია, მუნიციპალიტეტების სერვისები, ბიზნესი, ნებართვები და ლიცენზიები, თანადაფინანსება, სატრანსპორტო, სოციალური მომსახურება, ქონება, გადასახადები, ჯარიმები, კომუნალური გადასახადები და სხვა. პორტალის საშუალებით მოქალაქეს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, დისტანციურად, ონლა-

ინრეჟიმში შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული სერვისებით. შესაბამისად, მომსახურება, რასაც იუსტიციის სახლში მისვლით ვღებულობდით, შესაძლებელია მივიღოთ დისტანციურად. ამასთან, ინტერნეტმომსხურება კი სულ უფრო სრულ ყოფილი ხდება;

მეოთხე: „სოკოები“ - იუსტიციის სახლის შენობა, არქიტექტურულად წარმოადგენს ლანდშაფტში დომინანტ ნაგებობას. ბუნებრივი ლანდშაფტის ჰარმონია დაკარგულია. ამ ფაქტის დამადუსტურებელ კიდევ ერთ ფოტოს წარმოვადგენთ. ფოტოზე, ცენტრში მოჩანს ბარათაშვილის ხიდის ჩრდილოეთით აგებული, სოკოების მაგვარი, შენობა. იქ იყო „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები;

ზემოთ მოტანილი ჩამონათვალი და ფოტოებიც, ვფიქრობთ, გვარწმუნებს, რომ გრანდიოზული იუსტიციის სახლის აგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება იყო ირაციონალური, რის გამოც, თბილისელებს, 2010 წელს, დაუკარგეს რეკრაციული ადგილი - თბილისის „დინამოს“ კორტები, რომლის დანგრევის უფლება არავის უნდა ჰქონოდა. „მზიურის კორტები“ კარგია, მაგრამ იქ ხშირი ქარის გამო, არ არის „დინამოს“ კორტების საპირწონე.

2019 წლის 3 ივნისს თბილისის მერიის ინტერნეტ ჟურნალში „citi kvira” გამოქვეყნდა თბილისში მტკვრის სანაპიროს, კერძოდ იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის, რეკონსტრუქციის საკონკურსო გეგმები. რეკონსტრუქციის ესკიზებით შემოთავაზებულ ვარიანტებში, ჩვენდა გასაკვირად, ვხედავთ კალათბურთის, ხელბურთისა და მინი ფეხბურთის ერთ კომბინირებულ მოედანს და ჩოგბურთის ორ კორტს.

იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის საკონკურსო გეგმების ესკიზები

მივესალმებით, აღნიშნული პროექტების განხორციელებას, მაგრამ სამწუხაროდ, იგი ყოფილი „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების ტოლფასი ვერ იქნება. თუ ეს პროექტი განხორციელდა და მადათოვის ყოფილი კუნძულის მიწის ადგილზე ორი კორტი მაინც გაშენდა, იგი ჩვენთვის - საქართველოს ისტორიაში პირველი ჩოგბურთის კლუბის წევრებისთვის -

იქნება მხოლოდ სიმბოლური, მემორიალური მინიშნება იმის შესახებ, რომ ამ ადგილას 71 წელი არსებობდა „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი, სადაც ქართული ჩოგბურთის კორიფეები აღიზარდნენ.

საჩოგბურთო კლუბის გარეშე

მას შემდეგ, რაც „დინამოს“ საჩოგბურთო კორტების მფლობელებმა თავიანთი წილები გაასხვისეს, კლუბის წევრებმა ურთიერთობა იმ იმედით გავაგრძელეთ, რომ ახალი მეპატრონე კორტებს თანამედროვე იერსახეს მისცემდა და იქ სათანადო საფასურით ვითამაშებდით. ამ ფორმით საკლუბო ცხოვრებასაც გავაგრძელებდით. სამწუხაროდ, რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. „დინამოს“ საჩოგბურთო კორტები დაანგრიეს. 2010 წლის შემოდგომის შემდეგ კლუბის წევრებმა, ჩოგბურთის თამაში თბილისში მარჯანიშვილისა და ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტის კორტებზე გავაგრძელეთ.

1912 წლის 21 აპრილს, ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ და შეუდგა საპარლამენტო არჩევნების მარათონს. პოლიტიკური პარტიებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ. პარტიების მხარდასაჭერად სხვადასხვა ღონისძიებები დაიგეგმა. ცნობილმა ჩოგბურთელმა, ალექსანდრე მეტრეველმა, თავისი სპორტული წარსულისა და ჩოგბურთში თავისი ავტორიტეტის გათვალისწინებით, პარტია „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერი ღონისძიების გამართვის მიზნით, თბილისში მოიწვია მსოფლიოში ცნობილი ჩოგბურთელები - რუმინელი ილიე ნასტასე და შვედი ბიერნ ბორგი.

ილიე ნასტასეს სპორტულ კარიერაში მოგებული აქვს ორი დიდი სლემის ტურნირი – ერთი საფრანგეთის ღია პირველობა და ერთი აშშ-ის ღია პირველობა. 1973 წელს, იგი გახდა პირველი მამაკაცი ჩოგბურთელი, რომელმაც საფრანგეთის ღია პირველობაზე სეტის წაგების გარეშე გაიმარჯვა. ნასტასემ ასევე მოიგო ოთხი წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯამში მას ATP-ის 58 ტიტული აქვს ერთეულებში მოგებული. ილიე ნასტასემ, ასევე, ორჯერ გაიმარჯვა უიმბლდონზე შერეულ წყვილებში. 1991 წელს, იგი საერთაშორისო ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ბიერნ ბორგს მოგებული აქვს 11 დიდი სლემის ტურნირი - ექვსი საფრანგეთის ღია პირველობა და ხუთი უიმბლდონი. შვედმა ჩოგბურთელმა საფრანგეთის ღია პირველობა ზედიზედ ოთხჯერ მოიგო, რაც რეკორდული მაჩვენებელი იყო 2014 წლამდე, ბორგს მსგავსი რეკორდი დღემდე აქვს უიმბლდონზე ზედიზედ ხუთი ჩემპიონობით. ბორგმა ორჯერ მოიგო წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯამში მან ერთეულთა თანრიგში ATP-ის 64 ტურნირი მოიგო. სანაკრებო დონეზე მან ერთხელ გაიმარჯვა დეივისის თასზე შვედეთის ნაკრებთან ერთად.

შესაბამისი წლების მსოფლიოს პირველმა ჩოგნებმა - ილიე ნასტასემ და ბიერნ ბორგმა, საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, 2012 წლის 31 სექტემბერს, თბილისში, ორთაჭალის კორტებზე ალექსანდრე მეტრეველთან ერთად „მასტერ კლასი“ ჩაუტარეს თბილისელ ნორჩ და ახალგაზრდა ჩოგბურთელებს. მათი მხარდაჭერით ჩატარდა მოზარდებს შორის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თასის გათამაშება. ღონისძიებას დაესწრო და გამარჯვებულები დააჯილდოვა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა.

ღონისძიებაში ვმონაწილეობდით „დინამოს“ ჩოგბურთის კორტების ყოფილი კლუბის წევრების გარკვეული ნაწილი. გულთბილი შეხვედრა მოვუწყვეთ ალექსანდრე მეტრველსა და მის სტუმრებს. შეხვედრის ამსახველი სამახსოვრო ფოტოებიც ამას ადასტურებს.

ჩოგბურთის ლეგენდები „ოცნების“ მაისურებით -
ალექსანდრე მეტრველი, ილია ნასტასე, ბიერნ ბორგი

ილია ნასტასე და ბიერნ ბორგი ორთაჭალის კორტზე,
2012 წლის 31 სექტემბერი

ბიძინა ივანიშვილი პატარა ჩოგბურთელთა წრეში

ილია ნასტასე, ბიერნ ბორგი, ალექსანდრე მეტრველი
პატარა ჩოგბურთელებთან

ილია ნასტასე, აგული სოხაძე, გურამ გალოგრე, ბიერნ ბორგი, რეზო აიწურაძე.

ბიერნ ბორგი
და გივი სიხარულიძე

შეხვედრის მთავარი მსაჯი
თამაზ შაფათავა.



ჩოგბურთის ლეგენდები -ალექსანდრე მეტრეველი,ილია ნასტასე,
იან ბორგი და ამ სტრიქონების ავტორი რიჩარდ ჯაში

რიჩარდ ჯაში, იან ბორგი,ზაზა ბოკერია, მიშა ჭიაურელი
2012 წლის 31 სექტემბერი.

გივი სიხარულიძე, იური წივწივაძე და მიშა ჭიაურელი
ბიერნ ბორგთან შეხვედრისას



ილია ნასტასე, რიჩარდ ჯაში და ბიერნ ბორგი 2012 წლის 31 სექტემბერი

ნიკო მაისურძე, მურმან ქურიძე ილია ნასტასესთან და ბიერნ ბორგთან შეხვედრისას

წარმოდგენილი შეხვედრის ამსახველი სამახსოვრო ფოტოები, ვფიქრობ, „დინამოს“ კორტების ადგილის ისტორიის სამწუხარო გაგრძელებაა. ფაქტია, რომ ილიე ნასტასეს და ალექსანდრე მეტრეველს საშუალება აღარ ჰქონდათ ეთამაშათ იმ კორტებზე, რომელზედაც 1972 წელს, ახალგაზრდობაში ეპაექრობოდნენ ერთმანეთს, ხოლო საპატიო სტუმარს - ბიერნ ბორგს და თბილისელებს, თბილისის „დინამოს“ ცენტრალური კორტის ტრიბუნებიდან თვალი ედევნებინათ მათი პაექრობისთვის.

„ადგილის ამბავი“ - დაუვიწყარ მოგონებათა ეს მცირე წიგნი თავის ადგილს იპოვის არა მარტო ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ წევრთა ოჯახების წიგნის თაროებზე. იმედია, ეროვნული ბიბლოთეკის საცავშიც და მისი გაცნობით მომავალი თობა ჩაიხედავს თბილისის „დინამოს“ გამქრალი კორტების წარსულში. შეიცნობს მის როლსა და საჭიროებას, იგრძნობს კლუბის წევრთა შინაარსიანი ურთიერთობების ფასს, გაიგებს მათ გულისტკივილს. ეგებ იმაზეც დაფიქრდეს, რომ თბილისის ზოგი ადგილის სამომავლო ბედი მეტი წინდახედულობითა და გულშემატკივრობით, მისი ისტორიის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

სატადიონი, რომელიც 1994-2008 წლებში საჩოგბურთო კლუბს „დინამოს“ ეკუთვნოდა არ უნდა გამქრალიყო. კლუბიდან შემოგვრჩა, მხოლოდ, სახელი - ჩოგბურთის კლუბის მეგობრები...! ასე ვაგრძელებთ ურთიერთობას.

მარცხნიდან: რესან კოცელიძე, ჯემალ ჯანაშია, გურამ გალოგრე, ჯაბა კუბლაშვილი, მურმან შელია, თამაზ ჯანუაშვილი, მიხეილ ესაკია, ზვიად კოვზირიძე, რევაზ აიწურაძე, ბესარიონ ჭიჭინაძე

2019 წლის 14 ოქტომბერს, ჩოგბურთის კლუბის მეგობრების ნაწილმა, რესტორან „BERNARD”-ში გავმართეთ პურობა, ვიზეიმეთ იესოს კვართის დღესასწაული „სვეტიცხოვლობა“.

შინაარსი

შესავალი	3
მიწის ადგილის ისტორია	7
მადათოვის კუნძული ქალაქის ნაწილი გახდა	20
ორი ისტორიული ეპიზოდი	29
რატომ გაშენდა კორტები გამქრალ კუნძულზე ?	36
ჩოგბურთის დასაწყისი საქართველოში	48
ჩოგბურთის კლუბ „დინამოს“ წარმატებული თაობა	60
„დინამოს“ კორტებამდე სხვა „გზით“ ვიარე	99
კლუბ „დინამოს“ მოყვარული ჩოგბურთელები	120
მეორე „ვერნისაჟი“	172
კლუბში მთავარი ჩოგბურთი იყო	222
უშედეგო საპროტესტო აქციები	236
საჩოგბურთო კლუბის გარეშე	245

დაიბეჭდა შპს "საჩინო"-ში
ც. დადიანის 100
ტელ.:593 99 34 88

BERNARD

უფალს ვთხოვ, „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბის ყოფილ წევრებს წუთისოფელში ბედნიერი ცხოვრება გვიწყალობოს, ამ სოფლიდან წასულებს შენდობა და მუდმივი სასუფეველი მიანიჭოს.

რიჩარდ ჯაში

განათლება: სკოლა ბათუმში დაამთავრა, 1971 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტი, 1973 წელს - ასპირანტურა, 1980 წელს- ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა.

სამუშაო გამოცდილება: 1971 წლიდან - საქართველოს ვაჭრობის სამინისტრო-საფინანსო სამმართველოს უფროსი ეკონომისტი, შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამინისტროს შრომის ორგანიზაციის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, თბილისის რესტორნების ტრესტის დირექტორი. თბილისის ისნის რაიონის საზკვების საიჯარო საწარმოს არჩეული დირექტორი. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამსახურის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განყოფილების უფროსი, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მთავარი სახელმწიფო საგადასახადო აუდიტი. სააქციო ზოგადოების შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ჩოგბურთის გარდა, მისი ჰობია, ავტოსპორტი, ფოტოგრაფაია და მუზიკირება. „დინამოს“ კორტებზე სამოყვარულო ჩოგბურთს თამაშობდა, თითქმის, 40 წელი.